# საერთო გაზეთი

№5 (358) • 17 თებერვალი, 2016 წ.• გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.



**ბიძინა ივანიშვილი მზად უნდა იყოს იმ დიდი ღალატის აღსაკვეთად, რასაც მას ბატონი ხუხაშვილი უმზადებს**

## იმ ინტრიგების უკან, რაც „მაესტროს“ გარშემო ვითარდება, გია ხუხაშვილი დგას?!

**საუკუნის ძარცვა, ანუ რა საიდუმლოს მალავენ „ნაცმოძრაობის“ მიერ 2004 წელს შექმნილი „სპეცფონდები?“**



**რამდენ მილიარდს ითვლის „ნაცმოძრაობის“ მიერ ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის, ბიზნესმენებისთვის თუ რიგითი მოქალაქეებისთვის წართმეული ქონება?**



**პაატა ხიზანაშვილი:**

## ქვემო ქართლი – რეგიონი ინტერნაციონალური გულით და ქართული ხედვით...

**სოსო მანჯავიძე:**

## როდის გათენდება დიდი ქართული ღამე?







## ქალბატონო ფატუ, 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილმა დაიწყო...





**„ნაციონალებო“, ხეებს გადარგვით არაფერი მოუვათ – ისევ გაიხარებენ, ისევ ჩაუშვებენ მშობლიურ მიწაში ფესვებს, მაგრამ იმ ადამიანებს, იმ ახალგაზრდებს, იმ ოჯახებს, თქვენ რომ ფესვებიანად ამოძირკვეთ და ამოშანთეთ, ვინ უშველის და ვინ გააცოცხლებს?**

## საქართველოს ოფიციალური ვიზიტით თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა

17 თებერვალს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ.



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან, პრემიერ მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან მიხეილ ჯანელიძესთან.

შეხვედრებზე მხარეები განიხილავენ თურქეთ-საქართველოს შორის ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების საკითხებს.

ვიზიტის ფარგლებში მევლუთ ჩავუშოღლუ პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნას და გვირგვინით შეამკობს გმირთა მემორიალს.

19 თებერვალს მევლუთ ჩავუშოღლუ მონაწილეობას მიიღებს აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სამმხრივ შეხვედრაში. მინისტრები ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მაგისტრალის პროექტის ფარგლებში კარწახის მონაკვეთს მოინახულებენ.

## საქართველოში C ჰეპატიტის სამკურნალოდ ახალი მედიკამენტი „ჰარვონი" შემოიტანეს

საქართველოში C ჰეპატიტის სამკურნალო უახლესი მედიკამენტი „ჰარვონი" შემოიტანეს. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, პრეპარატის შემოტანა ჯანდაცვის სამინისტროს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში მოხდა და თავდაპირველად, საქართველომ „ჰარვონის" 2 ათასი ფლაკონი მიიღო.

„ჰარვონის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მას სჭირდება ბევრად ნაკლები დამატებითი პრეპარატები. „ჰარვონი" ნაკლები გვერდითი მოვლენებით გამოირჩევა და პაციენტთა გამოჯანმრთელების პროცენტი მაღალია", – განაცხადა დავით სერგეენკომ.

ჰარვონით მკურნალობის გეგმის მიხედვით, ამ მედიკამენტს წელიწადში 20 ათასი პაციენტი მიიღებს.

ჯანდაცვის სამინისტრო ე.წ. ფრონტ ოფისის გახსნასაც გეგმავს, სადაც C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებს გამარტივებული ფორმით მოემსახურებიან.

## საგარეო ფაქტორებმა ნამდვილად იქონია გავლენა ლარის კურსზე – კობა გვენეტაძე

– ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატის კობა გვენეტაძის განცხადებით, საგარეო ფაქტორებმა ნამდვილად იქონია გავლენა ლარის კურსზე.

როგორც გვენეტაძემ პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, შეუძლებელი იყო, რომ რაიმე ცვლილება არ მომხდარიყო საქართველოს სავაჭრო და საგადასახო ბალანსზე, როცა ბევრ ქვეყანაში ეკონომიკა შემცირდა.

„ნამდვილად იყო ასეთი ფაქტორები. მოხდა ძალიან დიდი ფასების ვარდნა ნავთობზე. მოგეხსენებათ,



რომ ის შემოსავლები, სავალუტო დინებები, რომელიც ქვეყანაში შემოდის, აუცილებელია იმისთვის, რომ ეროვნული ვალუტა იკვებებოდეს და მისი შედარებით სტაბილურობა იქნას შენარჩუნებული. ბევრ ქვეყანაში მოხდა ეკონომიკის შემცირება, რაც აისახა ქართული ექსპორტ-იმპორტის შემცირებაზე. შეუძლებელი იყო, რომ რაიმე ცვლილება არ მომხდარიყო და რამენაირად ეს არ ასახულიყო საქართველოს სავაჭრო და საგადასახო ბალანსზე", – განაცხადა გვენეტაძემ.

მისივე თქმით, მაგალითად, ნავთობის ფასის შემცირება, ერთი მხრივ, ძალიან კარგია, რადგან უფრო ნაკლები ვალუტის გადახდა გვჭირდება, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც რუსეთში მცირდება ნავთობიდან მიღებული სახსრები, იქ დასაქმებულ ქართულ მოსახლეობას გადმორიცხვების საშუალება არ აქვს.

## არ მოხდება ისე, რომ მესაკუთრეს კანონიერ მფლობელობაში არსებული მიწა ჩამოერთვას – გიორგი კვირიკაშვილი

თუ არსებობს იურიდიული საფუძველი, რომ მიწა ამა თუ იმ მფლობელს საკუთრებაში გაუფორმდეს, ყველა ასეთ შესაძლებლობას ძალიან დიდი ყურადღებით მოვეკიდებით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონპროექტის კომენტირებისას განუცხადა.

პრემიერი ფიქრობს, რომ ეს საკითხი დანიშნულების ადგილამდე არასწორად იყო მიტანილი და საჭიროა მეტი კომუნიკაცია.

„ჩვენ არავის უფლებებს არ დავარღვევთ, არავითარ შემთხვევაში არ მოხდება ისე, რომ მესაკუთრეს კანონიერ მფლობელობაში არსებული მიწა ჩამოერთვას", – განაცხადა პრემიერმა.

## ბიზნესმენებთან შეხვედრები გაგრძელდება – გიორგი კვირიკაშვილი

ჩვენს მიერ დაგეგმილი რეფორმები დადებითად შეფასდა და, თითოეული ამ ნაბიჯის გადადგმისას, ბიზნესსექტორის ჩართულობა იქნება მაქსიმალური, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ბიზნესმენებთან შეხვედრები გაგრძელდება. უახლოეს მომავალში შეხვედრა შედგება მცირე და მიკრობიზნესის წარმომადგენლებთან.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ბიზნესასოციაციის წევრებმა დღევანდელ შეხვედრაზე ბევრი აქტუალური საკითხი დასვეს, მათ შორის რამდენიმე ტექნიკური ხასიათის, რაც ძალიან კარგია, რათა მთავრობამ ასეთი ტიპის შენიშვნები გაითვალისწინოს.

„ძალიან დადებითად შეფასდა საგადასახადო რეფორმა, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა და გადაგ-



ზავნილია პარლამენტში. გამოითქვა გარკვეული შენიშვნები, რასაც გავითვალისწინებთ. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ამ რეფორმამ საბანკო სექტორიც უნდა მოიცვას, მაგრამ ამ ეტაპზე ჩავთვალეთ, ეს წელს არ გაგვეკეთებინა და შესაძლოა, მოგვიანებით ამოქმედების ვადებზე ვიფიქროთ", – განაცხადა პრემიერმა.



# რეპლიკა

**ახალი „საკაკანო" ადგილი უშოვნია ინგა გრიგოლიას – ამჯერად „TV პირველში" „კაკანებს". მეტყველება და არტიკულაცია ღმერთმა ისეთი მისცა, ყველა სცენის ოსტატს რომ შეშურდება... ახლა ენერგია?! ჰოდა, „უბერავს" და „უბერავს" ინგა! მაგალითად, 12 თებერვალის ნაშუადღევს მას ისეთი ფაქტი ჰქონდა „ჩავლებული", ჩვენი კოლეგების მიწვევას რომ ითვალისწინებდა სტუდიაში და ინგამაც „უმაღლეს დონეზე" შეასრულა ეს სარედაქციო დავალება! (აძლევს ვინმე დავალებას?)**

**მაინც, რა ფაქტი იყო ასეთი? საქმე ისევ და ისევ ეხებოდა „მაესტროს" გახმაურებულ ამბებს: გია გაჩეჩილაძე („უცნობი") ტელეკამერის წინ დაახლოებით ასეთ რამეს ამბობდა: ზოგიერთმა ჟურნალისტმა თავისი საქმე არ იცის, რაიონიდან ჩამოსული გეგონებაო... ჩემი აზრით, ეს იგულისხმა გიამ: – რაიონში რა დონეზეც იყო, იგივე დარჩა, დედაქალაქში ვერაფერი ისწავლაო...**

**ჰოდა, ატყდა კიდეც „TV პირველში" ერთი ამბავი. „უცნობის", მე თუ მკითხავთ, დაუკვირვებელმა ფრაზამ, უპირველესად, გრიგოლია გადარია, რაო, მე თუ სამტრედიაში დავიბადე, რითი ვარ ცუდიო... მერე მოიხმო სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული და თბილისში მოღვაწე ჟურნალისტები და გაჩეჩილაძის უნებური, დაუკვირვებელი ფრაზის გამო, შეიძლება ითქვას, სასამართლო გაიმართა „ TV პირველის" ეკრანზე.**

**ჩემდა სამწუხაროდ, ძმებ გაჩეჩილაძეებს არ ვიცნობ – არც პოლიტიკოსს და არც მომღერალს. რა ხანია, ქართულ კულტურას, ხელოვნებას, მწერლობას... ვემსახურები ჩემი ჟურნალისტიკით, ვის აღარ შევხვედრივარ, მაგრამ „უცნობი" რაც, ასპარეზზე გამოვიდა, მე რატომღაც ვერ მოვახერხე მასთან შეხვედრა, მისი გაცნობა... მერე კი მირჩა და მირჩა ეგ საქმე... ამას იმიტომ ვამბობ, რომ ინგა გრიგოლიამ, ან სხვებმა, არავინ იფიქროს, „მაესტროს" ასე „აბურდულ" საქმეში გაჩეჩილაძეების გულშემატკივარი ვიყო. ვისაც უნდა, იმას დარჩეს ეს ტელეარხი, ოღონდ, მან უმაღლეს დონეზე განაგრძოს მაუწყებლობა!**

**მე, უბრალოდ, გია გაჩეჩილაძის წარმოთქმულ მართლაც უხერხულ ფრაზაზე „კუდის" გამობმამ ამაფორიაქა. კარგი რა, ინგა, ძვირფასო! რა, გია გაჩეჩილაძემ არ იცის, მთელ თბილისს რომ „რაიონები „ამარაგებს"?!**

**რომ ეს ასე იყო – აკაკი, გალაკტიონი, „ცისფერყანწელები"... ჯერ ქუთაისში სეირნობდნენ და მერე ჩამოვიდნენ დედაქალაქში?! და ასე იქნება: ღმერთმა ნუ მოუშალოს ნიჭიერ, ღირსეულ ახალგაზრდებს თბილისში სწავლა-განათლებისა და მოღვაწეობის გაგრძელება!**

**მე თუ მკითხავთ, ე. წ. „თბილისელი" თვით ცხელ წყალში ამოფუფქული ხოხობიც კი არ იყო, მისი „წინაპრები" თბილისგარე ტყეებში „ცხოვრობდნენ"... (ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით). ისე, სერიოზულად თუ გნებავთ, მე, პირადად, უამრავ „თბილისელ" ჟურნალისტს ვიცნობდი და ვიცნობ, წინადადებას რომ ვერ წერდნენ და ვერ წერენ უშეცდომოდ! ეს ასე იყო და ასე იქნება, ამას ევროპაში შესვლა ვერ უშველის!..**

**ვილენ მარდალეიშვილი**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „ნაციონალებო“, ხეებს გადარგვით არაფერი მოუვათ – ისევ გაიხარებენ, ისევ ჩაუშვებენ მშობლიურ მიწაში ფესვებს, მაგრამ იმ ადამიანებს, იმ ახალგაზრდებს, იმ ოჯახებს, თქვენ რომ ფესვებიანად ამოძირკვეთ და ამოშანთეთ, ვინ უშველის და ვინ გააცოცხლებს?

პოლიტიკურ აფერისტებად და ფარისევლებად ჩამოყალიბებულ „ნაციონალებს“ და მათ ხმას აყოლილ მოქალაქეთა მცირერიცხოვან ჯგუფს დიდი ხმაური და ვაი-ვიში



აქვთ ატეხილი: — ბიძინა ივანიშვილი სამი ასწლოვანი ხის გადარგვას აპირებს ციხისძირიდან გურიაში და, არიქა, ქუდზე კაცი გამოდით, რომ ამ ხეებს გარს შემოვერტყათ და ეს გაუგონარი ძალადობა აღვკვეთოთო.

ბუნების დამცველთა რაზმს გივი თარგამაძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი სარდლობდნენ, რომლებიც ამ მართლაც გიგანტური ხეების გვერდით იმდენად პატარები და ჯუჯები ჩანდნენ, ერთიც და მეორეც კაცს გულწრფელად შეეცოდებოდა.

ადრე სხვა ხეს, სახელად მიხოს იყვნენ ესენი ჩაბღაუჭებულ-ჩაფრენილი და იმ ხისთვის ვინმეს ალმაცერად რომ შეეხედა, თვალს ამოთხრიდნენ და სულს ამოხდიდნენ.

ახლა ის „ხე“ ოდესაში გადარგეს მსოფლიო პოლიტიკური ბაღის მებაღეებმა და უფუნქციოდ დარჩენილები ციხისძირის ხეებს დაეტაკნენ „გადასარჩენად“.

არადა, „ნაცმოძრაობისა“ და ამ პოლიტიკური ჯუჯების გადასარჩენი რა ჭირთ ამ ხეებს — ისეთი პატრონი და მოამაგე გაუჩნდათ, სიტყვაზე რომ ვთქვათ, იმ ეკალბარდებში კიდევ 10-15 წელი თუ უნდა ეცოცხლათ, დენდროლოგიურ პარკში დასახლების შემდეგ ორჯერ უფრო დიდხანს იცოცხლებენ.

იციან ეს ყველაფერი „ნაციონალებმა“, შესანიშნავად იციან, მაგრამ მაინც ლოყებს იხოკენ და მოზარეებივით მოთქვამენ, ცალ თვალს კი აქეთკენ, ხალხისკენ აპარებენ: — ხომ ხედავთ, როგორი ჰუმანურები, როგორი გულჩვილები და კეთილები ვართ, ხე რომ ხეა, იმასაც კი თვალისჩინივით ვუფრთხილდებით და ვიცავთ, ხოლო კიდევ ერთხელ თუ აგვირჩევთ, ადამიანებს როგორ მოვუფრთხილდებით, ხომ წარმოგიდგენიათო?

ერთი აქეთ მოიხედეთ თქვენ, თქვე მართლა პოლიტიკურო ფარისევლებო და თვალთმაქცებო!



დღეს, ვითომ ხეები რომ გეცოდებათ, იმ ადამიანებზე რატომ არ შეგტკიოდათ გული, თქვენი ფაშისტური რეჟიმის დროს ქუჩებში რომ ხოცავდნენ?

„ნაციონალებო“, ხეებს გადარგვით არაფერი მოუვათ — ისევ გაიხარებენ, ისევ ჩაუშვებენ მშობლიურ მიწაში ფესვებს, მაგრამ იმ ადამიანებს, იმ ახალგაზრდებს, იმ ოჯახებს, თქვენ რომ ფესვებიანად ამოძირკვეთ და ამოშანთეთ, ვინ უშველის და ვინ გააცოცხლებს.

თქვენს მიერ დაღვრილი სისხლი ცას შეჰღაღადებს და სამართალს ითხოვს, მაგრამ, ვაი, რომ სამართალი არსად ჩანს, თორემ თქვენ ხმის ამოღებას და ხალხში გამოჩენას საერთოდ როგორ უნდა ბედავდეთ?

**„ნაციონალებო“ ერთი-ორი ხე კი არა, თქვენ ტყეები გაჩეხეთ და გაანადგურეთ, მერე კი საქართველოსაც მიადექით ცულით და ნაჯახით, რომ ისიც აგეჩეხათ და აგეკუწათ, მაგრამ ივანიშვილის გამოჩენამ შეგიშალათ ხელი.**

**აი, ამაზე ხართ დაბოღმილი და გამწარებული და. აი, ამას ვერ პატიობთ ივანიშვილს.**

2016 წელი 2012 წელს გარდაცვლილი „ნაცმოძრაობის“ დამარხვის წელი უნდა იყოს-მეთქი, ვთქვი ამასწინათ.

2016 წელს ქართველმა ხალხმა ამ დაუმარხავი მკვდრის, „ნაცმოძრაობის“, პოლიტიკური მესაფლავის როლი უნდა იკისროს, ამის გაკეთება კი მას ძალიან მარტივად შეუძლია — ხმა არ მისცეს ამ მაოხრებელი მკვდრის უკან მობრუნებას!

**ვახტანგ ხარჩილავა**





# როდის გათენდება დიდი ქართული ღამე?

## ინტერვიუ ბატონ სოსო მანჯავიძესთან



**— ბატონო სოსო, გარკვეული ხნის წინ თქვენ „საერთო გაზეთთან“ ერთ ინტერვიუში მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე გააკეთეთ პროგნოზები. ამ განცხადებებს მაშინ დიდი ხმაური მოჰყვა. თქვენ დაგკითხეს კიდეც შესაბამისმა სამსახურებმა — რაიმე საიდუმლო ინფორმაციას ხომ არ ფლობთო? სულ მალე თქვენი პროგნოზები საოცარი სიზუსტით ახდა — გადადგა პრემიერი ღარიბაშვილი, დაიდო „კომპრომატები“ პარლამენტარებზე და ა. შ.**

**წინასწარმეტყველური ნიჭით ხომ არ ხართ დაჯილდოებული?**

— ამას წინათ ჩემთვის მწარედ მეღიმებოდა, როცა გამახსენდა ჩემი „წინასწარმეტყველება“ — რუსეთი აუცილებლად შეიყვანს სირიაში ჯარებს-მეთქი. მაშინაც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: სააკაშვილის დანიშვნა უკრაინაში იმის მანიშნებელი იყო, რომ ოდესის ოლქი მთელ რიგ გარიგებებთან იყო დაკავშირებული. ის, რომ მსოფლიო ებრაული ელიტა ცდილობს საყრდენი გაიჩინოს ყირიმის ნახევარკუნძულზე — დაშლილი უკრაინის ტერიტორიაზე, ამაზე ვისაუბრე ადრე და ყველა ძალიან მალე ვიხილავთ ამ მოვლენების განვითარების პერიპეტიებს. ყველაფერ ამის ავანგარდში დგას სააკაშვილი, რომელიც ზუსტად იმ სცენარს მიჰყვება, რასაც 2008 წლის ომის წინ, ანუ ახდენს უკრაინული ნაციონალური ძალების მობილიზაციას, სხვათა შორის, სააკაშვილი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია უკრაინაში. იგი ამბობს, რომ უკრაინის არმიას შეუძლია მოსპოს რუსული ჯარი, რუსეთი დაიშლება პუტინის შემდეგ, პუტინი დაემხობა, რუსეთში დაიწყება არეულობები და უკრაინა და საქართველო თავისას მოითხოვენ. ასეთი რამ მან განაცხადა ორსაათიან ინტერვიუში უკრაინის ტელევიზიასთან, რაზეც ჩვენ, სამწუხაროდ, ყურადღება არ მიგვიქცევია. არადა, სააკაშვილის საუბრები ზუსტად იმეორებს ამერიკული გეოპოლიტიკური ცენტრების, კერძოდ, ნეოკონსერვატორების ამოცანებს, რისთვისაც იქნა იქ მივლინებული ნულანდის მიერ. აღსანიშნავია ისიც, რომ სააკაშვილის ინტერვიუდან კარგად ჩანდა, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც გეგმავს უკრაინის ხელისუფლებაში მოსვლას.

ასე თუ ისე, ვერკვევი პოლიტიკურ ტექნოლოგიებში და უნდა ვთქვა, პოლიტტექნოლოგების აქცენტები კარგად ჩანდა სააკაშვილის საუბარში და ამაში უწყობდა კიდევაც ხელს ერთ-ერთი პოპულარული ტელეწამყვანი უკრაინაში ბატონი გორდონი. დევს ეს საუბარი „იუთუბიზე“.

ახლა მეცინება, მაგრამ, დაახლოებით, ექვსი თვის წინ ვთქვი, თურქეთი აუცილებლად მოუყრის თავს სახმელეთო ჯარებს სირიის საზღვარზე, შეიყვანს ჯარებს ერაყში და დაიწყებს შეტევას დამასკოზე-მეთქი. ამან კი შეიძლება ისეთი ფართომასშტაბიანი დაპირისპირებები გამოიწვიოს, რომ მოსალოდნელია სამხრეთ კავკასიაშიც კი გაჩაღდეს კონფლიქტი, კერძოდ, მთიანი ყარაბაღის რეგიონში.

ის ფინანსური ოლიგარქიები, რომლებმაც დასავლეთთან ნავთობით ვაჭრობის შედეგად უდიდესი კაპიტალი დააგროვეს, აუცილებლად უნდა განადგურდეს, მათი კაპიტალი უნდა ჩამოიწეროს — ამას თხოულობს მსოფლიო საფინანსო სისტემის დეფიციტური ხასიათი. ის პროცესი, რაც მიმდინარეობდა ახლო აღმოსავლეთში — დაემხო რეჟიმები, რომლებიც პრობლემებს არ ქმნიდნენ, ჩამოიწერა უზარმაზარი თანხები და ა.შ. კადაფის მაგალითი გავიხსენოთ...

ამ კუთხით პრობლემა უდგას აზერბაიჯანსაც.

ალიევი არ გახლავთ ბაშარ ასადი. ის არ დაღვრის სისხლს. როცა ეს პროცესი მოქმედებას დაიწყებს, ალიევი, ალბათ, გაემჯნება ყველაფერს და თურქეთთან ერთად ამ პროცესის თავიდან ასარიდებლად ყარაბაღის კონფლიქტს გააღვიძებს. მას, ცხადია, სომხეთზე უფრო ძლიერი არმია ჰყავს, რაც გამოიწვევს იმას, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება აქაც აქტიური გახდება.

— **მოკლედ, ნავთობი, რომელსაც ვნატრობდით, რომ ჩვენთანაც ყოფილიყო, იმ ქვეყნებისთვის თავსატეხად იქცა?**

— ჩვენი ქვეყანა დღეში 2 მლნ ბარელ ნავთობს ატარებდა. თუმცა ახლახან ამერიკულმა მხარემ აქტიურად დაიწყო საუბრები იმაზე, რომ საქართველოში აღმოაჩინეს ნავთობისა და გაზის დიდი მარაგები.

მოკლედ, 2 მლნ. ბარელი ნავთობი დღეში. როდესაც ნავთობის ღირებულება, მინიმუმ, 4 დოლარია, გამოდის, რომ 8 მლნ. დოლარი, მეტი სიზუსტისთვის, მინიმუმ, 7 მლნ დოლარი მაინც შემოსავალი გვქონია დღეში. ეს არის წელიწადში 2 მლრდ. 500 000 წელიწადში, რაც გამრავლებული დღევანდელ კურსზე არის საქართველოს მთლიანი ბიუჯეტის ტოლი, ანუ 365X7=2 მლრდ. 555 მლნ-ი, 2 მლრდ 555X245=6 მლრდ. 258 მლნ. ანუ საქართველოს ბიუჯეტის 80%-ს. იმის მაგივრად, რომ გავძლიერებულიყავით ნავთობის ტრანზიტით, რასაც ზარზეიმით გვპირდებოდნენ, მივიღეთ სამ ნაწილად დაშლილი საქართველო და უზარმაზარი ვალები — 14 მილიარდის ოდენობით. არადა, ნავთობისგან შემოსული თანხებით ისე უნდა გავმდიდრებულიყავით, წესით, ვალები არ უნდა გვქონოდა.

ეს არის რეალობა, მაგრამ ხალხმა რომ არ მოინდომოს ყველაფრის გარკვევა, დაქირავებული ჰყავთ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გამუდმებით კინკლაობენ და დაკავებულნი არიან მეათეხარისხოვანი პრობლემების წამოწევით, ლგბტ თემებით, ჯაჯანიძეებით და გრიგოლიებით და ამაზე გადააქვთ ხალხის ყურადღება.

— **თუმცა არც ლგბტ პრობლემა არის მარტივი და არც ჯაჯანიძის „შოუა“ მთლად უწყინარი.**

— რა თქმა უნდა, არა. მიმდინარეობს საზოგადოების გამოთაყვანების პოლიტიკა და ყურადღების გადატანა იმ საკითხებზე, რომელიც ადამიანის გონებისთვის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია. როგორ შეიძლება მუდმივად იმის მტკიცება, რომ შავი შავია, ხოლო თეთრი — თეთრი?!

— **ბატონო სოსო, თქვენი აზრით, სატრანზიტო შემოსავლებიდან აღებული ფული რას ხმარდება, სად მიდის ეს თანხები?**

— **(ეღიმება.)** ცოტა გულუბრყვილო შეკითხვაა, მაგრამ, გეთანხმებით, არაა ამაზე პასუხი. ექსპერტები, ეკონომისტები ერიდებიან ამ თემაზე საუბარს, თუმცა ვლაპარაკობ მე **(ეღიმება.)**. დიახ, ორ მილიარდ აღურიცხავ ფულზეა საუბარი... ჩვენ ვართ ნავთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმწოდებელი მსოფლიოსთვის.

სად მიდის ეს ფული?

ბიჭებთან. **(ეღიმება.)**

ისე, კაცმა რომ თქვას, ლეგიტიმური და ლოგიკურიცაა თქვენი შეკითხვა იმ ფონზე, როცა ერთი ამბავი იყო ატეხილი — არიქა, ნავთობის ტრანზიტით ქვეყანა წელში გაიმართება, გვიშველის სავალუტო ფონდი და ა.შ. მერე ვუკრავდით ტაშს — ვასრულებთ მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს, დაგვიწერეს მაღალი ქულები, შედეგი კი ისაა, რომ დღეს საქართველოში მილიონ ორასი ათასზე მეტი ადამიანი ითხოვს სოციალურად უმწეოთა დახმარებას. ეს არის იმ 25-წლიანი კომპლექსური ღონისძიებების შედეგი, რასაც ახორციელებდნენ საქართველოში, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისითაც, რომ ჩვენ ვართ მეორეხარისხოვანი ხალხი, **მარგველაშვილის სიტყვებით,**


ილჰამ ალიევი და რეჯებ ტაიპ ერდოღანი

**დაუნის სინდრომის მატარებლები და ა.შ. თამარ მეფე იყო ბილაცა, ალმაშენებელი ხელწამოსაკრავი ბიჭი და ასე. მარტივად მისახვედრია ყველაფერი – დიდი საქმეები კეთდება სხვაგან, შენ, ქართველო, ხარ მდაბიო, უნდა მიხვიდე, მაგალითად, თი-ბი-სი ბანკში, აიღო, ვთქვათ, 17%-იანი კრედიტი და მერე დედა უნდა გიტიროს ბანკის ოფიცერმა. სულ ესაა შენი ცხოვრება.**

დეგრადაციის ეს ხაზი იწვევს მერე ნარკოტიკების და ალკოჰოლის მოხმარების გააქტიურებას. უხარისხო ალკოჰოლური სასმელები, როგორც წესი, იწვევს გენეტიკური მიმართულების რღვევას. ქიმიური შენაერთები ალკოჰოლში ახდენს გონებრივი შესაძლებლობების ნგრევას და განადგურებას, ანუ ჩვენ, ადამიანები, რისთვისაც ვართ გაჩენილი – რომ ვიყოთ გამტარი ჩვენსა და ზეციურ სამყაროს შორის, ამის მოსპობის მცდელობა მიმდინარეობს.

იგივე ნაციონალები, ეს ის ხალხია, ვინც ვითომ ნარკოტიკების მოხმარებას ებრძოდნენ, სინამდვილეში, თვითონ მოიხმარდნენ, ახლა შემოტრიალდნენ და ნარკომოხმარების ლეგალიზაციას ითხოვენ.

ამაზე უნდა ვლაპარაკობდეთ ჩვენ, ყველანი, რომ საზოგადოება მეტად ინფორმირებული იყოს. თუმცა ტელევიზიები, რომელზეც ზემოთაც ვლაპარაკობდით, პირიქით აკეთებენ, ხელს უწყობენ ამ ვერაგული გეგმის განხორციელებას, ნერგავენ უმწეობის, უაზრობის განცდას. ინფორმაციული შხამია ეს, რომელიც საზოგადოების სრულ დეგრადაციას იწვევს.

საბოლოო ჯამში, ყველაფერი, რაც ხდება, ჩვენში არსებული სიბნელის შედეგია. თუმცა საკუთრივ ადამიანის ბუნებაში არის ერთი მთავარი ფაქტორი – ე. წ. არამოტივირებული, არაეგოისტური მსხვერპლის შეგრძნება, ანუ ქრისტიანობა, რისი მატარებლები საქართველოში ჯერ კიდევ არიან, ეს ქვეყანა ბოლომდე ვერ „დაბნელდება“, ანუ მეტი საკუთარი თავის რწმენა, მეტი განათლება გაფანტავს იმ სიბნელეს, რომელიც ხელს უშლის ჩვენს განვითარებას და თრგუნავს თვითონ ერსა და ქვეყანას.

ამას წინათ სოციალურ ქსელში ქალბატონ ინგა გრიგოლიაზე დავწერე. პიროვნულად მის მიმართ ნამდვილად არ მაქვს უარყოფითი განწყობა, მაგრამ რასაც ის აკეთებს, არის საშინელება – ემსახურება ბოროტებას, „ნაცმოძრაობის“ ფარული გამთეთრებელი იყო ყოველთვის და ახლა უფრო გააქტიურდა. „მაესტროსთან“ დაკავშირებით ხომ საერთოდ აიშვა. „იმედის“ სტუდიაში პირდაპირ რინგი ჰქონდა მოწყობილი, პოპულარობას იხვეჭდა ხალხის მხრიდან უარყოფითი ემოციების გამოხატვის ხარჯზე, ცდილობდა ადამიანებში მაქსიმალურად დიდი აგრესიული მუხტი შეექმნა. ინდივიდის გაბოროტების მცდელობის უკან, ჩვენი მისტიური ტრადიციებით, ჰაერის მცველები რომ დგანან, ეს არ არის ახალი აღმოჩენა.

სიბრალულს განვიცდი გრიგოლიას მიმართ, რასაც ის აკეთებს, სულის გაყიდვა ჰქვია იმას, ქალბატონ ინგას არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ ჩვენი ფსიქოლოგიური მანიპულირება მოახერხოს...

– **თქვენ პოლიტიკოსი ხართ. ღიად აფასებთ ჟურნალისტს. ეს კარგი ტონია?**

– **(ეღიმება.)** დიახ, საქართველოში პოლიტიკოსს მეძახიან, თუმცა ჩვენთან ამ ტრენდის შინაარსი რამდენადმე ტრანსფორმირებულია, ამ ტიტულს აქ არაფერი აქვს საერთო თავის ნამდვილ დანიშნულებასა და წარმომავლობასთან.

დიახ, ჟურნალისტებთან ურთიერთობის გაფუჭებას ყველა ერიდება, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა თქვას ის, რაც სათქმელია?

ე. წ. ჟურნალისტების უმრავლესობას უბრალოდ ჰქვია ჟურნალისტი, თორემ მათი საქმიანობა სპეცსამსახურების თანამშრომლების მოქმედებებს უფრო ჰგავს.

გრიგოლია, გაბუნია, გვარამია, პაიჭაძე, კვესიტაძე ჟურნალისტები არ არიან!

ბოლო დროს ყველაფერი ცხადი გახდა, გამოაშკარავდა, რომელი ჟურნალისტი თამაშობდა ოპოზიციონერობას სააკაშვილის დროს და ვინ იყო მართლა ოპოზიციონერი.



ბოკერია, ჩერგოლეიშვილი, გადაბაძე, ჯანგირაშვილი და სხვები

სამწუხარო ის არის, რომ ხელისუფლება არ ფიქრობს ყოველივე ამაზე.

– **ხალხმაც დაკარგა იმედი. რას ფიქრობთ, მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნება“ კვლავ შეძლებს გამარჯვებას?**

– თუ საიდანმე გამოჩნდება ისეთი ძალა, რომელსაც ექნება სათანადო მედია და პოლიტიკური რესურსი იმისთვის, რომ ის 60%, რომელიც არ მონაწილეობდა არჩევნებში – მოიზიდოს, „ოცნება“ მიიღებს იმდენ მაჟორიტარს, რამდენსაც მოისურვებს. დაახლოებით, 15%-ს მიიღებს „ნაცმოძრაობა“, დანარჩენი განაწილდება სხვა ძალებზე – ბურჯანაძე, „პატრიოტთა ალიანსი“ და ალასანიას პარტია, თუ რაიმე დრამატული და გაუთვალისწინებელი არ მოხდა.

– **ირაკლი ღარიბაშვილის და ბურჯანაძე-ინაშვილის გაერთიანებაზეც გაისმა წინა კვირას ჭორ-მართალი და საერთოდ, როგორ წარმოგიდგენიათ ყოფილი პრემიერის მომავალი პოლიტიკური კარიერა? სოციალურ ქსელში მისი ე. წ. ფანების სიმრავლეც შეინიშნება.**

– გახსოვთ ზვიადისტები, მიშისტები? ესენიც იმ „მინდვრის ყვავილებია“.

რაც შეეხება ბურჯანაძე-ღარიბაშვილი-ინაშვილის ალიანსს. რაღაც ვერ წარმომიდგენია ბურჯანაძე და ინაშვილი ერთად, მით უფრო ღარიბაშვილი. ეს სრულიად ფანტასმაგორიული ერთობაა. თუმცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

სხვა ტიპის ოპოზიციური ერთობის პერსპექტივაც ნულის ტოლია.

ამიტომაც ზემოთ ნათქვამი პროპორციებით დაკომპლექტდება მომავალი პარლამენტი, კიდევ ვიმეორებ, თუ რაიმე დრამატული, ელექტორატის ამაღელვებელი ფაქტორი არ ჩაერია ამ არასასურველ სტაბილურობაში. თუმცა, თუ ის შედეგი დადგა, რასაც ვამბობ, არჩევნების შემდეგ შეიქმნება არასასურველი სიტუაცია – დუალიზმმა „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის შეიძლება უმართავი პროცესები გამოიწვიოს. ეს ხელისუფლება ერთი შეხედვით მორჩილი, თუმცა აგრესიადაგროვილი ელექტორატისგან ე. წ. „შავ გედს“, ანუ მოულოდნელობას უნდა ელოდოს...

თუ მმართველი ძალა ამას არ გაიზიარებს და უფრო ადექვატურ მოქმედებებს არ დაიწყებს, უმართავ პროცესებს მიიღებენ.

– **რაც შეეხება რესპუბლიკურ პარტიას?**

– ის აუცილებლად იქნება წარმოდგენილი მომავალ პარლამენტში.

კოალიციას არავინ მისცემს იმის საშუალებას, რომ რესპუბლიკელებს დაატოვებინონ ალიანსი. რესპუბლიკელები შეეცდებიან, „ქართულმა ოცნებამ“ მოიგოს არჩევნები, რათა მერე თვითონ მართონ იგი.

მომავალი პარლამენტი „ქართული ოცნების“ უნიფორმაში გამოწყობილი რესპუბლიკელებით იქნება დაკომპლექტებული.

– **ელექტორატის როლი ნიველირებულია?**

– ჩვენ რასაც ვწერთ და რასაც ვამბობთ, ეს ნიშნავს, რომ მეტი ადამიანი გავხადოთ ინფორმირებული და ეს აუცილებლად მიიღებს პოლიტიკურ გამოხატულებას. ვისაც ჰგონია, რომ მუდმივი ღამე იქნება, ცდება. ღამე ყველაზე ბნელი გათენების წინაა.





**ირანდა კალანდაძე**

583 561 118

# დიახ, 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილმა დაიწყო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ომი საქართველომ დაიწყო, რადგან საქართველო და სააკაშვილი ერთიდაიგივე არ არის!



„ჩვენ ახლახან მივიღეთ ნებართვა, გამოვიძიოთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაული. როგორც ჩემი ოფისი აფასებს, შესაძლო დანაშაულის ჩადენის მომენტში სამხრეთ ოსეთი იყო და არის საქართველოს ნაწილი, ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიძიოთ საქართველოში ჩადენილი დანაშაული, მათ შორის სამხრეთ ოსეთში. ჩვენი მიზანია, მოვძებნოთ ჩადენილ სისხლის სამართლის ყოველ კონკრეტულ დანაშაულზე პასუხისმგებელი პირები. მხოლოდ მტკიცებულებები მიგვიყვანს ინდივიდუალურ პირებამდე. ამ პირებზე მოვითხოვთ დაპატიმრების ორდერის გაცემას. ეს შეიძლება იყოს ერთი პირი ან ერთზე მეტი, – განაცხადა ჰააგის სისხლის სამართლის პროკურორმა ფატუ ბენსუდამ.

ნახეთ, ბენსუდა სამხრეთ ოსეთს საქართველოს ნაწილად მოიხსენებსო, – მის ამ სიტყვებს მყისვე ზემნიშვნელობა მიანიჭა დაუვარცხნელი აზრების მფრქვეველმა ე.წ ქართულმა პოლიტელიტამ.

როცა ქალბატონ პროკურორს, ისევე როგორც მაღალი რანგის სხვა უცხოელ პირებს ვიღაც საკუთარი შეხედულებისამებრ ახვედრებს სასურველ მომჩივნებს, მოწმეებსა თუ მეხოტბეებს, დიდ ვერაფერს სამართლიან გამოძიებას ჩაატარებს და ვერც სამართლიან ბრალს დასდებს ვინმეს.

რატომ სძულს ყველას ასე საშინლად სიმართლე?

ხომ ფაქტია – სანამ არ ვისწავლით სიმართლის თქმას, ყველაფერზე მისი კუთვნილი სახელის დარქმევას, ჩადენილი დანაშაულის აღიარებას და გულწრფელი ბოდიშის მოხდას, საქართველო ვერ გაერთიანდება, არ დაგვიბრუნდება არც აფხაზი და არც ოსი ძმა!

ხომ საერთო ოჯახად ვთვლიდით და ვთვლით (ვინც არ თვლის, მის გასაგონად არ ვამბობთ) საქართველოს საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა, წარმომავლობისა, კუთხურობისა, შერეული ქორწინებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და ა.შ მაშ, ოჯახში მაინც ვთქვათ ის სიმართლე, რაც, ერთის მხრივ, შვებას მოუტანს დანაშაულის შეგრძნების მქონე ადამიანებს, მეორეს მხრივ კი ერთგვარ მალამოდ მოედება გულ და სულნატკენ ადამიანებს.

სისხლი? – აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანების სისხლი ორივე მხარეს იმდენი დაიღვარა, მისი აწყვა ყოვლად შეუძლებელია. ომმა არც ბავშვის დანდობა იცის, არც ქალის, მოხუცის, პირტიტველა დამნაშავისა თუ მხცოვანი ბრძენისა, მსხვერპლი დევს რამდენიმე ადამიანის აგრესიულად მკვახე გონებაში მომწიფებულ ქმედებას, შეიარაღებულ თავდასხმას...

ფატუ ბენსუდას ოფისს თუ სიმართლის გარკვევა და ომის დანაშაულში დამნაშავე პირის ან პირთა გამოვლენა მართლა აინტერესებს, თანმიმდევრობით მიჰყვეს 2008 წლის აგვისტოს ომის წინმსწრებ და მიმდინარე მოვლენებს, ამოაღებინოს კადრები, რომელიც შენახულია, როგორც ტელევიზიებში, ისე, რიგითი მოქალაქეების პირად არქივებში...

სწორედ ომის დანაშაულში დიდი წვლილის შემტანმა, მაგრამ შეშინებულმა პირთა ჯგუფმა შემოაგდო ფორმულირება, „ომი საქართველოს არ დაუწყია“ და ყველა ვთანხმდებით, რომ ომი საქართველოს არ დაუწყია. ამას მოსდევს ის, რომ სამშობლოს დაცვა პრესტიჟის საკითხია, ხოლო იმის თქმა, რომ დიახ, ომი სააკაშვილმა დაიწყო, სამშობლოს ღალატთან იგივდება.

ძმებო და დებო, მეგობრებო და ხელისუფალნო, რატომ აიგივებთ ასიათასობით ადამიანის სახელს სამშობლოს დამაქცევარ მიხეილ სააკაშვილსა და მის ერთ მუჭა ბანდასთან? ნუთუ, სიტყვა „სამშობლოს“ წარმოთქმისას მიხეილ სააკაშვილი წარმოგიდგებათ თვალწინ? თუ, სამშობლოზე ლოცვისას მიხეილ სააკაშვილზე ლოცულობთ?

ხალხმა არ იცის, ამიტომ მხოლოდ ვერსიების დონეზე გამოთქვამს ეჭვებს, რომ ვიღაცამ გააქეზა არამდგრადი ფსიქიკისა და ნარკოტიკული თრობის მიმდევარი მიხეილ სააკაშვილი სამაჩაბლოში შესაჭრელად; ან თვითონ მოეზმანა არაფხიზელ მდგომარეობაში განდიდების მანიით შეპყრობილს რაღაც და აბსოლუტურად დამოუკიდებლად დაიწყო საომარი მოქმედებები; ან გარკვეულ წრეებთან იყო შეთანხმება და არა მხოლოდ ორმხრივი და ა.შ

ასეა, ისე თუ კიდევ რამენაირად, ფაქტი ის არის, რომ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეების, ოსი ხალხისადმი სატელევიზიო შაქარყინული მიმართვიდან ცოტა ხანში დაიწყო შეტევა სწორედ საქართველოს იმ ნაწილზე, რომელზეც ასე აჭყლოპინდნენ ახლა.

დიახ, სამაჩაბლო იყო საქართველოს ტერიტორია და კონსტიტუციური წესრიგის დამყარება-აღდგენის მიზნით 2008 წლის 8 აგვისტოს თავს დაესხა სააკაშვილის ხელისუფლება და არა საქართველო! სწორედ ამგვარ განმარტებას იძლევა გენერალი ყურაშვილი და კვერს უკრავს გიორგი ბარამიძე (იმ დროს რა პოსტი ეკავა, არ მახსოვს), რაც ასევე ტელევიზიის არქივში უნდა იყოს.

სხვათა შორის, აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, აგვისტოს ომამდე დაახლოებით ათი დღით ადრე რუსულ ტელეარხზე აჩვენებდნენ ქალებითა და ბავშვებით დახუნძლულ ავტობუსებს, კოკოითის მოსახლეობის ევაკუაცია ჰქონდა დაწყებული, ვლადიკავკაზის მიმართულებით ხიზნავდა, სააკაშვილი თავდასხმას გეგმავსო. თუ ამ ფაქტს გავიხსენებთ, ვერსია, რომ სააკაშვილს უცბად მოუარა თავში და გაუაზრებლად გასცა ომის დაწყების ბრძანება, გამოირიცხება. ელემენტარულია, კოკოითის არ დაესიზმრებოდა, რას მოიმოქმედებდა უპროგნოზო სააკაშვილი ათი დღის შემდეგ თუ მას ინფორმაცია არ ჰქონდა...

იმ დროს, როდესაც სააკაშვილის ბანდა და მათდამი დაქვემდებარებული საზარბაზნე ხორცად განწირული ქართველი ვაჟკაცები ცხინვალისკენ მიიკვლევდნენ გზას, საიქიოში გაისტუმრეს „სამშვიდობოების“ ასე თუ ისე, უწყინარი კონტინგენტი. რუსეთის არმიის ჭაჭანება არ იყო. იმის კადრებიც მრავლადაა, როგორ შემოდის რუსული არმია მას შემდეგ, რაც ცხინვალი დადუღებულია და მცირე ხნით ქართული დროშაც აღმართულია.

... და ახლა რაგინდ სიტყვად თქვას ქალბატონმა ბენსუდამ, რომ სამხრეთ ოსეთი იყო და არის საქართველოს ნაწილი, ფაქტად დევს, რომ სააკაშვილმა ის სამ დღეში გადააფორმებინა რუსეთის ნაწილად... სიმართლე ეს არის! (სიღმეებში წასვლას ტომები დასჭირდება, ამიტომ მხოლოდ სიმართლის იმ ზედაპირული მონახაზით შემოვიფარგლოთ, რაც საგაზეთოდ საკმარისზე მეტიცაა).

ვიღაცას, შეიძლება, გაუკვირდეს, რას ბოდავს ეს კაციო – მაშ, სად არის დალის (კოდორის) ხეობა? და სანამ ამ ტერიტორიასაც შეაჩეჩებდნენ აფხაზებს (რუსებს), რატომ გადარქვეს სახელი და ოფიციალურად ზემო აფხაზეთის მხარე დაარქვეს? უარესი – კოდორში ხომ ძირძველი ქართველები ცხოვრობდნენ, წლების მანძილზე კოდორის ხეობის დამცველები, ჯერ რატომ განაიარაღეს და შემდეგ, მთლად საკუთარ სისხლსა და ხორცს რატომ გაუხსნა ცეცხლი იმავე სააკაშვილის ხელისუფლებამ? არც კოდორელებს დასხმია თავს საქართველო, მასაც სააკაშვილი და მისი ბანდა დაესხა იმავე შედეგის მისაღებად, რაც ოსეთის შემთხვევაში განმეორდა, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ოსეთში თუ ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა, კოდორის შემთხვევაში ტყვია არ გავარდნილა, უბრძოლველად გადასცეს აფხაზებს (რუსებს). ამას ჩაბარებაც კი არ ჰქვია...

ერთი უცნაური ფრაზა უნდა შემოგაშველოთ, რომელიც Heritage Foundation-ის ავტორმა ლუკ კოფიმ დაწერა: „ბოლოს და ბოლოს, ამ სიტუაციაში საქართველო აგრესორი არ ყოფილა, სააკაშვილმა კი ძალის გამოუყენებლობის პირობა დადო, რაც რუსეთს არ გაუკეთებია.“ ვისაც ცოტაოდენი მაინც გაეგება ენისა, კარგად გაიგებს, რაც წერია...

მართლაცდა, ბოლოს და ბოლოს, ლუკ კოფი მიჯნავს ერთმანეთისგან სააკაშვილსა და საქართველოს და თქვენ (ვისაც ეხება) რატომ ვერ გაგიმიჯნავთ? აქვე ისიც ჩანს, რომ სააკაშვილს პირობა დაუდვია, ძალას აღარ გამოვიყენებო, ანუ ულიარებია, რომ გამოიყენა. (რაც მან ჰალსტუხი მიირთვა და ქართლის მიწა ცხვირით მოხნა, გულწრფელი იქნებოდა იმ მცირე ხანში მაინც)

**საქართველოს ხელისუფლებავ, ნუ გადაეფარებით სააკაშვილს იმის შიშით, 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს არ დაბრალდესო. გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქართველო და სააკაშვილი, რომელიც პერსონალურად არის პასუხისმგებელი 2008 წლის ტრაგედიაზე.**



ვისი და რისი ეშინია მას, ვისაც საქართველოში ამ აგვისტოს ომის თემის შესწავლა, გამოძიება და ასე, პროცედურულად ევალება? ინტერნეტში მაინც ნახეთ, რას ამბობს თუნდაც პატივცემული პაატა დავითაია კადრს მიღმა აგვისტოს ომზე...

სააკაშვილი და მისი ბანდა არ იყო ხელისუფლებაში, როცა აფხაზეთსა და ოსებთან სიტუაცია დაგვიძაბეს, რაც სისხლისღვრაში გადაგვაზრდევინეს, მაგრამ განა მაშინ კი სხვაგვარად იყო? იქნებ ვინმეს მეხსიერების პრობლემა გვაქვს და არ გვახსოვს, თორემ რეალური სურათი სხვანაირი იყო, ვთქვათ, აფხაზეთიდან შეიარაღებულები დაიძრნენ თბილისისკენ, ან ცხინვალიდან და სხვაგვარად არ შეგვეძლო, სისხლისღვრა უნდა გაგვეჩაღებინა? იქნებ სიზმრად ვნახეთ ოსეთში 30 ავტობუსით ჩასული ასევე „რაღაც წესრიგის“ დამამყარებლები, ან აფხაზეთისკენ მოტყუებით დაძრული და მსხვერპლად შეწირული გმირი ბიჭები...

სიმართლის არც თქმა უნდა ვინმეს, არც მოსმენა, თუმცა ენით ზურგს იფხანს ყველა...

გენერალმა ტრისტან წითელაშვილმა გასულ კვირას პრესით განაცხადა, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ 2008 წლის ომთან დაკავშირებით ფატუ ბენსუდასთვის მტკიცებულების გადაცემას ცდილობდა, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამის საშუალება არ მისცეს. წითელაშვილი იმედოვნებს, რომ მაინც მოახერხებს და მიაწვდის მტკიცებულებებს, თუმცა, მანამდე, საქართველოში და საჯაროდ რომ ეთქვა ორიოდე სიტყვა, არ დაგვზარდა.

**ტრისტან წითელაშვილი:** – „როცა ითქვა, რომ ჰააგა დაინტერესდა, გაჩნდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს ნათელი მოეფინებოდა ყველაფერს, რაც 2008 წლის აგვისტოს ამბებს უკავშირდება. გამოვლინდებოდნენ ომის რეალური პროვოკატორები და დაისჯებოდნენ კონკრეტული დამნაშავეები, როგორც რუსულ, ისე ოსურ და ქართულ მხარეს.

ამ ომის აგორებაში საქართველო აბსოლუტურად არაფერ შუაშია, საქართველოს არაფერი წამოუწყია, პასუხი უნდა მოეთხოვოს მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილს და მის ბანდას. ქალბატონი ბენსუდას მასალებში, იქ, სადაც ნახსენებია „საქართველო“, ყველგან უნდა მოხდეს ჩასწორება ერთობლივი ტერმინით „სააკაშვილი და მისი ბანდა.“ საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ვინმეს ომი, როცა ქვეყნის თავდაცვის მინისტრს წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება მის ქვეყანაში, ფეხი-ფეხზე შემოდებული სადღაც კუნძულზე არის არაფხიზელ მდგომარეობაში და არ იჯერებს, რომ ომია ატეხილი, პროვოცირებული თუ ნამდვილი, არ აქვს მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში.

არანაირი საქართველოს იურისდიქციის აღდგენა არ იყო ამ ბანდის მიზანი, ხოლო რაც იყო, იდეალურად შეასრულეს. 8-ში არ დაწყებულა ეს პროვოკაციული ომი, უამრავი წინმსწრები პროვოკაციის ფაქტები და შესაბამისად მოწმეები არსებობს... იცით, თქვენ, აგვისტომდე რას შვრებოდნენ ეს სინდისგარეცხილები? „კუდის“ სპეცჯგუფები შედიოდნენ ქართულ და ოსურ სოფლებში ღამღამობით და სროლას ტეხდნენ, თითქოს ქართველებს ოსები ესროდნენ, ოსებს – ქართველები... რამდენიმე ჭურვი მიმდინარეობდა კონტარაბდული იარაღით ვაჭრობა, რომელსაც სათავეში ედგა სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია და მათი ბიზნეს-პარტნიორი იყო ერიკ გუდისი. საქართველოში იარაღის და საბრძოლო ტექნიკისა და მასალის მიმღები იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მის ბალანსზე ადიოდა და შემდეგ ხდებოდა გადაყიდვა იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ემბარგოები ადევს, მათ შორის, სირიაში და ყველგან, სადაც ტერორისტული დაჯგუფებები არსებობდა.

2007 წელს პარლამენტში გივი თარგამაძე შევიდა თხოვნით, რომ გაორმაგებულიყო თავდაცის სამინისტროს ბიუჯეტი, რომელიც 4,5 მლნ იყო და მილიარდიანი დაფინანსება გაუხდა. პირდაპირ არხებზე იყვნენ გასული და უკვე საჭირო გახდა იარაღის ჩამოწერა – იდეალური ვარიანტი იყო კონფლიქტის განახლება.

2008 წლის 8 აგვისტოს დილის 07.05 წუთზე რომ დაიწყო სააკაშვილის, ვიმეორებ, სააკაშვილის და არა საქართველოს არტილერიამ მასიური დაბომბვები, დანაშაულთან ერთად რამხელა სიბინძურე ჩაიფიქრეს, სპეციალურად ჩატოვეს



წვერიახლოს მთიდან ჩაყარეს ხეობაში... პარალელურად სხვა თადარიგებსაც იჭერდნენ – გორის რაიონის ბანკები დააცარიელეს უკვე მაისისთვის და უმთავრესი, გაძლიერებულად ხეობაში ქალები, ბავშვები და მოხუცები. მათ სჭირდებოდათ რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი საერთაშორისო საზოგადოების დასანახად, რასაც მოჰყვებოდა მათთვის სახეირო – ფული! რაც მეტი ლტოლვილი ეყოლებოდათ, მით მეტი სახეირო საქმე იქნებოდა. 4,5 მლრდ აშშ დოლარი შემოვიდა ლტოლვილთა პირობების გასაუმჯობესებლად და გაქრა ეს ფული ისევე, როგორც მორფი (გადაიყიდა), რომელიც ვითომ დაჭრილებისთვის იყო განკუთვნილი.

მოკლედ გეუბნებით, თორემ იმდენი მტკიცებულება გვაქვს... მთავარია, მიგვიღოს ფატუ ბენსუდამ, გავარღვიოთ როგორმე ის ბარიერი, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის გაძლევთ რამდენიმე დოკუმენტს, მათ შორის საიდუმლოს, რომლებზე კარგად ჩანს თარიღიც, დროც, ბრძანების შინაარსიც და ა.შ ყველაფერი. ეს ის დოკუმენტია,



...858864; ...056868

...056868 ...112732

...112732; ...977690; ...951682; ...868709

...868 709

7 აგვისტოს გაცემული ბრძანების პირველი გვერდი

რაც საკმარისია იმისთვის, რომ ნათელი მოეფინოს იმას, რის გადატრიალებასაც ასე გულმოდგინედ ცდილობენ. წარმოგიდგენთ მეორე დოკუმენტსაც, ბრძანება #164 რომლის მიხედვით 2008 წლის 7 აგვისტოს ქუთაისის ბატალიონი გორის მიმართულებით გადაისროლეს. რაც შეეხება რუსეთს – რუსეთის 58-ე არმიამ გადაადგილება დაიწყო 8-ში და შემოვიდა 9-ში, დილას, მათი მხრიდან არაერთი ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ, რომ შეეწყვიტა სააკაშვილს ცეცხლი და უკან გაეყვანა მებრძოლები ბუფერულ ზონამდე მაინც.

რა არის, იცით, ასეთ ინტერვიუებს რომ ვიძლევი, ამის გამო პირდაპირ მაკრავენ რუსეთის აგენტის იარლიყს, არადა, მე მხოლოდ ერთი ინტერესი მაქვს, აღარ განმეორდეს ისეთი რამ, რაც ავნებს ჩემ სამშობლოს, ჩემს ხალხს და მათ, ვინც უკვე მრავალჯერ უმტრო პირადი ინტერესების გამო, პასუხი მოეთხოვოთ.

ძალიან კარგად იცოდა მავნებელმა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ, რაც მოჰყვებოდა მათ ასეთ მოქმედებას, წინ ედოთ 1992 წელს დადებული „დაგომისის ხელშეკრულება“, რომლის თანახმად, რუსეთს უფლება ჰქონდა დამატებითი სამხედრო ძალის შემოყვანისა, მაგრამ სჭირდებოდათ თავიანთი კონტრაბანდული ბიზნესისთვის და გაყიდეს ქვეყანა ხალხიანად...

ამიტომ, ქალბატონმა ბენსუდამ, თუ მართლა სერიოზულად არ განწყობილი, პირდაპირ უნდა დაიწყოს სამართლებრივი დევნა სააკაშვილისა და მისი ბანდის წინააღმდეგ, რომლებმაც მოახდინეს 2008 წლის აგვისტოს ომის პროვოცირება.

ხაზგასმით ვამბობ – ომის დანაშაული აქვს ჩადენილი ოსურ მხარესაც, რუსულსაც, მაგრამ არა საქართველოს მხარეს, არამედ კონკრეტულად სააკაშვილსა და მის ბანდას!

**– თქვენი ეჭვი საით არის მიმართული, ვინ გიქმნით ბარიერს, რატომ ვერ მოახერხეთ ქალბატონ ბენსუდასთან შეხვედრა.**

– ეს უკვე ეჭვიც აღარ არის, რადგან არსებობს „რესპუბლიკური პარტია“ და ამავე პარტიის წარმომადგენელი, თავდაცვის მინისტრი ქალბატონი თინა ხიდაშელი და მისი მეუღლე; ასევე, იმავე პარტიის წარმომადგენელი და ამასთანავე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. თუკი ვინმე მნიშვნელოვან და წონიან ფიგურასთან შეხვედრაზეა საუბარი, უშვებენ იმ ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ფინანსდებიან „ნაციონალური მოძრაობისა“ და „რესპუბლიკელებისგან“ და არა ჩვენნაირად, ქართულად მოაზროვნეებს.

**გიორგი ჩხეიძე**



# „არ გავბრიყვდეთ და არ გავაპროტესტოთ მათი „ევრაპეისკი ნოუ ჰაუ“, თორემ ჩვენ იმისთანა რუსეთის აგენტურა ვიქნებით“...



ეროვნულ სასწავლო გეგმაში ახალი საგნების „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“-ს შემოტანამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი განათლების სამინისტროს სარწმუნიებრივ-ეროვნული ცნობიერების გადაგვარებაში, მოსწავლეების მამათმავლური ცნობიერებით მოწამვლასა და გარყვნის მცდელობაში ადანაშაულებს. საქართველოს მთავრობის და პარლამენტის სახელზე გაგზავნილ პეტიციაში, რომელსაც ხელს საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები აწერენ, ვკითხულობთ:

„ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, კატეგორიულად მოვითხოვთ თქვენგან, რათა არ დაუშვათ და აკრძალოთ როგორც ამ უბინძურესი გარყვნილების, მამათმავლობის დამნერგავი და სარწმუნოებისა და ეროვნული იდენტობის შეურაცხმყოფელი იდეოლოგიით გაჟღენთილი ახალი საგნების „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“-ს ახალი ვერსიის შემოტანა საშუალო სკოლებში, ასევე ამ სიბილწის ნებისმიერი ფორმით პროპაგანდაც.

ჩვენი ვალია დავიცვათ ჩვენი შვილები, რათა ისინი სულით და ხორცით ჯანსაღნი, წესიერნი, ზნეობრივნი, სამშობლოს მოყვარულნი და ღვთისმოსავნი გაიზარდონ.„ წერილს ხელს აწერენ ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანი ბრეგვაძე, ზურაბ ყიფშიძე, მერაბ ბერძენიშვილი, გიგა ბათიაშვილი, ლევან ვასაძე, ჯანსუღ ბაგრატიონი, ლაშა თაბუკაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, მამუკა ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ჯემალ ჭკუასელი, ლალი ბადურაშვილი, ვაჟა აზარიაშვილი, ელდარ შენგელაია და სხვები. ცნობისთვის, მოგვიანებით, პეტიციაზე ხელისმომწერთაგან რამდენიმემ საკუთარი პოზიცია შეცვალა. განათლების მინისტრმა მისი უწყების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს კონტრბრალდებით უპასუხა და მიმართვის ავტორებიც და ხელისმომწერებიც სიცრუეში დაადანაშაულა. თამარ სანიკიძის თქმით, ახალი საგნის არც ერთი ვერსია არ გულისხმობს სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების გადაგვარებას და საგნის სტანდარტის შემუშავება საპატრიარქოსთან ერთად ხდება.

„ამ მაპატიოს საზოგადოებამ და თუ საპატრიარქო, განათლების სამინისტრო სიტყვასიტყვით გადის ამ სტანდარტს, რატომ ვერ აღმოაჩინა ამ სტანდარტში ისეთი სიტყვები, როგორიც არის „მამათმავლო“, „უსაფრთხო სექსი“, „იდენტობა“ და ა.შ. უფრო მეტიც, როდესაც აკეთებენ განცხადებას, რომ პირველად ვერსიაში იყო გარკვეული საკითხები, რომელიც ეჭვს ბადებდა და ასახელებენ ისევ და ისევ ამ თემებს, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ყველა ვერსია მაქვს და არცერთ ვერსიაში მსგავსი არაფერი არ წერია.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივ მეცნიერებზე მუშაობა მიმდინარეობს, დამთავრდება და მივიღებთ ისეთი სახით, რის მიხედვითაც შევძლებთ წესიერი ლიტერატურის შექმნას, მასწავლებლის მომზადებას, გზამკვლევების დამუშავებას და ა.შ. ამ სპეკულაციას თავი უნდა დავანებოთ, სირცხვილია, იმ ადამიანებს, რომლებიც გულანთებულები ლაპარაკობენ რელიგიის სახელით, ავიწყდებათ, რომ ჩვენი რელიგია კრძალავს ტყუილს და ცილისწამებას“.

ცნობილია, რომ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, ამიტომ შევეცდებით მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ და გავიხსენოთ, როდის და როგორ დაიწყო სკოლაში მსგავსი ლიტერატურის შეტანაზე საუბრები.

საგანმანათლებლო სივრცეში უხამსი და ჰომოსექსუალური პროპაგანდის შემცველი ლიტერატურის გავრცელებაზე მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა განგაში წლების წინ, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ატეხა. კავშირმის მონიტორინგის სამსახურმა რამდენიმე საჯარო სკოლაში, დამხმარე ლიტერატურის სახით შეტანილი ლიტერატურა აღმოაჩინა. ქართულ ენაზე გამოცემული და 5-8 წლის ასაკის ბავშვებისთვის გამიზნული, ილუსტრირებული წიგნი „სიყვარულის ანბანა“, ბავშვებს ინტიმური ალერსის დეტალებზე, ქალისა და მამაკაცის სხეულზე, მათ სასქესო ორგანოებზე და სხვა დეტალებზე უამბობდა. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ჩარევისა და საზოგადოების მწვავე რეაქციის შემდეგ, წიგნების სკოლებში შეტანის პროცესი შეჩერდა.

შემდეგ იყო მე-20 საუკუნის სკანდალური ფრანგი მწერლისა და დრამატურგის, ჟან ჟენეს ავტობიოგრაფიული რომანი „ყვავილების ღვთისმშობელი“, რომელიც ქალაქ თბილისის 147-ე სკოლის VI კლასის მოსწავლეებს სახლში წასაკითხად გაატანეს. წიგნი, რომელშიც მწერალი საკუთარი ჰომოსექსუალური გამოცდილების შესახებ გვიამბობს, ერთ-ერთი მოსწავლის მამამ, სასულიერო პირმა ნახა და განგაში ატეხა. აღმოჩნდა, რომ წიგნები სკოლებში ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ევროკავშირის წიგნის კითხვის კვირეულის დროს განხორციელებული პროექტის „ვისაუბროთ წიგნებზე“ ცფარგლებში დაარიგეს. პროექტის ოფიციალურად დეკლარირებული მიზანი ბავშვებისთვის წიგნის კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავება და ევროპული ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო, თუმცა, ინფორმაციის მიწოდება სრულიად სხვა კუთხით მოხდა. განათლების სამინისტროსა და პროექტის ხელმძღვანელის განმარტება, რომ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის შემცველი ლიტერატურის 11 წლის ბავშვებთან შეტანა სავალალო შეცდომისა და მასწავლებლების დაუდევრობის გამო მოხდა, დამაჯერებელი არავისთვის აღმოჩნდა. მეტიც, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ დარწმუნებულია, რომ ევროპული სტრუქტურებიდან მიღებული რეკომენდაციები ბავშვებში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას ითვალისწინებს. ერთ-ერთ ინტერვიუში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თანათავმჯდომარე“ **ავთანდილ უნგიაძე** თავის მოსაზრებებს რეკომენდაციებიდან ამონარიდებით ადასტურებს. **„ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში წერია: „განათლების სამინისტრომ სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად უნდა შეიმუშაოს პროგრამები, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ინკლუზიურ განათლებას; მაგალითად შესაძლებელია სასკოლო პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩართვა.“**

**„სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს ეფექტური დაცვა ოჯახური ძალადობისგან. მათ შორის ფსიქოლოგიური ზეწოლისგან ოჯახის წევრთა მხრიდან, რომლებიც აიძულებენ არასრულწლოვან ლგბტ პირებს გაიარონ სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად.“**

**„ტრანსგენდერ პირებს ეფექტურად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ფსიქოლოგიურ და ენდოკრინოლოგიურ დახმარებაზე და ამ ხარჯებს საზოგადოებრივი ჯანდაცვა უნდა ფარავდეს“.**



მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ევროსაბჭოს რეკომენდაციებში განათლების სფერო ცალკე საკითხად არის გამოყოფილი: „საგანგაშოა, რომ საბჭოს რეკომენდაციაში ცალკე საკითხად არის გამოყოფილი განათლების სფერო. ამასთან, „ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე“, მშობელს მისი პათოლოგიების გამოსწორების უფლება ჩამორთმეული აქვს, მაშინ, როცა ცნობილი ფსიქიატრები და მედიკოსები ახერხებენ ასეთი გადახრების განკურნებას. ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს ეკლესიას. მრევლში ბევრი ასეთი ადამიანი მოვიდა, რათა ეს საშინელი პათოლოგია დაეძლია. ბევრმა მოახერხა კიდეც და უკვე ოჯახიც და შვილები ჰყავს. გვიკრძალავენ, რომ ჩვენი რწმენის შესაბამისად, ჰომოსექსუალიზმსა და მსგავს გამოვლინებებს ცოდვა ვუწოდოთ. ნელ–ნელა ხდება ლგბტ ურთიერთობებზე გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების კრიმინალიზაცია ანუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. (ასეთი სანქციები უკვე მოქმედებს შვედეთსა და ინგლისში) მშობლებს ერთმევათ უფლება შვილები აღზარდონ საკუთარი მრწამსის და ზნეობის შესაბამისად, რის უფლებასაც არა მარტო შიდა კანონმდებლობა, საერთაშორისო კონვენციებიც გვაძლევს. გვერთმევა უფლება ვიზრუნოთ საზოგადოებრივი ზნეობის დაცვისთვის და ა.შ.„-აცხადებს ავთანდილ უნგიაძე.

**ბუნებრივია, დავინტერესდით, რას ფიქრობენ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ახალი სავალდებულო საგნების გამოჩენაზე პედაგოგები, არსებობს თუ არა ახალი საგნების სწავლების აუცილებლობა და რეალურად, რა გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე სკოლა? ნოველისტი, ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ივდით კუხიანიძე აცხადებს, რომ დღევანდელ სკოლაში მოსწავლეებს მშობლიური ენის გრამატიკას არ ასწავლიან, ეროვნული გამოცდების პროგრამამხოლოდ სოციალური პრობლემატიკის ამარა არის დარჩენილი და ასეთ მოცემულობაში, სრულიად უსარგებლო და გაუგებარი საგნების დამატება არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს: „კიდევ ერთხელ უნდა დავარისხო ზარები: ვინც ქართულ კლასიკურ მწერლობას ეროვნულ სულს ამოაცლის და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამას მხოლოდ სოციალური პრობლემატიკის ამარა დატოვებს, ის არამარტო მშობ-**

ლიურ ლიტერატურას ჩეხავს და ხერხემალს უტეხს, არამედ სასიცოცხლო მაგისტრალს უკეტავს მომავალ თაობას და კლავს ერს!

ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ ხომ გაგვიგონია, ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო?

მეც ამას ვტირი, „კარგად რომ დავივიწყეთ“ ეს „ძველი ამბავი!“

„ისევ ეს ორი სათაური, ისევ ეს ორი ბანაკი! ისევ ეს „სიახლე“, რის დამკვიდრებასაც ასე დაჟინებით მოითხოვს „ახალი მოდის პრადვინუტი ქართული ევროპელობა“ და ის კი ვერ გაუგიათ, რომ ჭეშმარიტი ევროპული ღირებულებები სულ სხვა ფასეულობებზე გადის!

საუბარია ყურით მოთრეულ და თითიდან გამოწოვილ სასკოლო საგანზე, რომლის სახელწოდებაა „მე და საზოგადოება“. ისიც მომეხსენება, რომ წიგნი თურმე“ ბუნებაში არ არსებობს და არც არავინ აპირებს მის შეტანას სასკოლო პროგრამებში“, მაგრამ აჟიოტაჟი კი მაინც ამტყდარა და ამ „არარსებულ წიგნზე“ საათობით მიმდინარეობს სჯა-ბაასები ტელევიზიის ყველა არხსა თუ ჟურნალგაზეთში!

ეს ერთი კურიოზი, ახლა მეორე: ამ „არარსებულმა წიგნმა“ 7-13 წლის ბავშვებს უნდა ასწავლოს სასქესო ორგანოების არსებობა (ისე არ იციან!), მათი სხვადასხვაობა (ანუ გოგონამ უნდა იცოდეს, რომ ბიჭუნას სხვა ორგანო აქვს, ხოლო ბიჭუნამ ის, რომ გოგონას-სხვა!), გარდა ამისა, ამ ასაკის ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა პრობლემები შეიძლება ჰქონდეთ ამ მიმართულებით, რომ დროულად მიმართონ ექიმს, რათა თავიდან აიცილონ გართულებები, და, რაც მთავარია, რაც ყველაზე **მთავარია** - სკოლის მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ ჩაგვრა **ცუდია**, თუკი მის გვერდით ნაზი ქცევების ბიჭუნა, ან ბიჭური ქცევების გოგონა თანამოსწავლეობს, პატივი უნდა სცენ მათ „არჩევანს“ (ოღონდ რა „არჩევანს“, არ აკონკრეტებენ!) და სხვ. და სხვ. ჩემო კეთილო მკითხველო!

და ეს ყველაფერი უნდა ისწავლებოდეს (ნეტა,რა გვანერვიულებს, არარსებულ წიგნში! მაშინ, როცა სასკოლო პროგრამიდან ამოღებულია საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის გრამატიკის საგნები, ქართული ლიტერატურა დაჩეხილია და მთავარი ხერხემალი ამოცლილი აქვს, რომ აღარაფერი ვთქვა ფუნდამენტური მეცნიერების დარგებსა და დისციპლინებზე!

მთავარი დამავიწყდა: უი,დედა, არ გავბრიყვდეთ და არ გავაპროტესტოთ მათი „ევრაპეიჩისკი ნოუ ჰაუ“, თორემ ჩვენ იმისთანა რუსეთის აგენტურა ვაართ, იმისთანა ბნელები და ფანატიკოსები, რომა აი, სწორედაც ილიას პოდპორუჩიკი N-იც ვეღარას გვიშველის თავის იხლერის ბაღიან-გენერლებიანა!

ასე რომ, მართალია, ეს წიგნი“ არ არსებობს“, მაგრამ, თუ „იარსება“, ხმა არ გავიგო თქვენი, თქვენი.... უუუხხხ, თქვენიიიი!!!“ წერს სოციალურ ქსელებში ივდით კუხიანიძე.

„საერთო გაზეთის“ ნოველისტი, ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ივდით კუხიანიძე** ესაუბრა:



– 40 წელია მოზარდებთან, აბიტურიენტებთან და სტუდენტებთან ვმუშაობ, ამიტომ უშუალო და პირდაპირი შეხება მაქვს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამასთან. პირველი და უმთავრესი პრობლემაა, რომ სკოლაში არ არსებობს ქართული ენის გრამატიკის საათები და გაკვეთი-



ლები, რაც კატასტროფულ მდგომარეობას ქმნის. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს, რომლებმაც ეს ქვეყანა უნდა ააშენონ, მთლიანად უკლავენ ეროვნულ სულისკვეთებას. ანალოგიური მდგომარეობაა მშობლიურ ლიტერატურაშიც, რომელსაც ეროვნული და პატრიოტული სულსკვეთება საერთოდ აღარ აქვს. გამოშიგნული და „ხერხემალში გადატეხილია“ ქართული ლიტერატურის პროგრამა და მხოლოდ სოციალური თემატიკის ამარაა დარჩენილი. შედაგად მივიღეთ ის, რომ ბავშვებმა წერა-კითხვა არ იციან. ჩემთან მოდიან მეთორმეტე კლასელი აბიტურიენტები, რომლებმაც წერა-კითხვა და სიტყვების მნიშვნელობა არ იციან. ერთი სავალალო კურიოზი უნდა გითხრათ. მოსწავლეებთან „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ თავს ვხსნიდი, რომელსაც „უცნაური ნასკვი ქვია“. გაოგნებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ ბავშვებმა სიტყვა ნასკვის მნიშვნელობა ვერ გაიგეს. ერთმა მოსწავლემ მკითხვა მასწავლებელო, ნასკვი რა არისო და მეორემ „შეარცხვინა„ბიჭო, ნასკი როგორ არ იციო? როცა სისტემაში ასეთი პრობლემებია, როგორ შეიძლება, გარედან თავს მოხვეული, აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღებელი საგნების შემოტანაზე იფიქრო... ამას უკვე შეფარულიც აღარ ქვია, ძალიან კარგად ჩანს, რა უნდათ და საით მიაქანებენ ქვეყანას. მე ევროპული ღირებულებების წინააღმდეგი არ გახლავართ, ის რის დანერგვასაც ჩვენთან აპირებენ, უფრო ევროპული ღირებულებების პროფანაციაა. თავის დროზე, ისეთ ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში, როგორიცაა იტალია, საფრანგეთი და ინგლისი „მე და საზოგადოების“ მსგავსი საგნები ისწავლებოდა, მაგრამ როცა ნახეს, რა შედეგი მიიღეს, ეს საგნები პროგრამიდან ამოიღეს. ახლა ამის ჩვენთვის თავზე მოხვევა უნდათ და გვაჩეჩებენ, როგორც ჭეშმარიტებას და ევროპულ ღირებულებას, მაგრამ ეს ასე არ არის და ეს არ არის გზა, რომელიც ევროპამდე მიგვიყვანს. უკვე არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ამას აკეთებს ერთი მუჭა, საკუთარ, ვიწრო ინტერესებზე და უცხოურ ფულზე ორიენტირებული ჯგუფი, მაგრამ გაუგებარია, რატომ ვერ აგვარებს ამ პრობლემას ქვეყნის ხელისუფლება? რა არის ეს – თანამდებობის დაკარგვის შიში თუ კიდევ სხვა რამ? ასეთი შეშინებულები და დაგლახაკებულები რამ გაგვხადა? მიუხედავად იმისა, რომ ახალი საგნების მოწინააღმდეგეებს პუტინის მონებად, საბჭოთა გადმონაშთებად და აგენტებადაც კი მოიხსენიებენ, საკუთარი პოზიციის ღიად დაფიქსირების არასოდეს შემშინებია. სოციალურ ქსელშიც გამოვხატე ჩემი სათქმელი და ახლაც ვიტყვი, რომ მაშინ, როცა სასკოლო პროგრამიდან ამოღებულია საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის გრამატიკის საგნები, ქართული ლიტერატურა დაჩეხილია და მთავარი ხერხემალი ამოცლილი აქვს, (რომ აღარაფერი ვთქვა ფუნდამენტური მეცნიერების დარგებსა და დისციპლინებზე), ახალი საგნების შემოღება გაუმართლებლად მიმაჩნია.

**და ბოლოს, საქართველოს კონსტიტუციაში ოჯახისა და ბავშვთა უფლებებზე აღნიშნულია შემდეგი:**

**მუხლი 36**

**1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.**

**2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.**

**3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.**

**კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის ფიზიკური, სულიერი, ფსიქიკური, ფიზიოლოგიური და სხვა სახის ჯანმრთელობა:**

**მუხლი 37**

**3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში...**

**ეს უკანასკნელი ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ შეზღუდოს ან საერთოდ აკრძალოს ნებისმიერი იდეოლოგია თუ მოძღვრება, მიმდინარეობა თუ სწავლება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის, განსაკუთრებით კი მოზარდის ჯანმრთელობას, იქნება ეს ფიზიკური სულიერი ფსიქიკური, ფიზიოლოგიური თუ სხვა. ჰომოსექსუალიზმის მავნე ზეგავლენა ადამიანის, განსაკუთრებით მოზარდის ჯანმრთელობაზე საყოველთაოდ ცნობილია და ამაზე თვალის დახუჭვა დანაშაულია ერისა და მომავალი თაობის წინაშე.**

**მნიშვნელოვანია ისიც, რომ მშობელთა უფლებები, დაიცვან თავიანთი შვილები ნებისმიერი, მათთვის მიუღებელი ზეგავლენისაგან, მათ შორის, ჰომოსექსუალიზმისაგან, გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილითაც, რითაც ამ ფაქტზე ხელმომწერი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ მშობელთა თავისუფლებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად.**

**წერილს ცნობილი ფსიქიატრის ფრანცესკო ბრუნოს (კრიმინოლოგი, ფსიქიატრი, პროფესორი, რომის სალერნოსა და La Sapienza-ს უნივერსიტეტების მასწავლებელი) სიტყვებით დავამთავრებთ, რომელიც ამბობს: „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება, არ ისაუბროს ჰომოსექსუალიზმზე, როგორც დაავადებაზე... მაგრამ მე ჩემს აზრზე ვრჩები და არ მეშინია გეების მხრიდან ბრალდებებისა. ჰომოსექსუალიზმი - ეს ნორმიდან გადახრაა... კონცეპტუალური თვალსაზრისით, ჰომოსექსუალი ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც ინდივიდი, რომელსაც არ ესმის და ვერ ხედავს... გეები, სექსუალური თვალსაზრისით, სხვაგვარად არიან ორიენტირებულნი, და ეს განსხვავება მიუთითებს ნორმიდან გადახრას... ის, ვინც საუბრობს, რომ მამა ან დედა კმაყოფილია შვილების განსხვავებული ორიანტაციით და დასაშვებად მიიჩნევენ ბავშვთა ქცევას, მშვენივრად იცის, რომ ეს სიცრუეა. ორივე მშობლის მხრიდან იმის შეგნება, რომ ბავშვებს ასეთი ორიენტაცია აქვთ, დიდი ტრამვაა... მომეტებულ ტოლერანტობას ნორმიდან გადახრის მიმართ, და ასეთად უნდა აღვიქვათ ჰომოსექსუალიზმი, მივყავართ იქითკენ, რომ ადამიანებს უკვე აღარ ესმით, რა არის ცუდი და რა კარგი“.**




ნელი თორდია
571 35 36 88






## გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ბანკი შენ გეხებას“ საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ცოტნე ლომიძე

— **ცოტნე, რას ნიშნავს „ბანკი შენ გეხება“?**

— არავინ იფიქროს, რაიმე პირდაპირი შეხება მქონდეს ბანკთან, უბრალოდ, დიდი ხანია მაწუხებს საზოგადოებაში გაჩენილი პრობლემები, რომლებსაც ბანკები ქმნიან და დავინტერესდი ამ საკითხით.

ძალიან იშვიათია საქართველოში ადამიანი, რომელსაც არ ჰქონია ბანკის სესხი, ან არ აქვს ახლა. სესხები, ძირითადად, გაიცემა დოლარში და ლარის კურსის ვარდნამ სესხის დაფარვის პრობლემა შეუქმნა მოსახლეობას. შესსაბამისად, ბანკები არანაირ შეღავათებს არ ქმნიან მათთვის, ვისაც სესხის დაფარვის

— **ცოტნე, რას ნიშნავს „ბანკი შენ გეხება“?**

— არავინ იფიქროს, რაიმე პირდაპირი შეხება მქონდეს ბანკთან, უბრალოდ, დიდი ხანია მაწუხებს საზოგადოებაში გაჩენილი პრობლემები, რომლებსაც ბანკები ქმნიან და დავინტერესდი ამ საკითხით.

ძალიან იშვიათია საქართველოში ადამიანი, რომელსაც არ ჰქონია ბანკის სესხი, ან არ აქვს ახლა. სესხები, ძირითადად, გაიცემა დოლარში და ლარის კურსის ვარდნამ სესხის დაფარვის პრობლემა შეუქმნა მოსახლეობას. შესსაბამისად, ბანკები არანაირ შეღავათებს არ ქმნიან მათთვის, ვისაც სესხის დაფარვის სურვილი აქვს. დღევანდელი მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე ბანკზე, ასე ვთქვათ, მიბმულია მოსახლეობა — „ბანკი ჩვენ გვეხება!“

მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ საქართველოში არსებული 19 ბანკიდან 18 უცხოური ბანკია, ანუ საბანკო სექტორში 77-80% უცხოეთიდან შემოსული კაპიტალით შექმნილი ბანკებია, რაც ნიშნავს, რომ ისინი იმ ქვეყნის საფინანსო ორგანიზაციებზე არიან ანგარიშვალდებულნი, რომელი ქვეყნების კაპიტალით არის დაფუძნებული ესა თუ ის ბანკი. ამიტომაც კერძო ბანკები დოლარში სესხის გაცემის პროპაგანდას პირდაპირ ეწევიან.

მოსახლეობა კი, რომელიც არასაკმარისად არის ინფორმირებული საფინანსო და საბანკო ოპერაციებში, ვერ ახერხებს იმის გარკვევას, რომ მას გაუჭირდება დოლარში თანხის გადახდა მაშინ, როცა შემოსავალი აქვს ლარში და რადგან ლარის კურსის მერყეობა მოსალოდნელია, დიდია ალბათობა, სესხის ოდენობა გაიზარდოს, აქედან გამომდინარე, არარეზიდენტი ბანკები პირდაპირ მუშაობენ დოლარზე, მათაც მიუძღვით დიდი წვლილი ლარის კურსის მერყეობაში.

— **ასეთ დროს ხელს ხელისუფლებისკენ იშვერენ და ლარის კურსის კატასტროფულ მერყეობას მცდარ ფისკალურ პოლიტიკას უკავშირებენ.**

— სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს ლარის კურსის გამყარებას, თუმცა ეკონომიკის სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო ამას ვერ შეძლებს. მათი მოვალეობაა მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რომლებიც, თავისთავად ცხადია, არაქართულ ვალუტაში შემოედინება ქვეყანაში, გაიზრდება დოლარის ბრუნვითი წილი და აქედან გამომდინარე, გამყარდება ლარიც, მაგრამ იმ პირობებში, როცა ეროვნული ბანკის პირდაპირი მოვალეობაა ლარის კურსის გაკონტროლება და შესაბამისი ბერკეტების გამოყენება, რომ ლარის კურსი არ დაეცეს, იქცევა პირიქით, და რადგან ის არის დამოუკიდებელი სუბიექტი, ვერ აკონტროლებს ვერც ხელისუფლება და ვერც საკანონმდებლო ორგანო.

ეროვნული ბანკი დრეს ამ საკითხთან მიმართებაში ცალსახად ანტისახელმწიფოებრივ მიდგომებს ახორციელებს.

დღეის მონაცემებით, 800 მლნ დოლარი არის გამოშვებული ეროვნული ბანკის მიერ არარეზიდენტი ბანკებისთვის. ეს ის თანხებია, რომლებიც არ არის ბრუნვაში ჩაშვებული, რაც ნიშნავს, რომ არარეზიდენტი ბანკების მხრიდან დოლარის შესყიდვასა და გაყიდვას შორის სხვაობა 800 მლნ დოლარია. შეიძლება ყოველივე ეს მაღალ პროცენტებს არ იძლეოდეს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებისას, მაგრამ ის, რომ 800 მლნ დოლარი პირდაპირ გადავიდა არარეზიდენტ ბანკებზე და დიდი ეჭვი მაქვს, რომ მათ ეს თანხა ქვეყნიდან უკვე გაიტანეს, რაც კიდევ ერთი ფაქტორი აღმოჩნდა ლარის კურსის ვარდნის პროცესის გასართულებლად.

ეროვნული ბანკი არ მოქმედებს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ხელისუფლებას კი არ აქვს კონტროლის პირდაპირი მექანიზმი, ამიტომაც ვერ დავადანაშაულებთ ხელისუფლებას შემქნილი ვითარების გამო.

— **რატომ შეიძლება უნდოდეს ეროვნულ ბანკს რეზიდენტი ბანკების გაძლიერება?**

— მშვენივრად ვიცით, ვინ მართავს ეროვნულ ბანკს. იმ ჯგუფის წარსულიც მშვენივრად ვიცით, რომელი ჯგუფიც ეროვნულ ბანკშია თავმოყრილი. ის წინა რეჟიმის ნარჩენებისგან შედგება და ამით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი. ეროვნული ბანკი დღეს პოლიტიკურად არის მოტივირებული, მათი მიზანია, ზიანი მიაყენონ ხელისუფლებას, რითაც ქვეყანას აყენებენ ზიანს. ეს არ არის ახალი ამბავი. „ნაცმოძრაობა“ და მისი ნარჩენები ანტისახელმწიფოებრივად მოქმედებენ დღემდე. მათი განცხადებები საზღვარგარეთ ლახავს ჩვენი ქვეყნის იმიჯს.

— **ცოტნე, მოსახლეობამ აღებული სესხები რა ფორმით და როგორ უნდა დააბრუნოს? ყველას გვესმის, რომ ეკონომიკური პრობლემები ართულებს საბანკო ვალდებულებების შესრულებას, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სესხი ხომ უნდა დააბრუნონ?**

— რა თქმა უნდა, მოსახლეობამ ვალი უნდა დააბრუნოს, თუმცა, დღეს არსებული მდგომარეობით, ნებისმიერმა ბანკმა უნდა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა და მოსახლეობას მისცეს საშუალება, სესხი დაფარონ.

ისე, როგორც, მაგალითაც, „ვი-თი-ბი ბანკი აზერბაიჯანმა“ ძალიან დიდი შეღავათები გასცა მოსახლეობისთვის, თუნდაც მანათის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით, ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით და ა.შ. ვფიქრობთ, ჩვენი ბანკებიც ვალდებულნი არიან მისცენ მოსახლეობას შესაძლებლობა, დაფარონ სესხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი არაფერი არ შეიცვალა, ჩვენ დავკარგავთ საშუალო და მცირე ბიზნესს.

რამდენიმე დღის წინ ჩემს ერთ მეგობართან მქონდა საუბარი, რომელსაც საოჯახო სასტუმრო აქვს ბაკურიანში. ის იძულებულია შეწყვიტოს საქმიანობა, რადგან ველარ ახერხებს სესხის დაფარვას და წლიურად 50 000 ლარით მეტის გადახდა უწევს. ეს პატარა სასტუმროსთვის უზარმაზარი თანხაა. ჩემი მეგობარი ამ სასტუმროს ყიდის, რადგან არ შეუძლია ბიზნესსაქმიანობის გაგრძელება.

თუკი ბანკები არ გამოიჩენენ ინიციატივას და არ გადადგამენ შემხვედრ ნაბიჯებს მოსახლეობისკენ, საბოლოო ჯამში, მივიღებთ იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად დაინგრევა, არ გვექნება მცირე და საშუალო ბიზნესი და დავრჩები ბანკების ამარა, რომლებიც, ალბათ, მერე ერთმანეთს მისცემენ სესხებს, რადგან მსესხებელი არ ეყოლებათ.

ბანკებმა შეღავათები უნდა განახორციელონ მოსახლეობისთვის.

— **ბანკების ე. წ. ჰეგემონია თითქმის სამ ათეულ წელს ითვლის საქართველოში და მათი შეღავათებით ჯერ არ გვისარგებლია. პირიქით, ბანკებისგან გაძარცვული და სახლ-კარდაკარგული ბევრი გვინახავს. ამიტომაც მოსახლეობას ნაკლები იმედი აქვს, რომ ბანკი რაიმე ტიპის შეღავათს გაუწევს.**

— ჩვენს მოსახლეობას ბანკებთან დამოკიდებულების მძიმე გამოცდილება აქვს. 90-იან წლებში ბანკებმა გაძარცვეს მოსახლეობა. ვისაც რა დანაზოგი ჰქონდა, შეატანინეს გაურკვეველი პირობებით — თანხის გაორმაგების დაპირებებით და ა.შ. და მოსახლეობაში რაც იყო დანაზოგი, მთლიანად ამოხაპეს, ხალხი გაალატაკეს, შემდეგ დაიწყეს პრივატიზაციის პროცესი, მაგრამ ფული არავის არ ჰქონდა და შესაბამისად, ვერც პრივატიზაცია შეძლეს.

ახლა ბანკებისა და მოსახლეობის დამოკიდებულება მეტნაკლებად შეიცვალა, უფრო ცივილიზებული გახდა და ბენკებმაც სხვა მეთოდებს მიმართეს, მოსახლეობისგან ფულის ამოსაღებად. უნდა აღვნიშნო ზედმეტად აგრესიული საბანკო მარკეტინგის შესახებ და ონლაინ-გამსესხებლების აქტიურობის თაობაზეც. ესენი პირდაპირ ძალადობით აჩეჩებენ მოსახლეობას სესხს. აგზავნიან სმს-შეტყობინებებს მობილურ ტელეფონებზე, ქუჩებში გამოკრულია სესხების შესახებ რეკლამები და ა.შ. ყოველივე ეს ამახსოვრდება ადამიანს და როდესაც ფინანსური პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, პირდაპირ ბანკს აკითხავს და არ იციან, რომ ბანკი არ არის გამოსავალი — ბანკიდან გამოტანილი თანხით ფულს ვერ იშოვნი, მეტიც, მისი დაბრუნება დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ისეთი დიდი რაოდენობის პროცენტები აქვთ, რომ მოსახლეობამ, ეს რომ უბრალოდ გაიაზროს, სესხს საერთოდ არ აიღებდა.

— **მოსახლეობის დიდი ნაწილი გათვითცნობიერებული არ არის, თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ ონლაინ-სესხებით განსაკუთრებით ახალგაზრდები სარგებლობენ, რომლებიც ნაკლებად ინტერესდებიან ბანკების მაქინაციებით.**

— არც ერთი ონლაინ-გამსესხებელი არ ითხოვს ცნობას სამუშაო ადგილიდან, არ ხდება პირის იდენტობის დადგენა. ყოფილა შემთხვევები, როცა ოჯახის წევრებს სულაც არ სცოდნიათ, რომელიმეს ონლაინ-სესხი რომ ჰქონია აღებული. მე მქონდა საუბარი ადამიანთან, რომლის შვილმა გამოიტანა ონლაინ-



სესხი და მშობელს დაეკისრა გადასახდელად 650 ლარი.

გასაგებია ყველაფერი, მაგრამ ჩვენ არ ვითხოვთ დღეს რაიმე განსაკუთრებულს – ბანკებმა შეღავათები გაუწიონ იმ მოსახლეობას, რომელიც ლარის კურსის ვარდნის გამო კატასტროფულ ვითარებაში აღმოჩნდა.

სამწუხარო ისაა, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, შემოგვესია უცხოური კაპიტალი ბანკების საშუალებით, საბოლოო ჯამში, იმ მიზნით, რომ დაიმორჩილონ მოსახლეობა, რადგან რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით უფრო ნაკლებად ინფორმირებულია მისი ხალხი და შესაბამისად, მისი გაძარცვა და დამორჩილება უფრო ადვილი ხდება. მოსახლეობა იძულებულია აიღოს სესხი. სესხის ამოღება როგორც ხდება, ყველას მოგვეხსენება. ეს კიდევ სხვა პრობლემაა – ყველა ბანკს და ონლაინ-გამსესხებელს ჰყავს თავისი ამოღების სამსახური, რომელიც მუშაობს 90-იანი წლების რეკეტის მსგავსად. იგივე მიმართვებითაც: „ფული გაქვს მოსატანი, ბიჭო“, „სესხს რომ იღებდი, მაშინ რატომ არ გახსოვდა, რომ არ გქონდა“ და ა.შ. იწყება მერე დეპრესიები, ინგრევა ოჯახები და ხდება ათასი უბედურება, თავს იკლავენ ადამიანები. ძნელია, როცა გირეკავენ ყოველდღე და გაშინებენ, რომ გამოუშვებენ ოთხი-ხუთი კაცისგან შემდგარ გაურკვეველი ფუნქციის ჯგუფს, რომელიც მოვა მათთან სახლში და წამოიღებს ნივთებს, წაართმევს ქონებას, არადა, არავის აქვს უფლება მოქალაქეს ქონება წაართვას, თუ ის არ არის კონკრეტული სესხის გარანტი. რომ ლომდე მიიტანს, დიდი მნიშვნელობა ექნება მოქალაქის მიერ დაფიქსირებულ მიზეზებს.

– **რაც შეეხება ლომბარდებს?!**

– ბანკი უფრო ლმობიერია ხშირად, ვიდრე ლომბარდი, რადგან ლომბარდში თავდებობითაც კი არ გაძლევენ თანხას.

ოქროზე პროცენტი დავარდა რატომღაც, მაგრამ ტექნიკაზე დღემდე რჩება წარმოუდგენლად დიდი პროცენტები. მაგალითად, 10 დღეში გადასახდელია 10%. უფრო მარტივად – ვთქვათ, კომპიუტერი ჩავდე ლომბარდში 100 ლარად, რაც ნიშნავს, რომ ყოველ 10 დღეში უნდა გადავიხადო ლომბარდისთვის 10 ლარი, თუკი პირველივე 10 დღეში გამოვიტან ჩემს ნივთს, ხომ კარგი, მაგრამ თუ გადავაცილე 100 დღე, გამოდის, რომ 200 ლარი უნდა გადავიხადო, რაც ნიშნავს – მუშაობენ წელიწადში 360%-ზე. არ ვსაუბრობ ჯარიმებზე, მომსახურების თანხებზე და ა.შ.

ონლაინ-გამსესხებლები ხომ საერთოდ ყველა ზღვარს გადასცდნენ. ერთ-ერთი მათგანის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 1174%-ია.

ყველაზე მინიმალური წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, როგორც მახსოვს, 435% გახლავთ.

ნებისმიერ ონლაინ-გამსესხებელს გადაცილებაზე კატასტროფული ჯარიმები აქვს – თუ, დავუშვათ, ერთი თვე გადააცილე, აღებული თანხის გადახდა შეიძლება სამმაგად მოგიწიოს.

გასაგებია, რომ თავიდანვე ხელშეკრულებაში ყველაფერი წერია, მაგრამ ეს ხელშეკრულებაც ხომ



აშინებენ მოსახლეობას, თითქოს მივლენ და ქონებას წაართმევენ, ეს არის აბსურდი.

მოსახლეობას აშინებენ სასამართლოთი, თუმცა, პირველ რიგში, თავად არ აწყობთ სასამართლოში ჩივილი. რადგან, როცა სასამართლოში შედის სარჩელი. სასამართლო ადგენს პირსაგამტეხლოების და სხვა ტიპის ჯარიმების ჩამოწერას და მოქალაქეს აკისრებს მხოლოდ და მხოლოდ საწყისი თანხისა და გარკვეული პროცენტის გადახრის ვალდებულებას, ითვალისწინებს მოქალაქის სოციალურ მდგომარეობას. ამიტომაც ბანკთან დავის მოგვარება მოქალაქეს სასამართლოში უნდა ერჩივნოს – როდესაც ბანკი მას სთხოვს ვალის გადახდას, მოქალაქემ უნდა უპასუხოს, რომ უჩივლოს ბანკმა სასამართლოში.

ჩემი პირველი რჩევა მოსახლეობისადმი იქნება: ნუ დაემალებიან ვალდებულებებს, ნუ გაექცევიან ბანკის თანამშრომელთან დიალოგს, დაწერონ ოფიციალური განაცხადი, რის გამოც ვერ იხდიან ვალს, რადგან თუ ბანკი საქმეს სასამართლოდე რაღაც კანონს უნდა დაექვემდებაროს.

– **რა გეგმები გაქვთ, ბანკებისა და მოსახლეობის ურთიერთობების დარეგულირების რა მექანიზმებს გამონახავთ?**

– დასაწყისისთვის, ალბათ, ეროვნულ ბანკს მოვთხოვთ რეალურად იზრუნონ ლარის კურსზე – მეტი უცხოური ვალუტა შემოიტანონ ქართულ ბაზარზე. ბანკებმა გაითვალისწინონ ქვეყანაში შექმნილი ვითარება და შეღავათები დაუწესონ მათ, ვისაც ძალიან უნდა სესხის უკან დაბრუნება, რადგან, ზოგადად, ძალიან ცოტაა ადამიანი, ვისაც არ აქვს სესხის დაფარვის სურვილი. ბანკები ვალდებულნი არიან აიღონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მისცენ მსესხებლებს შეღავათები. ვაპირებთ „ვებრძოლოთ“ ონლაინ-გამსესხებლებს. ყოველივე ეს იმდენად მძიმე პრობლემებია საზოგადოებისთვის, რომ, საბოლოო ჯამში, შეუქცევად პროცესებამდე მიგვიყვანს, რაც ეკონომიკურ კოლაფსს გამოიწვევს.

**ირანდა კალანდაძე**
5923 56 11 18

# „სამშობლო, როგორც უფალი“...

სამწუხარო რეალობაა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი თავისი ქმედებით (თუ უმოქმედობით), ფაქტობრივად, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ოპონენტია. გავიხსენოთ, შარშან რამდენ კანონს დაედო ვეტო. ქვეყნის პრეზიდენტი ოპოზიციის წარმომადგენლებს რომ ხვდება, ვერაფერს იტყვის ადამიანი, მართლაც კარგი, გამართლებული ნაბიჯია. გაუგებარია მისი „ქღურტული“ დამნაშავე რეჟიმის – „ნაცმოძრაობის“ წევრებთან. პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება სრულიად „გირჩის“ და „ნაცმოძრაობის“ განცალკევება. ერთი შეხედვით, გასაკვირი არც ის გარემოება გახლავთ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივარი „ნაცმოძრაობასთან“ ერთად შეაქვს იმ პარტიას, რომელიც თითქოს მას ებრძოდა. მათი ეს მოქმედება, ერთის მხრივ, მოსახლეობაში ეჭვს ბადებს, მეორეც ის არის, რომ დამნაშავე რეჟიმის პარტიას ავტორიტეტს უმყარებს. ყოველივე ამას კი შორსმიმავალი მიზნები აქვს. შემთხვევითობა არ არის მათი აზრების თანხვედრა.

ხელისუფლებასა და ქვეყანასთან ბრძოლაში განსაკუთრებული, ზია. საქართველოში თავისუფალი მედია იზღუდებაო, გაიძახიან, მაგრამ რით და როგორ, ფაქტებს ვერ ასახელებენ. ყოველივე ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენს ქვეყანას აკნინებენ. თუმცა, ქვეყანაში ვითარების შავ ფერებში დახატვას შორსმიმავალი მიზნები აქვს.

მოსამართლეთა ტესტირებაზე ერთ-ერთმა მოსამართლემ მაქსიმუმი, 100 ქულა დააგროვაო და, ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, ვერსიების კორიანტელი, როგორ შეძლო ადამიანმა, რომელიც მოსამართლეობაზე პრეტენზიას აცხადებს, ყველა კითხვის



დაივიწყა. გიორგი მარგველაშვილმა ერთი-ორჯერ თუ ახსენა თავის გამოსვლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ საქმით თითი თითზე არ დაუკარებია, პრაქტიკულად კი არა, თეორიულადაც არ შეუთავაზებია თავისი წინადადება თუნდაც საქართველოს მოსახლეობისთვის. უბედურებაც ის გახლავთ, რომ თავის პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებს და სხვას აკრიტიკებს.

საქართველოს პარლამენტში ყოველწლიური მოხსენების შემდეგ ერთ-ერთ ტელეარხზე ირონიულად განაცხადა: „...ისე გამოდის, თითქოს საქართველოს მტერი ვყოფილვარო“. ჩვენს ფილოსოფოს პრეზიდენტს შევახსენებთ, რომ ზოგჯერ უმოქმედობაც მტრობაა. დიახ, პრეზიდენტი, ფაქტობრივად, უსაქმოდ გვყავს, რადგან თავის პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებს. ქვეყანაზე გული რომ შესტკიოდეს თუნდაც ერთხელ მაინც, ნეიტრალურ, მესამე ქვეყანაში შეხვდებოდა იგივე რუსეთის ხელისუფალთ.

ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი მხოლოდ საქვეყნო საქმეებისთვის არის გულგრილი, ის, უბრალოდ, დასაყრდენ ძალას, პოლიტიკურ პარტიას ეძებს, ადგილს იჯავშნავს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, იქით გადასკუპდეს.

პოლიტიკური პარტიების მიზანი გასაგებია, ისინი ყოველთვის იბრძვიან პირველობისთვის. თუმცა ზოგიერთ მათგანს, პროგნოზების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად არ შესწევთ ძალა, გადალახონ ბარიერი და მოხვდნენ პარლამენტში. ამიტომაც ეძებენ თანამოაზრეებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრ მათგანს უკვე აქვს ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება. როგორ შეიძლება ახალაღმოცენებული მთავარი როლი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს აკისრიათ, გამორჩეულად მათ, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან. თუმცა დღემდე გაურკვეველია, რომელი ორგანიზაცია კონკრეტულად ვისგან და რამდენით ფინანსდება. „ეს ინფორმაცია კონფიდენციალურიაო“, ამბობენ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები. არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ჩვენს გაზეთში ბევრჯერ დაიწერა და ამიტომ ახლა დაწვრილებით არ შევჩერდებით მათ საქმიანობაზე. ერთი კი უნდა ითქვას, ეს ხალხი იმდენად გათამამდა, რომ კერძო საკუთრების აქციონერთა შეკრებაზე დასწრებასაც კი ითხოვენ!

სამწუხაროდ, მათ გაფეტიშებაში ჩვენს კოლეგა ჟურნალისტებს მიუძღვის დიდი წვლილი, რადგან ყველაფერზე ჭკუას მათ ეკითხებიან. ისინიც დაყენებული სახეებით მიედ-მოედებიან და ხშირად სოფიზმამდე მიდიან. როგორ შეიძლება ძალოვან სტრუქტურებზე ლაპარაკობდეს ადამიანი, რომელსაც ერთი დღეც არ უმუშავია იქ. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, წარმოდგენა არ აქვთ არც საჯარისო ნაწილებზე და არც პოლიციაზე. ექსპერტობისთვის, ბატონებო, მხოლოდ თეორიული ცოდნა არ კმარა, აუცილებელია, ადამიანი სტრუქტურას შიგნიდან იცნობდეს.

რადგან ჩვენს კოლეგებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ხშირად რომელიღაც პოლიტიკური პარტიის გავლენიდან დღემდე ვერ (ან არ) გამოსულან. ნებისმიერ კერძო, თუნდაც ბიზნესდავას ცდილობენ, პოლიტიკური ელფერი მისცენ. სისხლის სამართლის კოდექსიდან ცილისწამების მუხლის ამოღებამ ხომ თითქმის მთლიანად გააყვითლა ჩვენი პრესა-ტელევითვის ეპასუხა! როგორც ზემოთ ვთქვით, შემთხვევით არაფერი ხდება. ეს აჟიოტაჟიც ქვეყანაზე შეტევის ერთ-ერთი ნაწილია. სირცხვილი ის იქნებოდა, რომ მოსამართლის მანდატისთვის პრეტენზია გაუნათლებელ, უცოდინარ ადამიანს ჰქონოდა. თუმცა სწორედ იოლად მართვადი ჩინოვნიკები სჭირდებათ ჩვენი ქვეყნის ავისმსურველებს.

სამწუხაროდ, ზოგიერთებისთვის ცნება სამშობლო, პატრიოტიზმი მიუღებელ და. ლამის სალანძღავ სიტყვებადაც იქცა. მათთვის საქართველო მხოლოდ ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ. საქვეყნო საქმის კეთება ან პატრიოტიზმი ხომ სასაცილოა. ყოველივე ეს კარგად გათვალა სატანამ, რომელიც ცდილობს, საქართველოში კვლავ მოაწყოს არეულობა, რომელიმე ფერის რევოლუცია. სწორედ ამისთვის იმზადებენ ნიადაგს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს თავი შეაცოდონ – ვიტანჯებითო. არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში, რომელიც გარდაუვალია, დაიწყებენ არეულობას. რამდენიმე ასეული სულგაყიდულის პოვნა, რომლებიც ფიზიკურადაც გაიყიდებიან, პრობლემას არ წარმოადგენს. სწორედ ამისთვის ემზადებიან ვაი-პოლიტიკოსები. ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთ არეულობას როგორ გაუძლებს, ძნელი წარმოსადგენი სულაც არ არის. სატანისტებს კი სულაც არ ანაღვლებთ არაფერი, ისინი ხომ უსამშობლოები არიან. მათთვის მთავარია, დღეს თავად იყვნენ კარგად, თორემ მათ შემდეგ თუნდაც ქვა-ქვაზე ნუ დარჩება. ამიტომ ახლა თავისი გადამწყვეტი სიტყვა მართლა პარტიოტებმა, სამშობლოზე მზრუნველმა ხალხმა უნდა თქვან.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# იმ ინტრიგების უკან, რაც „მაესტროს“ გარშემო ვითარდება, გია ხუხაშვილი დგას?!

## ბიძინა ივანიშვილი მზად უნდა იყოს იმ დიდი ღალატის აღსაკვეთად, რასაც მას ბატონი ხუხაშვილი უმზადებს

**ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში, რომლის დაძაბულობაც პიკს აღწევს, უფლებადამცველი გიორგი ფარესიშვილი გია ხუხაშვილის ინტერესებს ხედავს. მისი აზრით, იმ ინტრიგების უკან, რაც „მაესტროს“ გარშემო ვითარდება, ბატონი ხუხაშვილი დგას. რა არგუმენტების საფუძველზე აკეთებს გიორგი ფარესიშვილი ხსენებულ განცხადებას, თავად მას მოვუსმინოთ.**



- გია ხუხაშვილი რომ პატარკაციშვილების ოჯახთან დაახლოებული პირია, არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, სხვათა შორის, სააქციო საზოგადოება „მაუდის“ აქციონერები, რომლებსაც პატარკაციშვილების ოჯახმა კუთვნილი თანხის ანაზღაურებაზე უარი უთხრა, ამ საქმეში გია ხუხაშვილის როლზე საუბრობდნენ. მოგეხსენებათ, „მაუდი“ თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილმა შეისყიდა, რამდენად კანონის დაცვით მოხდა ყიდვა-გაყიდვა, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. ფაქტი ერთია, რომ აქციონერებს პრეტენზიები ბატონი ბადრის სიცოცხლეშივე ჰქონდათ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, როდესაც მისმა ოჯახმა წართმეული ქონება დაიბრუნა, ამ ხალხს ვალის გასტუმრებაზე უარი უთხრეს. სასამართლოში დავის გარდა ეკონომიკის მინისტრსაც შეხვდით (2013 წელი), თუმცა უშედეგოდ, ყოველთვის რაღაც უხილავ ბარიერს ვაწყდებოდით, ხუხაშვილის აქტივობა შევნიშნეთ, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდაო. აქედან გამომდინარე ფიქრობდა ეს ხალხი, რომ მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობაში ხუხაშვილის ხელიც ერია. ახლა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებით აქტიურად ფიგურირებს ირაკლი რუხაძის სახელი, რომელიც თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორი იყო და მისი სიკვდილის შემდეგ, წლებია, პატარკაციშვილების ოჯახის ქონებას მართავს. ასე რომ, რუხაძე და ხუხაშვილი ერთმანეთისთვის უცხონი არ არიან და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შეთანხმებულად მოქმედებენ. სანამ უშუალოდ „მაესტროს“ თემაზე ვისაუბრებთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ტელეიმედს. ჩემი ინფორმაციით, გია ხუხაშვილი აქტიურად ერეოდა და ერევა ხსენებული ტელეარხის სარედაქციო პოლიტიკაში. მოგეხსენებათ, ერთი პერიოდი დაპირისპირებული ვიყავი როგორც ხუხაშვილთან, ისე გენპროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილთან და შს მოადგილე გელა ხვედელიძესთან, როდესაც ღიად ვსაუბრობდი მათ ინტერესზე კვერცხის ბიზნესთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, მხოლოდ „მეცხრე არხი“ აშუქებდა ობიექტურად ამ თემას. ჩემთან ინტერვიუს „იმედიც“ იწერდა, მაგრამ ხუხაშვილთან, ნაცვლიშვილთან და ხვედელიძესთან დაკავშირებით, რაიმე მწვავე განცხადებას რომ ვაკეთებდი, ან საერთოდ ამოღებული იყო, ან გაკვრით იყო, ანდა დამახინჯებული ფორმით. ლაშა ნაცვლიშვილს მოგვიანებით სხვებიც აკრიტიკებდნენ, მაგრამ ამ კრიტიკასაც ანალოგიური ბედი ეწეოდა ხოლმე. ბუნებრივია, ეს ირაკლი რუხაძის გარეშე ვერ მოხდებოდა, რადგან იგი მართავდა პატარკაციშვილების სხვა ქონებასთან ერთად ამ ტელევიზიას. ერთი სიტყვით, ხუხაშვილისა და მისი წრის კრიტიკას ამ ტელეარხზე ტაბუ ჰქონდა დადებული. ახლა ვინ არის ხუხაშვილის წრე - ლაშა ნაცვლიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობისას ერთ-ერთ კორუმპირებულ ჩინოვნიკად ითვლებოდა, რომელსაც 2012 წლის არჩევნების შემდეგ მთელი პროკურატურა ჩააბარეს, ფაქტობრივად ნაცვლიშვილი მართავდა ამ უწყებას, აქედან გამომდინარე, პროკურატურა ხუხაშვილის ხელში აღმოჩნდა. გელა ხვედელიძეც ამავე გუნდის წევრი გახლავთ, რომელსაც შს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა, ანუ შეიძლება ითქვას, რომ პოლიციასაც ხუხაშვილი „განკარგავდა“. მე არ ვიცი, რა მანქანებით შეძლო გია ხუხაშვილმა ბიძინა ივანიშვილის ასეთი ნდობის მოპოვება, მაგრამ ფაქტია, ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერებამდე ბატონი ხუხაშვილი უდიდესი გავლენით სარგებლობდა. გარდა ზემოჩამოთვლილისა, ხუხაშვილს ორ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტზე, „საქართველოს ფოსტასა“ და „საქართველოს რკინიგზაზე“ ჰქონდა სერიოზული გავლენები, რომლებსაც დღემდე ინარჩუნებს. სხვათა შორის, ამ უწყებებში ხუხაშვილის გავლენები არც მერე შესუსტებულა. ჩამოთვლილთა გარდა, ხუხაშვილის წრეს წარმოადგენს ძმები გაჩეჩილაძეებიც, რომლებიც წლებია, ხუხაშვილთან ერთად მოდიან. ერთადერთი გაჩეჩილაძეების „დასაქმება“ ვერ შეძლო ხუხაშვილმა, თორემ დანარჩენების წინ წამოწევა მისი დამსახურებაა.



ახლა რაც შეეხება ტელეკომპანია „მაესტროს“, ეს ძალზე ჩახლართული თემაა, არავინ იცის რეალურად რა მოხდა, მოდავე მხარეებს შორის მტყუან-მართალი სასამართლომ გაარკვიოს. მხოლოდ ერთი ვიცი, რომ ტელეკომპანიის შენობა მაკა ასათიანს ეკუთვნის, ისევე, როგორც აპარატურის დიდი ნაწილი და ტელეკომპანიას მისი დიდი ვალი აქვს. ტელევიზიის ლოგო ბაჩო კიკაბიძის ყოფილა და ა.შ. ეს ნაკლებად საინტერესოა, მე სულ სხვა თემაზე მინდა ვისაუბროთ. „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში ზოგი ხელისუფლების ინტერესს ხედავს, მაგრამ არ მგონია, ეს ხელისუფლების წამოწყებული იყოს. მე უფრო სხვა რაღაც მგონია, არჩევნები ახლოვდება და ბიძინა ივანიშვილთან გარკვეული ვაჭრობის თემას ვხედავ, ძალიან მეეჭვება ირაკლი რუხაძემ ასეთ მოკლე დროში პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბოს და დამოუკიდებლად იბრძოლოს, თუმცა მას აქვს გარკვეული ინტერესები, რაც ვფიქრობ, მარტო მისი ინტერესები არ არის, არ გამოვრიცხავ მის უკან გია ხუხაშვილი იდგეს, რომელსაც კარგად ეხერხება ვაჭრობა. ტელევიზია ბიზნესია, შეგიძლია ევაჭრო ხელისუფლებას, რომ გარკვეულ დათმობებზე წავიდეს, რაც შეიძლება იყოს შენი გუნდის წევრების დასაქმება, სხვადასხვა ბიზნესებში ჩართვა და ა.შ. უბედურება ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას და ახლაც, ტელევიზია და საერთოდ ჟურნალისტიკა სავაჭრო თემად აქციეს. ხუხაშვილმა ჯერ ტელეიმედი გახადა ხელისუფლებასთან სავაჭრო თემად, თუ დააკვირდებით, ეს ტელევიზია სხვა არხებთან შედარებით, ასე თუ ისე მიკერძოებული იყო ხელისუფლების მიმართ. ეს იმიტომ ხდება, რომ ხუხაშვილსა და რუხაძეს გარკვეული ბერკეტები აქვთ ტელევიზიის მმართველობაში, პატარკაციშვილების ოჯახი აქ არაფერ შუაშია, მათ სულ არ აინტერესებთ პოლიტიკა, მათთვის მთავარი შემოსავალია. რამდენადაც ვიცი, ბატონ ხუხაშვილს ამ ოჯახზე დიდი გავლენა აქვს და ამით სარგებლობს, რატომაცა არა, თუკი მეორე ტელევიზიაც ექნება სავაჭროდ. მე, როგორც გითხარით, მეეჭვება, რომ აქ ხელისუფლების პირდაპირი ინტერესი იყოს, მას გამოეყენებინოს გაჩეჩილაძეების თემა, მაგრამ მიკვირს ასე წინდაუხედავად რატომ იქცევიან.

**- რას გულისხმობთ?**

- როდესაც „მაესტროსთან“ დაკავშირებით ასეთი გაურკვევლობაა, ამხელა აჟიოტაჟია ატეხილი და ამ დროს პრემიერ-მინისტრი ხვდები ერთ-ერთ მხარეს, რატომ აძლევ მავანთ სალაპარაკოს, ხოლო ხალხს მიზეზს, რომ იფიქროს ჩართუ-



ლი ხარ დაპირისპირებაში და ტელევიზიის „დათრევა“ გინდა? მეგობარს შევხვდიო, ბრძანა ბატონმა კვირიკაშვილმა, სიმართლე გითხრათ, მისი და გია გაჩეჩილაძის მეგობრობის ამბავი არ მსმენია, მაგრამ ასეც რომ იყოს სხვა დროს შეხვდი, მაინც და მაინც ამ დაძაბულ დღეებში უნდა შეხვდე? მე არ ვამბობ, რომ პრემიერი კვირიკაშვილი რაიმე გავლენას მოახდენს გაჩეჩილაძეების სასარგებლოდ, მაგრამ უმჯობესია გაემიჯნოს ყველაფერს, რადგან ხელისუფლებას არანაირად არ აწყობს, რომ ხალხმა ამ პროცესში მათ ჩართულობაზე იფიქროს. ჩემი აზრით, გაჩეჩილაძეები ამ საქმეში უბრალოდ „ააგდეს“, თუმცა მათი მხრიდან არც სხვა ინტერესს გამოვრიცხავ, გავიხსენოთ, მათ როგორ დაშალეს მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები, ვითომ ეს უანგაროდ მოხდა? გამოჩნდებოდნენ და მერე დაიკარგებოდნენ ხოლმე. მე არ მგონია, მათთვის მაინც და მაინც „მაესტრო“ იყოს ამოსავალი წერტილი, მათ ირაკლი რუხაძისგან აიღეს თანხა და გადაუხადეს ტელეკომპანიის მოწილეებს ჩიკვაიძესა და ებრალიძეს, ალბათ მათაც ერგოთ გარკვეული წილი, თავს მუქთად არ გამოაყენებინებდნენ ხუხაშვილს. რამდენადაც ვიცი მათ ხუხაშვილმა შესთავაზა „მაესტროს“ „დათრევა“, რათა ხელისუფლებასთან დამატებითი სავაჭრო თემა ჰქონოდათ. რუხაძეს თავისუფლად შეეძლო ახალი ტელევიზიის გაკეთება, მაგრამ „მაესტრო“ უკვე ბრენდია. ვფიქრობ, გაჩეჩილაძეებს ხუხაშვილის დიდი იმედი რომ არ ჰქონოდათ, ამ ამბავს არ წამოიწყებდნენ. **უბედურება ისაა, რომ, რასაც ხუხაშვილი ეხება, ყველაფერს ანადგურებს, მაგრამ ეს ქვეყნისთვის, თორემ სათავისოდ ყველაფერი კარგად გამოსდის.** კი ბრძანებდა ხუხაშვილი კვერცხის ბიზნესში არ ვიყავი გარეულიო, მაგრამ როგორ არ იყო, როცა პირადად მწარმოებლები მეუბნებოდნენ ამას. მათ გარკვეული მასალები უნდა მოეწოდებინათ, მაგრამ ერთი კვირით ადრე ჩემთან კავშირი გაწყვიტეს. ხვედე-




ლიძე ჯერ კიდევ შს მინისტრის მოადგილე იყო, ეტყობა, ორივე მხარეს გვისმენდნენ და მათზე ზეწოლა მოხდა. სამწუხაროდ ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა ის ვეღარ შეძლო, რომ ხუხაშვილი „საქართველოს ფოსტისა“ და რკინიგზისთვისაც ჩამოეშორებინა, რომლებიც დიდი შემოსავლის წყაროა, განსაკუთრებით „საქართველოს რკინიგზა“. გაიხსენეთ, რკინიგზის ყოფილ შეფს ნაციონალებმა მილიონები რომ მიატანინეს თავისუფლების სანაცვლოდ. მან თავისი ხელფასით დააგროვა ამხელა ფული, თუკი წინა ხელისუფლებების დროს კეთდებოდა „ლევი“ ფული, ახლა რატომ ვერ გაკეთდება? ხელისუფლებას მარტო იმის გამო კი არ უნდა აწყობდეს რაღაცაზე ვაჭრობა, რომ „მაესტროსთან“ დაკავშირებით ამბობენ ხელისუფლებაა ჩართულიო, ხუხაშვილთან არ უნდა ივაჭრო, რადგან ის არის პიროვნება, რომელიც არავის ასარგებლებს, საკუთარი თავის გარდა. ხუხაშვილს იმედი მიეცა, რომ კვლავ დაიბრუნებს გავლენას, „მაესტროს“ თემაც ხუხაშვილის ინტერესებისთვის დადგმული მორიგი შოუა, როგორც გითხარით, ირაკლი ღარიბაშვილის წასვლის შემდეგ ცდილობს ფრთები გაშალოს.

პირველ დღეს, როდესაც გაჩეჩილაძეები „მაესტროში“ შევიდნენ, იმ საღამოს სპეციალურად ვუყურე „იმედის“ საინფორმაციო გადაცემას, გია ხუხაშვილის გამოსვლა მოვისმინე და აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი იყო, თუმცა არცერთის მხარი არ დაუჭერია, საკმაოდ ჭკვიანია, ამას ღიად არ დააფიქსირებდა, მაგრამ არც გაჩეჩილაძეების კრიტიკა მომისმენია მისი მხრიდან. შემდეგ სიტუაცია რომ აირია, ვალებზე რომ დაიწყეს საუბარი, შენობა და აპარატურა „მაესტროსი“ აღარ იქნებაო და ისიც ითქვა „მაესტრო-24“ გავა ეთერშიო, ხუხაშვილს ხასიათი შესამჩნევად ჰქონდა გაფუჭებული. არ იფიქროთ, რომ რომელიმე მხარის ინტერესს ვიცავ, უბრალოდ, ფაქტების ანალიზს ვაკეთებ. ხუხაშვილს თელევიზიები არჩევნების დროს ხელისუფლებასთან სავაჭროდ ჭირდება, თან „მაესტროსთან“ დაკავშირებით საქმე ისე მიყავს, რომ ამ დავაში ხელისუფლების ვითომდა ჩართულობა გამოჩნდეს, თვითონ კი თითქოს აბსოლუტურად სუფთაა. რასაც ჩვენ ახლა ფაქტების ანალიზის შედეგად ვამბობთ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ხომ არ იცის, ხუხაშვილი ამ დროს აქტიურად არსად ჩანს. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფრის შედეგად ხელისუფლება ზარალდება.

წინამდებარე სტატიის მომზადებისას ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოვისმინე, ყვე-



ლაზე მეტად იმან დამაინტერესა, ვისი ფულით იყიდა გიორგი გაჩეჩილაძემ, იგივე უცნობმა ტელეკომპანია „მაესტროს“ 25%-იანი წილი. ავ ენებს თუ დავუჯერებთ, ეს წილი მას საკუთარი ფულით არ უყიდია. მას წილის შესაძენი თანხა კი მისცეს, ოღონდ ის არ უთქვამთ, შენია და როგორც გინდა ისე განკარგე, თუნდაც გაასხვისე. ეს გასხვისება ფარულად მომხდარა, ე.წ. მყიდველი ირწმუნება „უცნობს“ ფული გადავუხადეთო, თუმცა გაჩეჩილაძე ამას კატეგორიულად უარყოფს, ერთი კაცი მაჩვენეთ, ვინც თანხა გადამიხადაო. თუ მართლაც დადგინდა, რომ გაჩეჩილაძეს თანხა აღებული აქვს, დიდი უსიამოვნება ელისო, ამბობს ანონიმი წყარო. სიმართლე გითხრათ, მე ის უფრო მაინტერესებს, ვის მიმართ დაუგროვდა დავალიანება ტელეკომპანია „მაესტროს“, შემთხვევით ბიუჯეტის მიმართაც ხომ არა? ტელეკომპანიის დირექტორს ქალბატონ გადაბაძეს ორჯერ მიუმართავს სასამართლოსთვის მოთხოვნით, რომ „მაესტრო“ გადახდის უუნაროდ და გაკოტრებულად ეცნოთ. გაჩეჩილაძის ადვოკატი აცხადებს, რომ „მაესტროს“ დავალიანება ხელოვნურადაა გაბერილი. „მაესტროს“ შემთხვევაში ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა ტელევიზიებს ძალიან გაუტკბათ ბიუჯეტის მიმართ დავალიანების დაგროვება, მერე თუ ამ გადასახადის გადახდა მოსთხოვეს, აჟრიამულდებიან, აქაოდა ხელისუფლება თავისუფალ სიტყვას ებრძვისო. გიორგი ფარესიშვილთან ინტერვიუ 11 თებერვალს ჩავწერე, ორიოდე დღეში კი ინტერნეტგამოცემებში ძალიან საინტერესო ინფორმაციები მოვიძიე და დავრწმუნდი, რომ ჩვენი რესპოდენტის მოსაზრებები საფუძველს მოკლებული არ არის. ამ შემთხვევაში მავანნი კოტე გოგელიას ინტერესებზე საუბრობენ, ნამდვილად არ ვაპირებთ გოგელიას ადვოკატობას, მაგრამ ამ ინკოგნიტოებში ვიღაცის აჩრდილი შევნიშნეთ. კოტე გოგელია „მაესტროს“ ქართულ პოლიტიკაში დასამკვიდრებლად იყენებდაო, უფრო კი მის ბიზნესინტერესებზე კეთდება აქცენტი, „მაესტრო“ დღევანდელ ხელისუფლებასთან სავაჭროდ სჭირდებოდა, საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის, სერიოზული ბიზნესინტერესები აქვს საქართველოში და მიაჩნია, რომ რახან ნაციონალების მმართველობისას ოპოზიციას აფინანსებდა, რამდენიმე ბიზნესსფეროში შეღავათები უნდა მიეღო. სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში კოტე გოგელიას ხუთი მილიონი დაუხარჯავს და მისი ბიზნესინტერესებიც ამით იყო გამოწვეულიო. ერთ-ერთი ვერსიით, ამ სამსახურის სანაცვლოდ, გოგელია ცდილობდა „საქრკინიგზა“ ჩაეგდო ხელშიო. ჰა, როგორია, არაფერი გენიშნათ? სხვათა შორის, ამ წერილში გია ხუხაშვილის და მის საახლობლოდ მოაზრებული ხალხის კომენტარებიცაა. ზოგიერთი წყარო თურმე იმასაც ამბობს, რომ რაც კოტე გოგელია გახდა „მაესტროს„მფლობელი, ერთის მხრივ ბიძინა ივანიშვილთან, მეორეს მხრივ კი, სხვა პოლიტიკურ ძალებთან ცდილობდა ტელეკომპანია პოლიტიკური ვაჭრობისთვის გამოეყენებინა. არც იმას გამორიცხავენ, რომ მან საერთო ენა ნაცმოძრაობასთან, კონკრეტულად კი „რუსთავი-2“-თან გამონახა. ერთ-ერთი ბოლო ვერსიით კი, ირაკლი რუხაძესა და გაჩეჩილაძეებს დავით კეზერაშვილისთვის გამოუგლეჯიათ ხელიდან „მაესტრო“. ტელევიზია, რომ პოლიტიკური ვაჭრობისა და ბიზნესინტერესებისთვის გამოიყენება ყველას მხრიდან, ამაში ვეთანხმებით ჩვენს კოლეგებს და იმ შემთხვევაშიც, რომ მართლაც საკითხავია, რა კავშირი აქვს ამასთან, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში ხელისუფლების დადანაშაულებას.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24





## პაატა ხიზანაშვილი

# ქვემო ქართლი - რეგიონი ინტერნაციონალური გულით და ქართული ხედვით

**ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის თანამდებობაზე პაატა ხიზანაშვილის დანიშვნიდან ერთი თვე იყო გასული, როცა „საერთო გაზეთმა“ მასთან ვრცელი ინტერვიუ დაბეჭდა. მაშინ გუბერნატორი მსჯელობდა იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც მას მშობლიურ მხარეში დახვდა (ბატონი პაატა წარმოშობით დმანისის რაიონიდანაა). ჩვენი გაზეთი თვალს ადევნებდა ქვემო ქართლში მიმდინარე პროცესებს და, ვფიქრობთ, ამჯერად გუბერნატორს ბევრი აქვს სათქმელი რეგიონში უკვე განხორციელებულ პროექტებზე. ახლანდელი ინტერვიუ მისი, როგორც სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ერთწლიანი მუშაობის ერთგვარი შეჯამებაცაა.**

— **ბატონო პაატა, ძნელი აღმოჩნდა გუბერნატორის ტვირთი?**

— ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი, მგონი, არც არსებობს. მძიმეცაა და არცაა მძიმე, რადგან არცთუ იშვიათად პასუხისმგებლობის ტვირთი გაქეზებს კიდეც, გამოსცადო საკუთარი თავი და შენი ძალების თამასის სიმაღლეც დაადგინო. თუ ძალების მაქსიმუმის გამოვლენას ახერხებ, ეს რწმენასაც გმატებს და უფრო მეტის გაკეთების სურვილსა და ასპარეზს გიჩენს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული იყო 2015 წელი. საქართველოს მთავრობის ნდობა, რეგიონის გუბერნატორად დანიშვნა, სწორედ დიდი ნდობისა და ასევე დიდი პასუხისმგებლობის სტანდარტს გულისხმობდა. როცა საფუძვლიანად გავეცანი მხარეში დაგროვილ პრობლემებს, კიდევ უფრო დავრწმუნდი, რაოდენ დიდია გუბერნატორის ტვირთი, მით უმეტეს ისეთ რეგიონში, როგორიც ქვემო ქართლია — ისტორიით, მრავალეთნიკურობით, სასაზღვრო პერიმეტრებით, გნებავთ ტერიტორიის სიდიდით... და რაოდენ დიდია პასუხისმგებლობა, რომელიც გეკისრება როგორც თანამდებობის პირს და მით უმეტეს — ამ მხარის მკვიდრს.

— **რადგან მრავალეთნიკურობა ახსენეთ, იქნებ გვითხრათ, რა კეთდება რეგიონში იმისთვის, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა მშვიდობიანი თანაარსებობა და მეზობლობა შეძლონ, ჩვენი ქვეყანა თავიანთ სამშობლოდ აღიქვან და მონაწილეობდნენ მის განვითარებაში?**

— სახელმწიფო ენის შესწავლა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და სერიოზული საკითხია. ვერ ვიტყვი, რეგიონში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელებისა და სომხებისთვის ქართულის შესწავლაზე არ ზრუნავდნენო, მაგრამ ყოველ მცდელობას აკლდა სისტემატურობა, კომპლექსურობა. შესაბამისია შედეგიც — ეთნიკურმა უმცირესობებმა ჯერ კიდევ ან ცუდად იციან ქართული ენა, ან თითქმის არ იციან. ეს პრობლემა გუშინ და გუშინწინ არ დამდგარა. შეიძლება ითქვას, ათწლეულების განმავლობაში მწვავე საკითხს წარმოადგენდა. სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში იყო მცდელობები, რომ ამ პრობლემის მოგვარება დაწყებულიყო, მაგრამ ცალკეული ღონისძიებებით, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს შეუძლებელია. იგი ხანგრძლივ, მუყაით შრომას მოითხოვს და ეს არ შეიძლება იყოს ცალმხრივი პროცესი. ამით თვითონ მოსახლეობაც უნდა იყოს დაინტერესებული.

ახლანდელი ხელისუფლებისთვის არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის შესწავლა ერთ-ერთი პრიორიტეტულია საკითხია საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მიზნით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითონ მოსახლეობაც მოტივირებულია ენის შესასწავლად. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2015 წელი — სამთავრობო და საპრეზიდენტო პროგრამების ფარგლებში ეწყობოდა ენის შემსწავლელი კურსები არა მარტო მუნიციპალიტეტების ცენტრებში, არამედ სოფლებშიც. კომპაქტურად განსახლებულ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის, პროექტ „ვისწავლოთ ქართულის“ ფარგლებში, სამთვიან კურსებზე უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები ქართულ მეტყველებასა და წერა-კითხვას ასწავლიდნენ დაჩქარებული, თანამედროვე და ეფექტიანი მეთოდით. ეს პროგრამები წელსაც გაგრძელდება.

გარდა ამისა, იხსნება ინტეგრირებული აზერბაიჯანულ-ქართული საბავშვო ბაღები და სკოლები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ენის შესწავლას. მომრავლდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ოჯახები, რომელთა შვილებსაც ქართულ სკოლებში სწავლა სურთ. ისინი გაერთიანებული არიან აგრეთვე ანსამბლებში, სპორტულ ჯგუფებში და თავიანთ ქართველ თანატოლებთან ურთიერთობით ბუნებრივ გარემოშიც ითვისებენ ენას.

გუბერნატორის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ამ მიმართულებით მუშაობას დიდ ყურადღებას ვაქცევდით და ეს ტენდენციას შეუქცევადი ხასიათი ექნება. რეგიონის ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის გაღრმავებას ხელს შეუწყობს ის ბეჭდური პროდუქციაც, რომლებზე მუშაობაც უკვე მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში გამოვცემთ ორენოვან — ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ წიგნებსა თუ ბროშურებს.

იყო მეტად სასიხარულო ფაქტი — შარშან შემოდგომაზე გვეწვია საქართველო-აზერბაიჯანის საპარლამენტთაშორისო მეგობრული ჯგუფი მისი თავმჯდომარის, განირა ფაშაევას ხელმძღვანელობით. მათ საჩუქრად ჩამოიტანეს აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გამოადგებათ პროფესიონალ თარჯიმნებს, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების აზერბაიჯანელ სტუდენტებს, ყველას, ვისაც სურს ენის სიღრმისეული შესწავლა. ორი ათასი ლექსიკონი უფასოდ გადაეცემათ დაინტერესებულ პირებს და, რასაკვირველია, ბიბლიოთეკებსა და კულტურის ცენტრებს.

— **ჩვენისთანა რესურსების ქვეყნის განვითარება-წინსვლას დიდწილად განსაზღვრავს, და განაპირობებს კიდეც, ინვესტიციების ოდენობა და მასშტაბები. ქვემო ქართლი მეტად მიმზიდველი რეგიონი უნდა იყოს ინვესტორებისთვის. სინამდვილეში რა ხდება?**

— ჩვენი რეგიონი ნამდვილად მიმზიდველია როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სამრეწველო დარგების განსავითარებლად, შესაბამისად ნაწილდება ინვესტორთა ინტერესებიც. ინვესტიციების მოზიდვა, პროექტების შემუშავება, მიწების გამოყოფა, მშენებლობა თუ სპეციალისტთა მომზადება-დასაქმება ხანგრძლივი პროცესია და ერთ-ორ თვეში ამის გაკეთება წარმოუდგენელია. უკვე დასრულებულია რამდენიმე მასშტაბური ობიექტი, რამდენიმე მცირე პროექტი, მიმდინარეობს ბევრი, ძალზე საინტერესო წინადადების განხილვა.

ჯერ უკვე განხორციელებულ პროექტებსა და დაბანდებულ ინვესტიციებზე მოგახსენებთ:

2015 წელს დასრულდა საპარტნიორო ფონდისა და საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციის ერთობლივი ენერგოპროექტი — გარდაბნის კომბინირებული ციკლის 230 მგვ სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც წელიწადში წელიწადში 1,6 მილიარდ კილოვატსაათ ენერგიას გამოიმუშავებს. ეს თბოელექტროსადგური, რომელზეც 231 მილიონი დოლარი დაიხარჯა, ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის, მისი უსაფრთხოებისა და ელექტროენერგიით უწყვეტად მომა-



გარდაბნის თბოელექტროსადგურის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე

რაგების გარანტია იქნება.

სოფლის მეურნეობა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა და ზრუნავს კიდეც მის ხელშეწყობაზე. არსებობს არაერთი სამთავრობო დადგენილება, რომელთა მიზანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა-წარმოების ზრდაა. ასეთია, მაგალითად, შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემა მცირე თუ დიდი ფერმერული მეურნეობების ასამუშავებლად.

ჩვენი რეგიონი ამ დარგის განვითარების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და პერსპექტიული მხარეა. ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ისეთ პროექტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას უწყობს ხელს. გარდა იმისა, რომ ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები განვითარდება, აქაური მოსახლეობა დასაქმდება, მოყვანილი ხილი თუ ბოსტნეული ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციას ჩაანაცვლებს და ჩვენი მოსახლეობა ჩვენსავე მიწაზე მოყვანილი ჯანსაღი სურსათით მომარაგდება. შარშან ქვემო ქართლში ხუთი კერძო სასათბურე მეურნეობა ამუშავდა.

თამარისის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მარწყვის სათბური ისრაელის საელჩოსა და ცნობილი კომპანია „ისრაგრინის“ დაფინანსებით აშენდა და ადგილობრივ ფერმერს გადაეცა. გარდა მოსავლისა, ეს მეურნეობა არის ერთგვარი მაგალითი და გამოცდილებაა სხვა ფერმერებისთვის, შეისწავლონ ახალი ტექნოლოგიები და დარწმუნდნენ ასეთი ტექნოლოგიების უპირატესობაში.


მარწყვის სასათბურე მეურნეობა თამარისში

გარდაბნის სასათბურე მეურნეობის მშენებლობა თანაინვესტირების ფონდისა და უცხოელი პარტნიორების ფინანსური დახმარებით დაიგეგმა და საამისოდ 40 მილიონი დოლარი გამოიყო. აქ მოყვანილი კიტრი არა მარტო რეგიონის, არამედ მთლიანად საქართველოს ბაზრებზე მოხვდა და ექსპორტზეც იგზავნებოდა.

შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გაცემული 250 ათასი დოლარის სესხის მეშვეობით კერძო პირმა მარნეულის სოფელ გეურარხში 1,7 ჰექტარზე მოაწყო სასათბურე მეურნეობა, რომლის სავარაუდო წარმადობა წელიწადში 350-400 ტონა ბოსტნეულია.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ აქაურთაში მუშაობს მეღორეობის უმსხვილესი კომპლექსი კავკასიაში – ABD Georgia, უკრაინული ACD ჰოლდინგის შვილობილი კომპანია, თანამედროვე სანიტარიული ნორმების შესაბამისი სანაშენე მეურნეობით, სასაკლაოთი და ხორცკომბინატით, რომელიც უშვებს საუკეთესო ხარისხის ძეხვეულის პროდუქციასა და დელიკატესებს TM Delicia-ს სახელით.

**— ჩვენს ქვეყანაში და მთლიანად მსოფლიოში შექმნილი ახალი კრიზისული ტალღის მიუხედავად, ინვესტორები მაინც დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს მიმართ. მაგრამ არაერთხელ მსმენია, რომ სიძნელეებს აწყდებიან პროექტების რეალიზების მხრივ. როგორც ირკვევა, ერთ-ერთი ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს მოუწესრიგებელი მიწის კადასტრი. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ თქვენს რეგიონს არ ეხება, მაგრამ საინტერესოა, როგორ უმკლავდებით წარმოქმნილ პრობლემებსა თუ უხერხულობებს?**

— შარშან დაიწყო მიწის სახელმწიფო რეგისტრაციის შრომატევადი და აუცილებელი პროცესი – უნდა დადგინდეს და დაზუსტდეს, რომელია სახნავ-სათესი, სათიბი, სატყეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები. აღწერის დაწყებამდე, ოფიციალური მონაცემებით, ფორმალურად დაურეგისტრირებელია მიწის თითქმის 80 პროცენტი. რას ნიშნავს „ფორმალურად დაურეგისტრირებელი“? შესაძლოა, მიწას ჰყავს პატრონი და აქვს კიდეც ხელთ საბუთი საკუთრების შესახებ, მაგრამ ამ საკუთრების არც აზომვითი ნახაზები არსებობს და არც მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი.


მარნეულის სასურსათო საწარმოში

ხშირ შემთხვევაში ინვესტიციების განხორციელებისას მართლაც სერიოზული მიზეზი ხდება. გარდა ამისა, პროექტების საქმედ ქცევა ჭიანურდება მიწის კატეგორიის შეცვლასთან დაკავშირებული პროცედურების გამოც.

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

დმანისში მიწის გარკვეული ფართობი შეიძინა ცნობილმა გერმანულმა ბრენდმა „კაიზერმა“ ლუდის სახარშისა და სასტუმროს ასაშენებლად. წარმოების განვითარება ჯერჯერობით ვერ ხერხდება, რადგან მიმდებარე ტერიტორიის მფლობელობა დაუდგენელია.

დრომ მოიტანა ეგრეთ წოდებული „ემოციური ინვესტიცია“ – ბოლნისის რაიონში დაბადებული და ახლა აზერბაიჯანის მოქალაქე-ბიზნესმენი ბოლნისში შაქრის ჭარხლის მოყვანითა და წარმოებას და ამ საქმეში 180 მილიონ დოლარამდე ინვესტიციის ჩადებას გეგმავს. ეს იქნება უნარჩენო წარმოების საწარმო: კერძო მიწებზე მოყვანილი შაქრის ჭარხლის გადამუშავების შემდეგ დარჩენილი პროდუქციით მომარაგდება მესაქონლების ფერმა, ამუშავდება აგრეთვე პურ-ფუნთუშეულის კომბინატი. შერჩეულია მიწის ნაკვეთი, მაგრამ გადასაწყვეტია ბევრი ტექნიკური საკითხი: მათ შორის არასწორად აზომილი მიწის დაზუსტება-დაკანონება, მიწის კატეგორიის შეცვლა და ა. შ. ეკონომიკის სამინისტროში მიმდინარეობს დეტალების დაზუსტება და სამთავრობო დადგენილების შემდეგ დაიწყება პროექტის განხორციელება.

თითოეულ კონკრეტულ შემთხვევას განვიხილავთ ქონების მართვის სააგენტოსა და შესაბამის სამსახურებთან ერთად და ვცდილობთ მის მოქცევას სამართლებრივ ჩარჩოებში, გადაწყვეტილების მიღებას ინვესტორის სასარგებლოდ. ასეთ პროცედურებს დიდი დრო მიაქვს, არის შემთხვევები, როცა ინვესტორი კარგავს ინტერესს, შესაბამისად ინვესტიციას კარგავს რეგიონიც. თუმცა ქვემო ქართლის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით ინვესტიციის პერსპექტივებს ვინარჩუნებთ.

მოსაგვარებელია მიწის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა. წლების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა სახელმწიფო მიწებს იყენებდა და იყენებს ძირითადად საძოვრებად, აგრეთვე მოსავლის მოსაყვანადაც. როცა ინვესტორი კონკრეტული მიწის ფართობს იძენს, მოსახლეობა ეწინააღმდეგება, თვითნებობს და ხანდახან პროვოკაციასაც კი არ ერიდება. ინვესტორს პროექტის განხორციელების საშუალებას არ აძლევენ. ჩვენ, ადგილობრივი ხელისუფლება, ყოველ ასეთ შემთხვევაზე სათანადოდ ვრეაგირებთ, მაგრამ კიდევ დიდი დრო დასჭირდება შეჩვეულის გადაჩვევას – მოსახლეობას უჭირს გაიგოს, რომ მიწების ინვენტარიზაციის შემდეგ ამ მიწით სარგებლობა უკანონობა იქნება და მას სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დაეკისრება.

**— მახსოვს, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდით, გუბერნატორის ადმინისტრაციაში ყოველდღე ღია კარის ურთიერთობის დღე მაქვს გამოცხადებულიო... გარდა ამისა, ვიცით, რომ ინტენსიურად მოგზაურობთ რეგიონის მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში, მოსახლეობას ადგილზევე ხვდებით, პირადად ისმენთ მათგან, რა აწუხებთ და იმედი მაქვს, მმართველობის ახალი სტილის გამოც უკვე მადლიერებასაც გამოხატავენ...**

— მოქალაქეებს თუ გუბერნიის ადმინისტრაციაში არ ვხვდები, და სამუშაო შეხვედრებიც საშუალებას მაძლევს, რეგიონის ქალაქებისა თუ სოფლების მოსახლეობასთან ურთიერთობა ჩემი, როგორც მხარის გუბერნატორის ყოველდღიურობის ნაწილია. ასევე მუშაობენ ჩემი მოადგილეები, ადმინისტრაციის სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტების გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები, მთლიანად სახელისუფლებო აპარატი. ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ერთიანი ინტერესებითა და ერთი მიმართულებით მოფიქრალნი – თანამდებობაზე ყოფნისას თითოეული მაქსიმალურად უნდა იხარჯებოდეს ხალხისთვის, მთლიანად რეგიონისთვის, საბოლოო შედეგით კი – ჩვენი ქვეყნისთვის.

ხალხისა და ხელისუფლების წარმომადგენლის უშუალო შეხვედრები ბევრ ისეთ პრობლემასა თუ იდეას წამოატივტივებს ხოლმე, რომლებიც კაბინეტებში შესაძლოა არ გაჩნდეს. ხალხი ობიექტურია – კარგსაც ხედავს და, თუ რამე არ მოსწონს, სათქმელსაც არ დაიხვალიებს, პირდაპირ გეტყვის. ახალი ხელისუფლების პირობებში მათ ამის საშუალება მიეცათ, რასაც მოკლებული იყვნენ წინა პოლიტიკური ძალის მმართველობის წლებში, რასაც მმართველობას ვერც დავარქმევთ – ეს იყო ხალხის დაშინებისა და დათრგუნვის პოლიტიკა, რომელიც განუკითხაობისთვის კარგ ნიადაგს ქმნიდა. მმართველობის ვექტორი ძირეულად შეიცვალა – ახლა უმთავრესი მიზანი და ფასეულობა ადამიანია, პიროვნება, მისი კეთილდღეობა...

ახლახან გუბერნიის ადმინისტრაციაში მოვიწვიე რეგიონში არსებული თემებისა და გვარების უხუცესი წარმომადგენლები და მათგან ბევრი რამ მოვისმინე საგულისხმო და გასათვალისწინებელი. მათი არსებობა, საერთოდ უხუცესების შემორჩენილი ინსტიტუტი მნიშვნელოვანია ტრადიციულ საზოგადოებებში, ისეთებში, როგორებიც ჩვენს რეგიონშია. ასეთი პიროვნებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თემებსა და გვარებს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებში. ამ დამსახურებისა და პირადად ჩემი პატივისცემის ნიშნად მათ სპეციალური დიპლომები გადავეცი. ბევრი ვიმსჯელეთ რეგი-

16 გვ.

# ქვემო ქართლი – რეგიონი ინტერნაციონალური გულით და ქართული ხედვით

15 გვ.

ონის პრიორიტეტებზე, შექმნილ პრობლემებზე და სამომავლო შეხვედრებიც დავთქვით. მათთვის ხელისუფლებასთან ურთიერთობის ეს ფორმა უჩვეულოა და ამისთვის დიდად მადლიერნი დარჩნენ.

ძალზე მნიშვნელოვანია, თითოეული მოქალაქე გრძნობდეს, რომ ისინი მონაწილეობენ რეგიონის მართვასა და განვითარებაში. ეს განცდა პასუხისმგებლობასაც აჩენს და მოტივაციასაც აძლიერებს, აქტიურად იყოს ჩართული ქვეყნის განვითარების პროცესში.

— **ბატონო პაატა, უკვე თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობის ინიციატივით ამუშავდა პროგრამა „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“. ალბათ, უკვე შეიძლება პროგრამის პირველი შედეგების შეჯამებაც. იქნებ გვიამბოთ, რით გაძლიერდა ქვემო ქართლის რეგიონი და, შესაბამისად, რა წვლილი შეიტანა ქვეყნის სიძლიერის განმტკიცებაში?**

— ეს ნამდვილად დროული ინიციატივა იყო. შეიქმნა ჩვენი რეგიონის განვითარებისთვის აუცილებელი პრიორიტეტები არსებული რესურსების გათვალისწინებით. ამ პროგრამის მიზანი იყო და არის ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობა, მცირე თუ დიდი საწარმოების დაფუძნება-ამუშავება, მოსახლეობის დასაქმება. თუ ხალხი დასაქმდება, მათი ოჯახები წელში გაიმართება და მივიღებთ ტრიადას „ძლიერი ოჯახი — ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველო“.

ამ პროგრამის განსახილველად რუსთავში გაიმართა საგანგებო ფორუმი, რომელზეც მთავრობის მეთაურმა და კაბინეტის წევრებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განვიხილეთ რეგიონის განვითარების პრიორიტეტები და ვიმსჯელეთ ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობის, საწარმოების აღდგენის, რეგიონის მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივებზე.

საგანგებოდ უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ რა თავისუფალ გარემოს სთავაზობს ბიზნესმენს ახალი ხელისუფლება — თავისუფალს ყოველგვარი წნეხისგან, განსაკუთრებულ მხარდაჭერასა და ხელშეწყობასთან ერთად.

ამუშავდა ახალი საწარმოები, ზოგიერთის მშენებლობა დაწყებულია და მალე დაიწყებს ფუნქციონირებას, მათ შორის:

გარდაბანი — ქიმიურ სექტორში მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიის, გერმანული „ჰენკელის“ დაარსებული საწარმო წებოვანი სამშენებლო მასალების გამოშვებას და პროდუქციის აზერბაიჯანსა და სომხეთში ექსპორტს გეგმავს.

რუსთავის გზატკეცილზე საპარტნიორო ფონდისა და ადგილობრივი კომპანია შპს ICES-ის ერთობლივი ძალისხმევისა და 6 მილიონი დოლარის ინვესტიციის შედეგად ამუშავდა ეგრეთ წოდებული სამშენებლო „სენდვიჩ-პანელების“ საწარმო. პროდუქციის ნახევარი საქართველოში იყიდება, დანარჩენი კი აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უკრაინასა და რუსეთში ექსპორტზე იგზავნება.

წარმატებით მუშაობს კიდევ ერთი პროექტი — „აწარმოე საქართველოში“. გარდაბნის მინიციპალიტეტში აშენდა მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა, რომლის თანაინვესტორი, საპარტნიორო ფონდთან ერთად, სასათბურე მეურნეობის განვითარებაში წამყვანი ფრანგული კომპანია RICHEL GROUP-ია. სასათბურე ციკლის სრულად ამუშავების შედეგად მოზიდული ინვესტიციის საერთო რაოდენობა 45 მილიონი დოლარია. მაღალხარისხიანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია გათვლილია როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის, ისე საექსპორტოდ.

რეგიონში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, ყველა პროექტზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ერთ ციფრს დავასახელებ — 2015 წელს ქვემო ქართლში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ 851 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და მთლიანად ათვისებულია 50 მილიონი ლარი. მთავარია, რომ ეს ყველაფერი სწორი გზით ვითარდება, სამომავლო პერსპექტივებსაც ვხედავთ და მათი განხორციელების გზებსა თუ საშუალებებსაც.

— **ქვემო ქართლის ლამის ყველა მცხოვრებმა იცის, რომ თქვენი მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და ახალგაზრდობის სპორტულ სექციებში ჩაბმაა. თქვენ პირადად ხართ ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდისტი. ამაში თქვენი ახალგაზრდობისდროინდელი სპორტული მიღწევები და აქტივობა არანაკლებ როლს თამაშობს. ვიცით, რომ ამ საქმეში თანამოაზრეთა დიდი არმია გაიჩინეთ...**


შეხვედრა თემისა და გვარის უხუცესებთან


მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან ერთად ბოლნისში

— სპორტი და სპორტული აქტივობა ყოველთვის იყო ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი და ვიცი, რაოდენ სასარგებლოა ეს არა მარტო ფიზიკური სიძლიერისთვის, არამედ სულიერი სიმტკიცისთვის. რეგიონში სპორტსმენთა დასაოსტატებლად და ჯანსაღი ცხოვრების წესის დასანერგად დიდი მუშაობა მიმდინარეობს და ამ საქმიანობაში დიდ დახმარებას გვიწევს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელმძღვანელობა. მუნიციპალიტეტებში არსებული სპორტული დარბაზებისთვის ინვენტარით გვამარაგებს და მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო ასეთი თანადგომისთვის. განსაკუთრებულ მხარდაჭერას ვგრძნობთ სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელების, ჩვენი სახელგანთქმული მოჭიდავეების, სახელგანთქმული ფალავნების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებისგან, რომლებიც ხშირად ჩამოდიან რეგიონში მასტერ-კლასების ჩასატარებლად. მხარში მიდგანან ჩემი მეგობრები და კოლეგები — აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სახეობის ფედერაციის ხელმძღვანელები, ამ საქმის ოსტატები.

რეგიონის მასშტაბით მონტაჟდება ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობები. ჩემი დიდი სურვილია, ქვემო ქართლში შეიქმნას ისეთი სპორტული ინფრასტრუქტურა, რომ ყველა მსურველმა ვარჯიში შეძლოს.

— **ერთ ინტერვიუ ვერ გასწვდება ყველა პროექტსა თუ დარგს, მაგრამ შეუძლებელია, ორიოდე სიტყვა არ გვითხრათ რეგიონის კულტურულ ცხოვრებაზე...**

— კულტურის სტრატეგიის შესაქმნელად მუშაობა შარშან დაიწყო და ამ სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტის განხილვა დაიწყო ქვემო ქართლში, კერძოოდ ბოლნისში. რამდენიმე დღის წინ გამართულ შეხვედრაში, კულტურის მინისტრთან ერთად, მონაწილეობდნენ რეგიონის სახელოვნებო წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები. რეგიონის მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, სისხლხორცეულად არის დაინტერესებული კულტურის სფეროთი.

რეგიონი ხშირად მასპინძლობს საერთაშორისო მასშტაბის ახალგაზრდულ თუ თანამედროვე მუსიკის ფესტივალებს.

2015 წლის განმავლობაში მხოლოდ რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრში 18 პრემიერა გაიმართა. დასი გასტროლებზე იმყოფებოდა საბერძნეთში. თეატრისა და თეატრალური ხელოვნებისადმი ინტერესი დიდია მუნიციპალიტეტებში — საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს დმანისის, ბოლნისის თეატრები.

**ქვემო ქართლის გუბერნატორთან ინტერვიუ შევწყვიტეთ, რადგან ერთ, თუნდაც ასეთ ვრცელ ინტერვიუში საუბარი ყველაფერზე, რაც კეთდება რეგიონში, შეუძლებელია. ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება, გზების გაყვანა-დაგება, სასმელი თუ სარწყავი სისტემების გამართვა, სოფლების გაზიფიკაცია, სკოლების, ბაღების, ბიბლიოთეკების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები... პაატა ხიზანაშვილს ამ თემებზე სათქმელიც აქვს და თავმოსაწონებელიც, თუმცა ამაზე საუბარი შემდეგი ინტერვიუსთვის უნდა გადავდოთ.**

მარიამ სოლოღაშვილი

# ალექსეი თარია – აფხაზი ჩაადაევი

ჩინებულ მეცნიერს (ეთნოლოგოსი და ხელოვნებათმცოდნე) სვეტლანა ჩერვონნაიას, მეცნიერებისა და ჭეშმარიტების სიყვარულით რომ დანარჩენ რუს მეცნიერთაგან არის გამორჩეული, თავის 1993 წელს გამოქვეყნებულ წიგნში – „აფხაზეთი-1992“: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა“ მოტანილი ჰქონდა ვინმე ალიკას თუ ალის (?) სიტყვები: „იმათ, ვინც უმაღლესი საბჭოს თავზე ზოლებიანი დროშა გამოკიდეს, ჩემთვის არაფერი უკითხავთ. მე აფხაზი ვარ და, ალბათ, მაქვს კიდეც საიმისო მიზეზები, რაღაცით ნაწყენი ვიყო ქართველებზე, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ დღეს მხოლოდ ახალ საქართველოსთან ერთად შევძლებთ თავი დავაღწიოთ კომუნისტურ საჩიხეს“. ამ სიტყვებმა პირადად ჩემზე გამაოგნებელი (დადებითი აზრით) შთაბეჭდილება მოახდინა. მსგავსი განცდა კიდევ უფრო გამიძლიერდა, როდესაც „რიწასა“ და „ცისკარში“ გამოქვეყნდა ეს მშვენიერი პუბლიცისტური ნაშრომი. (საყურადღებოა, რომ ისეთმა პოპულარულმა გაზეთებმა, როგორიც „ლიტერატურული საქართველო“ და „საერთო გაზეთია“, გადაბეჭდეს იგივე წერილი). აქედან შევიტყვეთ იდუმალი ალიკას თუ ალის ნამდვილი ვინაობა. ეს ყოფილა ალექსეი თარია, რომელიც დღესაც საღ-სალამათია და ამჟამად ბათუმში ცხოვრობს.

ალექსეი თარია თანამედროვე აფხაზთა შორის გამორჩეული პიროვნება გახლავთ. რასაკვირველია, ეს არ მომხდარა მისი თანამდებობის, ბიზნესის და სიმდიდრის (ფინანსური) გამოისობით. მისეული გამორჩეულობა იშვიათობს და სულიერ სიმდიდრეში მდგომარეობს. იგი თავისი პიროვნული გამორჩეულობით გაემიჯნა თანამედროვე აფხაზთა აბსოლუტურ უმრავლესობას, ბრმად რომ მიჰყვებიან ამბიციურ და ავანტიურისტულ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც უპირველესად დღევანდელი რუსული იმპერიალისტური მისწრაფებების გამტარებელნი არიან. უკანასკნელები არ არიან დაკავებული კითხვებით, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე აფხაზობა სინამდვილეში, თავიანთი ისტორიითა და კულტურით, რაში მდგომარეობს მისი ნამდვილი ინტერესი და მისთ.

სათანადო ინტელექტის გარდა ალექსეი თარიას – აფხაზი ჩაადაევის პიროვნებაში გვხიბლავს მაღალი მორალურობა. კერძოდ, გამძაფრებული პასუხისმგებლობა აფხაზი ხალხის, მისი მომავლის წინაშე. ეს გარემოება კი საფუძვლად დაედო მისეული ცხოვრების არჩევანს, გზას. ცხადია, ასეთი რამ იოლად არ დაუჯდებოდა მას და ისევე, როგორც თავის დროზე ცნობილ რუს მოაზროვნესა და პუბლიცისტს პიოტრ ჩაადაევს (1794-1856 წწ.), მასაც უთუოდ ბევრი მტერი ეყოლება აფხაზ ხალხში. რა თქმა უნდა, მისთვის მიუღებელი აღმოჩნდება ალექსეი თარიასეული კატეგორიული განცხადება: „მე არასოდეს მსმენია აფხაზი ეროვნების ისტორიკოსის, ან ფილოსოფოსის შესახებ, რომელსაც კაცთმოძულე, კომუნისტური იდეოლოგიისა და მორალისგან თავისუფალი, ანალიტიკური აზროვნების უნარი შესწევს. ვფიქრობ, ასეთი არცაა აფხაზეთში“. აქედან გამომდინარე, აფხაზეთი – „გარესამყაროსაგან ეკლიანი მავთულხლართებით გამიჯნული, საკუთარ წუმპეში იძირება როგორც პირდაპირი, ფიზიკური გაგებით, ისე კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თვალსაზრისით“. თუმცა „ეს ყველაფერი მათ (აფხაზებს – გ. ყ.) სულაც არ უშლით ხელს, საკუთარ თავზე არაადეკვატურად მაღალი წარმოდგენა ჰქონდეთ“.

პიოტრ ჩაადაევს რომ თავი დავანებოთ, მსგავსი სოციალური კრიტიციზმი დამახასიათებელი იყო ქართველთა ერთ-ერთი დიდი წინაპრის – ილიასათვისაც. გავიხსენოთ მისი მწარე, მაგრამ დიდად საფუძვლიანი ლექსები: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, „ბედნიერი ერი“. ბოლოს და ბოლოს, „კაცია-ადამიანში?!“ ხომ გამათრახებული არის არა ოდენ ქართველი თავადაზნაურობა, არამედ მეტნაკლებად მთელი ქართველობა, მაგრამ ბევრი ქართველისათვის გამაღიზიანებელი (დღესაც კი!) სტრიქონები დაიწერა არა ნიშნის მოგებით, არამედ დიდი ტკივილითა და სიყვარულით მშობელი ხალხის, ერისადმი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თანამედროვე აფხაზი ე. წ. კულტურული ელიტისათვის აფხაზობის რამდენადმე ადეკვატური გაგება-გაცნობიერება გამორიცხულია გონებრივი ჰორიზონტის გამოისობითაც. მათგან განსხვავებით, ალექსეი თარია გახაზავს: „ცოტათი მაინც ადეკვატურად რომ აღვიქვათ საკუთარი თავი, საკუთარი ხალხის ისტორია, მინიმუმ უნდა შეგვეძლოს ისტორიული პარალელების გავლება“. ე. წ. შესაბამისი რეალობა განხილული უნდა იყოს ფართო ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში.

თუმცა ჩვენი კრიტიკულად განწყობილი აფხაზი გარკვეულ დისტანცირებას ახდენს აფხაზური ეთნოსისგან, როდესაც იგი, გულისხმობს რა თავის ზრდასრულ, მსოფლმხედველობრივად და პოლიტიკურად მოწიფულ ასაკს (შეგახსენებთ, რომ იგი დაბადებულია 1938 წელს), წერს: „მაშინ უკვე თითქმის დაკარგული მქონდა ნაციონალური იდენტობის განცდა, ხოლო აზროვნების ფორმითა და მეთოდებით, ჩემს ირგვლივ არსებული სამყაროს, მოვლენების, სახეების აღქმითა და ასახვის უნარით – მე უფრო რუსი ვიყავი (და ვფიქრობ, დავრჩი დღესაც), რადგან დავიბადე (და უკვე მოვხუცდი) რუსული კულტურის, რუსული ცივილიზაციის საზღვრებში...“ მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც წამოსცდა ფრაზა „დანახულითა და ცოდვით სავსე ჩემი სამშობლო“, რომელშიც, ცხადია, არა რუსეთი, არამედ აფხაზეთი იგულისხმება. (იხ. აგრეთვე, ჩვენი წერილის დასაწყისში მოტანილი მისეული ფრაზა).

აქ უნებურად გვახსენდება ქართველთმოძულეობით გამორჩეული რუსი იური ვორონოვი (პროფესიით არქეოლოგოსი). მაგრამ მისგან განსხვავებით, ალექსეი თარია შორს დგას რუსული იმპერიალისტური მენტალობისგან. ასე რომ, მას არც ამჯერად, ისევე, როგორც აფხაზობისადმი მიმართებაში, არ ღალატობს კრიტიცისტული მიდგომა, აზროვნება, საერთოდ. იგი „უფროსი ძმის“ მიმართ, რომელთანაც აფხაზების, ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტური უმეტესობა, გულშია ჩახუტებულ მისწრაფებას წარმოადგენდა და წარმოადგენს ორიენტაცია დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე. ამ მხრივაც მასა და აფხაზთა, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობის, შორის დიდი განსხვავებულობაა. ისენი ბრმად მიჰყვებიან თავიანთ „ყოჩებს“, ორიენტირებულთ, ვიმეორებთ, თანამედროვე იმპერიალისტურ რუსეთზე. თუმცა მავანთ მაინც აქვთ ილუზია მასთან უმჭიდროეს კავშირში დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისა. ამდენად, დღევანდელი აფხაზობა იმეორებს საკუთარ ბოლშევიკ-კომუნისტების (ნესტორ ლაკობას, ეფრემ ეშბას და სხვა-



ბული, აღნიშნავს – „ეს ხალხი ყოველდღიურ ცხოვრებაში აშკარად წარმართები (ამ სიტყვის ცუდი გაგებით) არიან“. მეტიც, მისეულ პუბლიცისტურ თხზულებაში ვკითხულობთ: „საოცარია, რამდენი რამ შემორჩა თითქმის უცვლელად რუსი ხალხის მენტალიტეტსა და ფსიქოლოგიაში მე-16 საუკუნის ოპრიჩნინისგან“. რასაკვირველია, ამგვარ რამეზე თანამედროვე აფხაზობას, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსებისა და ისტორიკოსების ჩათვლით, წარმოდგენა არა აქვს. ჩანს, მათს მენტალიტეტში საკითხის ამგვარ ხედვას ტაბუ აქვს დადებული.

მათგან განსხვავებით, ალექსეი თარიას გააჩნია პრეტენზია რუსული ისტორიოგრაფიის (ისტორიის ფილოსოფიის) ცოდნაზე. მაგრამ მე, პირადად, ძალზე მეეჭვება, რომ რუსებს ჰქონდეთ ისეთი ცოდნა, რაც ცოდნის ამ დარგს – ისტორიოსოფიას შეეფერება და რაციონალისტური, მეცნიერული თუ ფილოსოფიური, პასუხი გააჩნდეთ მათი გამოჩენილი პოეტის ფიოდორ ტიუტჩევის ყბადაღებულ განცხადებაზე: „Умом Россию не понять...“ თუმცა, კაცმა რომ სიმართლე თქვას, არც ჩვენ, ქართველები გამოვირჩევით აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი ცოდნით.

ალექსეი თარიას, ვითარცა ასე თუ ისე აფხაზის, დომინანთა) უგუნურობას. ჩანს, მწარე ისტორიამ დღევანდელ აფხაზობას ჭკუა ვერ ასწავლა!

დიდად სამწუხაროდ, ქართველებსა და აფხაზებს შორის ღრმა დაპირისპირებულობამ იჩინა თავი, რომელიც 1992-93 წლის ომში გადაიზარდა. ამ ომში კი ალექსეი თარიას უთუოდ, სწორი აზრით, „აპრიორი, ვერავინ იქნებოდა გამარჯვებული ან დამარცხებული, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით მესამე მხარეს“. ცხადია, ნაგულისხმევია დღევანდელი, პუტინისტური რუსეთი, რომელიც დამახასიათებელი პოლიტიკური რეჟიმითა და შოვინიზმით დიდი გამოწვევა გახლავთ, საერთოდ, თანამედროვე მოწინავე მსოფლიოსთვის.

ქართველობასა და აფხაზობას უთუოდ გვქონდა საფუძვლიანი და სწორი ისტორიული ალტერნატივა – ერთად გვებრძოლა დემოკრატიული საზოგადოების ასაშენებლად. ამგვარ შესაძლებლობას მშვენივრად აცნობიერებდა აფხაზი ჩაადაევი, რაზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი წერილის დასაწყისში.

თავის წერილში იგი, ასწორებს რა ქალბატონ სვეტლანა ჩერვონნაიაც წიგნის შესაბამის პასაჟს, ასე აღნიშნავს: „მე არ მქონია ქართველებზე რაიმეს გამო განაწყენების მიზეზი, რადგან საკმაოდ კარგად ვიყავი ინფორმირებული და ვიცოდი რა სარჩული ედო ჩემს სამშობლოში (!) მიმდინარე მოვლენებს“. თუმცა ამას, იგი, ვფიქრობთ, უფრო დელიკატურობის გამოისობით აკეთებს. ფრიად სამწუხაროდ, ჩვენც, ქართველებსაც გვქონდა დაშვებული აფხაზთა მიმართ შეცდომები, რითაც კარგად ისარგებლა მესამე ძალამ – რუსეთმა.

საერთოდ, ჩვენ, ორივე ხალხს, გვმართებს ღრმად დაფიქრება იმაზე, თუ რა მოხდა ჩვენს შორის, განსაკუთრებით 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში. უპირველესად, რასაკვირველია, ამის თაობაზე უნდა იფიქრონ ჩვენი, ორივე ხალხის, ინტელექტუალებმა (ნამდვილად) და ამისათვის მშვენიერ მაგალითს გვაძლევს აფხაზი ჩაადაევი.

თავის თხრობას ალექსეი თარია ამთავრებს ოპტიმისტურ ნოტზე: „სიცოცხლისთვის კი ბოლომდე უნდა იბრძოლო...“ ამასთანავე, სამართლიანობისთვის, ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა ყოველთვის აუცილებელია ადამიანთათვის, რომლებისთვისაც Homo Sapiens-ობა დიდად ამაღლებულ შინაარსს შეიცავს და რომლებიც თავიანთი არსებით ცდილობენ გაამართლონ ეს დანიშნულება.

დაბოლოს, მწყინს; ნამდვილად მწყინს, რომ ალექსეი თარიას თხზულების სათაურში სიტყვები „გედის სიმღერა“ ფიგურირებს. ძალიან მსურს ბოლოში გამოყენებული ოპტიმისტური პათოსის მიხედვით, მან კვლავაც იბრძოლოს სამართლიანობის, ჭეშმარიტების, ისტორიული პროგრესის დასამკვიდრებლად, თუნდაც ამგვარ მისწრაფებაში „შეშლილის აპოლოგიის“ დაწერა მოუხდეს (პიოტრ ჩაადაევის მსგავსად). მიუხედავად ყველაფრისა, მტკიცედ მჯერა, რომ აფხაზთა შორის მას სხვებიც მიბაძავენ.

**გურამ ყორანაშვილი**

# საუკუნის ძარცვა, ანუ რა საიდუმლოს მალავენ „ნაცმოძრაობის“ მიერ 2004 წელს შექმნილი „სპეცფონდები?“

## რამდენ მილიარდს ითვლის 2004 წლიდან „ნაცმოძრაობის“ მიერ ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის, ბიზნესმენებისთვის თუ რიგითი მოქალაქეებისთვის წართმეული ქონება?

რას ნიშნავს ტერმინი – სამართლიანობის აღდგენა და შეიძლება თუ არა სამართლიანობის შენება საძირკველზე, რომელსაც უსამართლობა ჰქვია?! რატომ აქვს მედალს მხოლოდ ერთი მხარე და რა ჰქვია იმ ყულაბას, რომელიც სააკაშვილმა „გახსნა“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში?

ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტში შავით თეთრზე წერია: სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დეპარტამენტის კომპეტენციას წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესის ისეთი დარღვევების გამოძიება და აღკვეთა, რომლებსაც ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევა შეუძლიათ გამოიწვიონ, წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა და ქონების უკანონოდ ჩამორთმევა. სამწუხაროდ, აღნიშნული დეპარტამენტი ნელი ტემპით მუშაობს, მიზეზი, მათი განმარტებით, საჩივრების სიმრავლეა. იმედგაცრუება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების 99% უკანონოა, საკანონმდებლო ბაზა ბუნდოვანი, საქართველოს სახელით გამოტანილ უკანონო განაჩენებზე კი სახელმწიფოს არ სურს პასუხისმგებლობა აიღოს. სახელმწიფოსგან დაზარალებული ხალხი ამაოდ ელოდება სამართლიანობის აღდგენას.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ შესწავლილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მასშტაბით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, ჩუქების ხელშეკრულებით, გადაცემული ან მიტოვებული ქონების სიმრავლე გვხვდება შემდეგ მუნიციპალიტეტებში: გარდაბანი – 477, აბაშა – 116, ბათუმი – 97, ჩოხატაური – 84, ხელვაჩაური – 76, მცხეთა – 65, ხონი – 48, ხოლო საკუთრივ თბილისში 2004-2012 წლებში დაფიქსირებულია ქონების დათმობის 589 შემთხვევა. ორგანიზაციამ შეისწავლა 2000-2003 წლებში არსებული მდგომარეობაც, სადაც სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების დათმობის მხოლოდ ერთი შემთხვევა ფიქსირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით, 2012-დან 2015 წლის პირველ იანვრამდე პროკურატურაში 52 530 საჩივარი და განცხადება შევიდა. აქედან, ჯერჯერობით, იძულებით დათმობილი ქონება მხოლოდ 9 პირს დაუბრუნდა. (შესაშური ტემპია!)

2015 წლის 4 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს გადახდის სხვადასხვა ალტერნატივას შესთავაზებს. მინისტრმა იქვე განმარტა, რომ შესაბამისი თანხა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდში ირიცხება. (ნოდარ ხადურის ტყუილიც აღარ უკვირს ხალხს!)

თუმცა მთავარ პროკურატურაში ვერ აკონკრეტებენ მოქალაქეთა ანაზღაურების საკითხი აღსრულების ფონდიდან განხორციელდა თუ არა.

როგორ დაიწყო „სამბა“?!

სააკაშვილის დემოკრატია მთლიანობაში ფასადურ ხასიათს ატარებდა, ფასადური იყო ის საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომელთა მიღებით „ნაციონალური“ რეჟიმი ახერხებდა წარმატებისა და რეფორმების იმიტაციას. ბიზნესის კეთების სიიოლე, რომლითაც დღესაც ტრაბახობენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, მხოლოდ სამეწარმეო სუბიექტის ადვილად დარეგისტრირებას გულისხმობდა. ანუ ბიზნესის წამოწყება იოლი იყო, მაგრამ მისი რეალურად განხორციელება – შეუძლებელი. მანამდე არსებული არაერთი წარმატებული ბიზნესი ხშირად საკანონმდებლო უზრუნველყოფის გზით ან პირდაპირი ძალადობით, ან „ნაციონალებთან“ დაახლოებულ პირებს გადაეცემოდა, ან სახელმწიფოს. კურიოზულია ფაქტები, როდესაც დაკავებული თუ დაპატიმრებული ბიზნესმენები ღამის საათებში ერთსა და იმავე ნოტარიუსთან „ნებაყოფლობით“ აფორმებდნენ საკუთარ ქონებას და კომპანიებს „დემოკრატიის შუქურის“ მშენებლებისთვის. სამწუხაროდ, 2003-2012 წლებში დაზარალებულ ბიზნესმენებს, ისევე როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნილებს, არც საკუთარი ქონება დაბრუნებიათ და არც რაიმე სახის კომპენსაცია მიუღიათ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რეპრესიული მანქანის ჩამოყალიბება, რომელსაც წინა ხელისუფლების წარმომადგენლები „პოლიციის წარმატებულ რეფორმას“ უწოდებენ. „დემოკრატიის“ მშენებლობის კვალდაკვალ, საქართველო მსოფლიო ჩემპიონი გახდა ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით! პრაქტიკულად, არ დარჩენილა არც ერთი ოჯახი, რომელსაც ამა თუ იმ სახით არ შეეხო სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა. ვისაც წასართმევი არაფერი ჰქონდა, სააკაშვილმა უბრალოდ „ჩარეცხა“, ხოლო უნივერსიტეტები „კმარას“ წევრებით გაავსო. უნივერსიტეტის ავტონომია ფიქციად იქცა, „ნაციონალებს“ იგი მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაახსენდათ, როცა ძალაუფლება გამოეცალათ და საკუთარი კადრების შესანარჩუნებლად სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპი ერთადერთ იმედად დარჩათ.



ასეთივე კურიოზული და ცინიკურია „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო წარმომადგენლობის განცხადებები „კორუფციის დამარცხების“ შესახებ; შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ ისეთ თანხებზე, რომელთა მითვისებაც სულ მოკლე ხანში სხვადასხვა გზებით შეძლო „ნაცმოძრაობამ“ „ვარდების რევოლუციის“ 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში განხორციელდა ხელისუფლების ძალადობით შეცვლა, რომელიც შემდეგ მოინათლა „ვარდების რევოლუციად“. ხელისუფლების ცვლის რევოლუციურმა გზამ თავისი კვალი დააჩნია საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონმდებლობას და, მათ შორის, პირველ რიგში, კანონმდებლობას „პოლიციის შესახებ“, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა უგრძელდება საქართველოს 1999-2003 წლების პარლამენტს (მე-5 მოწვევა) და იწყება გაუთავებელი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მოქმედ საკანონმდებლო აქტებში. პირველი, რაც გაკეთდა, არალეგიტიმური პარლამენტის მიერ მოხდა ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონით, ხოლო ძალაუფლების კონსტიტუციური გზით განმტკიცების შემდეგ იწყება კანონმდებლობის „მორგება“ იმ პოლიტიკურ სურვილებზე და ამბიციებზე, რომლებიც გააჩნდათ ხელისუფლებაში მოსულ „ახალგაზრდა რეფორმატორებს.“

2003-2012 წლების განმავლობაში ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები აშკარად განპირობებული იყო იმ პოლიტიკური შეკვეთით, რომელსაც აყენებდა ახალი ხელისუფლება, კერძოდ, მზადდებოდა ფართომასშტაბიანი რეპრესიული ღონისძიებები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ პირველი, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა, იყო ის, რომ საკანონმდებლო წესით გადაწყდა ორი კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ფონდის შექმნა: „პროკურატურის ინსტიტუციური განვითარების ფონდი“ და „თავდაცვის ფონდი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან. სწორედ ეს ორი ფონდი იქცევა მომავალში ერთგვარ „ყულაბებად“, რომლებშიც დაილექება სასამართლო-საგამოძიებო ექსპროპრიაციის ან ჩვეულებრივი სახელმწიფო რეკეტის გზით ბიზნესის წარმომადგენლებისა და ყოფილი ჩინოვნიკების ჩამორთმეული ქონება. რა რაოდენობის თანხებია მობილიზებული 2004-2008 წლებში ორივე ფონდში, საზოგადოებამ არ იცის. არსებობს მხოლოდ ვარაუდი, რომ საუბარია მილიარდობით ლარზე, რომელიც აბსოლუტურად უკონტროლოდ იხარჯებოდა იმდროინდელი ხელისუფლების მიერ და არავითარ ინფორმაციას არც საკანონმდებლო ხელისუფლება და არც კონტროლის პალატა ამ ფონდებთან დაკავშირებით არ ფლობდა. ვინაიდან ფონდები კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით იყვნენ წარმოდგენილი, არავითარ ინფორმაციას ფონდების ხელმძღვანელები არ გასცემდნენ არც მასმედიაზე, არც საქართველოს პარლამენტის წევრებზე და არც არავიზე; ასეთი „სრული გამჭვირვალობის“ პირობებში იფუნქციონირა ორივე ფონდმა, რომლებშიც შედიოდა „ნებაყოფლობითი“ შეწირულობანი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკვე სამ წელზე მეტია, რაც ხელისუფლების ცვლა მოხდა საქართველოში, მაგრამ ვერავინ ვერ შეძლო გაეგო, თუ რა ხდებოდა ზემოაღნიშნულ კერძო სამართლის იურიდიული პირების სტატუსით მოქმედ ფონდებში. გაუგებარია, ვის და რა მიზანს ემსახურებოდა 2005 წელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შექმნა. პროკურატურის და თავდაცვის ფონდში, ძირითადად, თანხები იყრიდა თავს. ძვირფასი ნივთები, ავტომობილები და სხვა მატერიალური სიკეთეც იყო „ჩამოსაწერი“, ამიტომაც შექმნეს აღნიშნული სააგენტო. თუმცა თავიდან მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შედეგად ჩამორთმეული და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების აღრიცხვა, შენახვა, შეფასება, განკარგვა, განაწილება, რეალიზაცია ან განადგურების ღონისძიებათა კოორდინაცია და აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების მოწესრიგება ევალებოდათ. 2009 წელს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დებულებაში, საინტერესო ცვლილება მოხდა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შედეგად ჩამორთმეულ და სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეულ ქონებას, დებულებაში ცვლილების შედეგად დაემატა-

„სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად მიჩნეული ნივთის, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული სხვა ნივთის, რომელიც კანონის თანახმად ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევას“.

დამაფიქრებელია, თუ 2009 წლამდე მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევით სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებას განკარგავდა მომსახურეობის სააგენტო, მოსამართლეები 2007 წელს სს საქმეზე როგორ მიმართავდნენ აღსრულე-



ბისთვის? ან 2009 წლის დეკემბრამდე თანხას და ძვირფას ნივთებს სად ინახავდნენ „სოდის“და სხვა ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები? და კიდევ დოკუმენტში, რომლის „მიზიდულობის“ ძალამ კარგად ორგანიზებული კანონის სახელს ამოფარებლი ნაცბანდიტები გამახსენა, შავით თეთრზე წერია: აღსრულების შესახებ გთხოვთ აცნობოთ სასამართლოს“. თუმცა არავის არაფერი უცნობებია, ან რა უნდა ეცნობებინათ, როგორ გაინაწილეს ერეკლე კოდუამ, გიორგი ლაცაბიძემ და ხროვის სხვა წევრებმა „დამნაშავის“სახლიდან წაღებული ძვირფასი ნივთები? მოკლედ, აღნიშნული სააგენტო ნაყაჩაღარი ფასეულობების „გასაპრავებლად“ შეიქმნა. პროკურატურა, რა თქმა უნდა, არ დაინტერესდება, უბეში გამოზრდილ უხსენებლებს ხომ არ გაჭყლიტავს, თორემ აღნიშნული სააგენტოს უამრავ თანამშრომელს ექნებოდა „თბილი ტანსაცმელი“ ჩასალაგებელი და მათ მფარველ პროკურორებსაც. საზოგადოებისთვის არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა საპროცესო შეთანხმების სოლიდურ თანხებს, პროკურატრას გაურკვეველ ანგარიშებზე ურიცხავდნენ ბრალდებლების ახლობლები, პრესაში არაერთხელ გაჟღერდა პროკურატურასთან დაახლოებული ადვოკატების თანამონაწილეობა ბრალდებულების „გატყავებაში“. იყო შემთხვევები, როცა საპროცესოს თანხაც ადვოკატის ანგარიშზე ირიცხებოდა... 2007 წელს ჩემს მეგობარს ნარკოტიკი ჩაუდეს, ცრუ მოწმეების წარმოდგენაც არ დაივიწყეს და 50000 რაღაც ანგარიშზე ჩარიცხა და ხუთი მილიონის საფასურის ბიზნესი დაუთმო, თან მადლობაც გადაუხადა. ცნობილი ფაქტია, როგორ აიძულებდნენ ძვირადღირებული ავტომანქანები შეეძინათ შსს-ს თანამშრომლებისთვის (არაერთმა საჩივარმა გაიჟღერა ერეკლე კოდუას მისამართით). პროკურატურის „კრავთა დუმილი“ მართლაც აღმაშფოთებელია, თუმცა გასათვალისწინებელი სახელმწიფო პოლიტიკა – კოაბიტაცია უპირველეს ყოვლისა. სამწუხაროა, რომ იმ ნაძარცვი თანხით, რომელიც თითქმის ყველა ოჯახის „ეგზეკუციის“ შედეგად დაგროვდა იმ დაწყევლილ წლებში, ისევ დატერორებულ, სულიერად და ფიზიკრად განადგურებულ ადამიანებს ებრძვიან. ჩაგრულების მიერ კი სამართლიანობის აღდგენის მცდელობა ქარის წისქვილთან ბრძოლას ჰგავს მხოლოდ. როდემდე? არავინ იცის. კონსტიტუცია,



რომ ფეხქვეშ ჰქონდათ გაფენილი ნაცელიტას და კანონებსაც არაკონსტიტუციურად ჭრიდნენ და კერავდნენ, ამის ნათელი მაგალითია საკანონმდებლო ნოვაცია, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. 1997 წლის 21 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად სცნო ქონების კონფისკაციის, როგორც სასჯელის დამატებითი სახის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან. საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლებლად ჩათვალა მხოლოდ სპეციალური კონფისკაციის არსებობის შესაძლებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და კანონში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საერთოდ იქნა უგულებელყოფილი და საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონით საქართველოს უკვე ახალ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში შეტანილი იქნა შესაბამისი დამატება, რომელმაც შესაძლებელი გახადა ქონების ჩამორთმევა სპეციალური კონფისკაციის ფარგლებს მიღმაც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საქართველოს 2004 წლის 13 თებერვალს შედის შესაბამისი დამატებები, რომლებმაც დააკანონეს რომანულ-გერმანულ სამართლის სისტემაში შემავალი ქვეყნებისათვის ადრე უცნობი ინსტიტუტი, რომელიც გადმოღებული იყო აშშ-ს კანონმდებლობის გავლენით. საუბარია საპროცესო შეთანხმებებზე, რომლის ქართული ანალოგი გაცილებით უფრო რეპრესიული და სამართლებრივად გაუმართავია, ვიდრე ამერიკული ცნობილი „გარიგება ბრალის აღიარებასთან დაკავშირებით.“ კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ჯერ პრინციპის დონეზე იქნა გადაწყვეტილი „სწრაფი და ეფექტიანი“ მართლმსაჯულების შემოღება (მუხლი 151), ხოლო შემდეგ ამას დაემატა საპროცესი შეთანხმებები ბრალზე ან სასჯელზე ამერიკული კანონმდებლის ქართულმა სუროგატმა ძალზე მძიმედ იმოქმედა საქართველოს მოსახლეობაზე და დასაბამი მისცა უარყოფითი ტენდენციების დამკვიდრებას, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლოში მართლმსაჯულე-



ბის განხორციელებისას. ქართული საპროცესო შეთანხმება გამოიყენებოდა, პრაქტიკულად, ყველა კატეგორიის დანაშაულზე, ისე, რომ ძალზე ცოტა რამ ეკითხებოდა დაზარალებულს, სულ მალე კი გადის დრო და მას საერთოდ აღარ შეეკითხებიან, სურს თუ არა სისხლის სამართლის საქმის საპროცესო შეთანხმებით დასრულება. 2011 წელს საპროცესო შეთანხმებების, გირაოსა და ქონების კონფისკაციების წყალობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა მიიღო 108 000 000 ლარზე მეტი. 2010 წელს მათ რაოდენობა 86 000 000 ლარზე მეტი იყო. სულ ქონების კონფისკაციით, საპროცესო შეთანხმებებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2004-2011 წლებში მობილიზებულია ერთ მილიარდ ლარზე მეტი თანხა. ამას ემატებოდა ბრალდებულის მიერ გადახდილ ჯარიმასთან ერთად პარალელურად „ნებაყოფილობითი“ გადარიცხვები ზემოაღნიშნულ ფონდებში. თუ რა რაოდენობის თანხაა შესული ფონდებში, უცნობია. ასეთი ინფორმაცია დაკარგულიც შეიძლება იყოს. ამავე დროს ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ „რეკვიზიციის პროცესს“ უკეთდებოდა უმძლავრესი პოლიტიკური მხარდაჭერა, ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფართოდ იყო პროპაგანდირებული თუ რა ცუდი იყო ძველი ხელისუფლება და რამდენად სამართლიანია ახალი....

2005 წელს საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტში გაკეთებულ ყოველწლიურ მიმართვაში გამოაცხადა დეკლარაცია – „ნულოვანი ტოლერანტობა დამნაშავეთა მიმართ“ და „ყველა დამნაშავე ციხეში.“ აღნიშნული პოლიტიკური განცხადების შემდეგ ქართველმა კანონმდებელმა განახორციელა მთელი რიგი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის შემოღებასთან, რომლის შედეგად ქართულ ციხეებში, 2012 წლის მონაცემით, 25 000 პატიმარი აღმოჩნდა (სასამართლოს განაჩენით ან წინასწარი პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები). 2004-2012 წლის პერიოდში სხვადასხვა დანაშაულისათვის დაპატიმრებული და თავისუფლებააღკვეთილი იყო 150 000-ზე მეტი ადამიანი. ხოლო პრობაციულ აღრიცხვაზე მყოფ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო.



მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის შემოღებამ განაპირობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის თითქმის ყველა მუხლში. განსაკუთრებით გამძაფრდა პასუხისმგებლობის ხარისხი პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებზე. 2005 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოღებული იქნა აღკვეთის ღონისძიებების შედარებით ლიბერალური ზომები (შინა პატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, გაუსვლელობის ხელწერილი, პირადი თავდებობა). ამავე დროს გამკაცრდა პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არეალი. მარტო 2005-2008 წლებში საქართველოში დაპატიმრებას, როგორც აღკვეთის ღონისძიებას იყენებდნენ გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. მაგალითად, 2005-2006 წელს – 70%-ზე მეტი. შემდეგ აღინიშნება პატიმრობის კლება, მაგრამ იზრდება გირაო, რომლის მასშტაბებმა უკვე შემაძრწუნებელ ზომებს მიაღწია. ეს ყველაფერი ხდებოდა სოციალურად ნაკლებად დაცული მოსახლეობის პირობებში, სადაც უმდაბლესი იყო შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და ერთ-ერთი მაღალი იყო სოციალური გადასახადები. ასეთმა გაუაზრებელმა და აბსოლუტურად დაუსაბუთებელმა მკაცრმა სისხლის სამართლებრივმა პოლიტიკამ გამოიწვია ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღატაკება და ე.წ. კერძო იპოთეკარების გაჩენა. ეს ე.წ. კერძო იპოთეკარები, რომლებიც სესხის ხელშეკრულებას გასცემდნენ კერძო პირებზე ძალზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, ძირითადად იპოთეკის საგნად უძრავ ნივთებს იყენებდნენ, განსაკუთრებით კი საცხოვრებელ და კომერციულ ფართებს. ასევე დაუნდობელი ხდება საქართველოში კერძო ბანკების ფისკალური პოლიტიკაც. პასუხისგებაში მიცემული ადამიანები ძალზე ხშირად იპოთეკით ტვირთავდნენ ბანკებში და კერძო იპოთეკარებთან საკუთარ ქონებას, შემდეგ ველარ იხდიდნენ და კარგავდნენ ქონებას. ძირითადი მიზეზი სესხების აღებისა ბანკებიდან და კერძო იპოთეკარებისგან გახლდათ გირაო და საპროცესო შეთანხმებები. 2013 წლის პირველი აგვისტოს მონაცემებით, საქართველოში ბანკებისაგან და კერძო იპოთეკარებისაგან 200 000-ზე მეტი გაუბედურებული ადამიანია რეგისტრირებული. აღნიშნული პრობლემა უკვე აშკარად იძენს პოლიტიკურ ხასიათს. თუ როგორ გადაწყდება ეს ურთულესი და უმძიმესი პრობლემა, ძალზე ძნელი სათქმელია. აი, რა მოჰყვა გაუაზრებელ და აბსოლუტურად გაუთვლელ მკაცრ სისხლისამართლებრივ პოლიტიკას, რომელზეც პასუხისმგებლობის აღება დღეს არავის აღარ უნდა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ძალზე ხშირად მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჟამის დროს შუამავლის ფუნქციებს ბანკებსა და ბრალდებულებს შორის გირაოს თანხის დროულად გამოტანაში ახორციელებდნენ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი



დანაყოფები. სადღეისოდ საქართველოს მთავარ პროკურატურაში და მის ტერიტორიულ დანაყოფებში შესულია უამრავი განცხადება, რომელთა უმეტესობაზეც მიმდინარეობს გამოძიება. უმეტეს შემთხვევაში, პროკურატურაში დასმულ კითხვას, უკანონოდ ჩამორთმეულ ქონება სად „წავიდა“ ანუ „ვინ შეჭამა ვენახი?“ – გამომძიებელი ასე პასუხობს:

„კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა“.

არადა, ვინ რა „ჭამა“ ჩვენც ვიცით, მაგრამ სახელმწიფოს სახელით შეჭმული ვალდებულია, ისევ სახელმწიფომ დააბრუნოს!



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# კორპორაცია „ბოინგის“ 100 წელი – აღზევება და დაცემა




**კომპანია „ბოინგის“ ისტორია მხოლოდ წარმატებებით როდია აღბეჭდილი. აღმასვლას ხშირად წრუმატებლობები მოსდევდა ხოლმე. კომპანიას არაერთხელ განუცდია კრახი. ის ორჯერ იყო გაკოტრების ზღვარზე, მაგრამ მისი შემქმნელი, მმართველები და მენეჯრები ყოველთვის პოულობდნენ გამოსავალს ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობიდანაც კი. მათი ენერგიის, მიზანდასახულობისა და შრომის წყალობით „ბოინგი“ არამარტო გადარჩა, არამედ მსოფლიო კომპანიების რეიტინგში ერთ-ერთი პირველი ადგილიც უკავია.**



### საიდან „მოვიდა“ სახელწოდება „ბოინგი“?

მეოცე საუკუნის დასაწყისის სამეცნიერ-ტექნიკურმა პროგრესმა ბევრი ახალი კომპანიის ჩამოყალიბება გამოიწვია, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლებს ფულის შოვნის წყაროდ აქცევდნენ. ახალი კომპანიისთვის სახელის მოძებნის გამო ტვინი რომ არ ეჭყლიტათ, კომპანიების დამფუძნებლები მათ ხშირად საკუთარ სახელს არქმევდნენ. ასე მოიქცნენ ლუი რენო, კარლ ბენცი, ლუი შევროლე და სხვები. იგივე გზას დაადგა ახალგაზრდა უილიამ ბოინგი, რომელმაც მის მიერ შექმნილ კომპანიას საკუთარი გვარი მიანიჭა სახელად.

უილიამ ბოინგი შეძლებული ოჯახიდან გახლდათ. მისი მამა ხე-ტყის მწარმოებელი იყო. ფირმა წარმატებულად მუშაობდა და თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შვილი მამისგან კომპანიის მართვის სადავეებს მიიღებდა და ოჯახურ ბიზნესს გააგრძელებდა. მაგრამ პატივმოყვარე და მოუსვენარი ბილი საკუთარი გზით წავიდა.

1903 წელს მან უნივერსიტეტი მიატოვა და საკუთარი საქმე დაიწყო. მისი ბიზნესის საფუძვლად არა მამის კაპიტალი, არამედ საკუთარი ენერგია და მოხერხებულობა იქცა. ხუთი წლის შემდეგ უილის მიერ დაარსებული ხე-ტყის დამამუშავებელი კომპანია სერიოზული საწარმო, ხოლო თავად უილიამ ბოინგი კი სიეტლში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ადამიანი ხდება.

### სარისკო ბიზნესი

1909 წელს სიეტლში გაიმართა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, სადაც ქალაქის მაცხოვრებლებმა პირველად ნახეს დირიჟაბლის გაფრენა. ამ სანახაობამ ახალგაზრდა უილზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება.

როდესაც მან გაიგო, რომ მეზობელ ჯორჯთაუნში საჩვენებელ გამოსვლებს ატარებდა ცნობილი ავიატორი ჩარლზ ჰამილტონი, ბოინგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა და რამდენიმე კვირის განმავლობაში არ გამოუტოვებია არც ერთი გაფრენა იმ ტრაგიკულ დღემდე, როდესაც ჰამილტონის თვითმფრინავი ბოინგისა და მაყურებლების თვალწინ ძირს დაენარცხა. მფრინავმა შეძლო თვითმფრინავის მდინარისკენ მიმართვა და სასწაულად გადაურჩა სიკვდილს.

ამ საშინელმა სანახაობამ რამდენადმე შეარყია ბოინგის სურვილი, საკუთარი ბედი ავიაციისთვის დაეკავშირებინა. ჯორჯთაუნიდან დაბრუნებულმა გადაწყვიტა, რომ მთელი ფული, რაც ხე-ტყის გადამუშავების ბიზნესით იშოვა, საფრენი აპარატების შემქმნელი კომპანიის შექმნაში ჩაედო.

ეს ის დროა, როცა ავიაცია, უბრალოდ, ჯერ არ არსებობს. საჰაერო ნაოსნობა მხოლოდ სანახაობაა. აეროპლანები მხოლოდ „მფრინავი თაროებია“ და იმენად ხშირად ვარდებიან მიწაზე, რომ მათ სერიოზულ კონკურენციას უწევენ დირიჟაბლები და საჰაერო ბურთები, როგორც უფრო საიმედო და სიცოცხლისთვის უსაფრთხო საშუალებები.

სოლიდური ბიზნესმენის გადაწყვეტილება, რომ მთელი ფული ისეთ არასაიმედო წამოწყებაში ჩაედო, როგორიც თვითმფრინავების აგებაა, სიეტლის ბევრმა მცხოვრებმა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად ჩათვალა.

### საიდან დაიწყო კორპორაცია

უილიამ ბოინგი ისწრაფვოდა არამხოლოდ აეგო თვითმფრინავები, არამედ ეფრინა კიდეც. 1915 წელს იგი ლოს-ანჟელესში მიემგზავრება და მფრინავის მართვის მოწმობას იღებს. მართვის მოწმობა გამოუყენებლად რომ არ ედოს, უილი ლოს-ანჟელესში ჰიდროპლანს ყიდულობს და სახლში მოფრინავს.

ბოინგი ტბა იუნიონზე სანაოსნო ანგარს იძენს, გარშემო იკრებს მასავით თვითმფრინავის მშენებლობის ენთუზიასტებს, იწყებს ნაყიდი აპარატის მოდერნიზებას და ახლების კონსტრუირებას.

1917 წელს ჯგუფის სახელია „The Boeing Company“ – დაიბადა ფირმა „ბოინგი“. იმავე წელს უილიამ ბოინგმა მიიღო პირველი შეკვეთა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსგან 50 ჰიდროპლანის ასაგებად.

ჩინოვნიკები კარგად რომ დაფიქრებულიყვნენ და გაცნობოდნენ კორპორაცია „ბოინგის“ საქმიანობას, ამ ავანტიურისტთან საქმეს არ დაიჭერდნენ. კომპანიის მთელი შტატი 28 ადამიანისგან შედგებოდა. ფირმის სიმძლავრე საკმარისი არ იყო 50 ცალი საფრენი აპარატის დასამზადებლად. უილიამი სასწრაფოდ აფართოებს საქმიანობას, ყიდულობს დანადგარებს, ქირაობს თანამშრომლებს და მალევე ათობით ქალი უკვე კერავს პარუსინის ფრთებს მომავალი ჰიდროპლანებისთვის.




### პირველი გაკოტრების ზღვართან

1918 წლის ნოემბერში დასრულდა პირველი მსოფლიო ომი. იზიარებდა რა ყველასთან ერთად მისი დასრულების სიხარულს, უილიამ ბოინგი საკუთარი საწარმოს გამო ძალზე წუხდა, რადგან სამხედრო შეკვეთების იმედი უკვე აღარ უნდა ჰქონოდა. კომპანიას საკუთარი „ნიშა“ არ ჰქონდა და ფირმა გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა.

კომპანია გადადის ტანსაცმლის კერვაზე, ამზადებს ავეჯსა და ნავებს. მაგრამ ბოინგი კვლავ ოცნებობს საფრენი აპარატების აგებაზე. იგი ხვდება, რომ საჭიროა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. უნდა მოიძებნოს კომპანიის მიერ წარმოებული თვითმფრინავებისთვის ახალი გამოყენების სფერო. განიხილავს რა ასობით წინადადებას, ბოინგი ეძებს თვითნაბად ოქროს – იდეას, რომელიც აამოძრავებს მისი კომპანიის მექანიზმების მრავალრიცხოვან ჭანჭიკებს. ამგვარი თვითნაბადი ოქრო გახდა ედი ჰაბარდის წინადადება საავიაციო საფოსტო გადაზიდვების შესახებ.

ბოინგმა ამ საქმიანობის პერსპექტივების განჭვრეტა შეძლო და იდეის განხორციელებას შეუდგა. 1919 წელს ჰაბარდმა წერილებიანი ტომარა, რომელშიც 60 წერილი იდო, ვანკუვერიდან სიეტლში ჩაიტანა. ეს იყო მსოფლიოში პირველი საერთაშორისო საფოსტო გადაზიდვა. ამ აქციას მატერიალური მოგება არ მოუტანია, მაგრამ როდესაც აშშ-ის მთავრობამ ფოსტის ავიაგადაზიდვების უფლების მოპოვებაზე ტენდერი გამოაცხადა, ბოინგი ამისთვის უკვე მზად იყო და მოიგო კიდეც ეს ტენდერი, შესთავაზა რა ყველაზე დაბალი ფასი. მეოცე საუკუნის დასასარულისთვის კორპორაცია „ბოინგი“ აშშ-ში #1 ავიაგადამზიდი ხდება.

### ავიაიმპერიის დაღუპვა

1932 წელს კომპანიას დიდი განსაცდელი დაუდგა. ამ წლისთვის „ბოინგი“ უკვე ავიაიმპერიაა, რომელიც აგებს თვითმფრინავებს, აშენებს აეროდრომებს, ამზადებს მფრინავებსა და ავიატექნიკოსებს, აწარმოებს მგზავრებისა და ტვირთების გადაზიდვას. ყველაფერი ეს გახდა სკანდალისა და ანტიმონოპოლიური გამოძიების საბაბი. ამის შედეგად მიიღეს კანონი, რომელიც თვითმფრინავების მწარმოებელ კომპანიებს უკრძალავდა იმავდროულად სატრანსპორტო მომსახურების გაწევას.

ბოინგი იძულებული იყო, კორპორაცია რამდენიმე დამოუკიდებელ კომპანიად გაეყო. უილიამ ბოინგმა ვერ გადაიტანა საკუთარი ქმნილების დაღუპვა, გაყიდა მის ხელთ არსებული აქციები და კორპორაცია დატოვა. ამის შემდეგ მას თვითმფრინავებთან საქმე აღარასოდეს ჰქონია.

თავად კომპანია „ბოინგი“ კი დარჩა და განაგრძობდა განვითარებას. მეორე მსოფლიო ომის დროს „ბოინგი“ აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებისთვის ყველაზე მსხვილ ბომბდამშენთა მწარმოებლედ იქცა. სწორედ კორპორაცია „ბოინგმა“ შექმნა ლეგენდარული B-17 (მფრინავი ციხესიმაგრე), რომელსაც ფანტასტიკური სირთულეების დაძლევა შეეძლო. მას შეეძლო ბაზაზე დებრუნება მაშინაც კი, თუ ოთხიდან მხოლოდ ერთი ძრავიღა მუშაობდა! იმ ბომბდამშენთა 90%, რომლებიც გერმანიას ბომბავდნენ, „ბოინგის“ საამქროებში იყო დამზადებული ისევე, როგორც ის თვითმფრინავი, რომელმაც ჰიროსიმაზე ატომური ბომბი ჩამოაგდო.




მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# ქანქურისტებო! იქანქურეთ რამდენიც გინდათ და როგორც გინდათ, მაგრამ ჩვენ თავი დაგვანებეთ!..



ერთმა ქალბატონმა, რომელიც კარგა ხანია უკვე საზღვარგარეთ ცხოვრობს, ასეთი რამ მომითხრო: ჩემმა მეგობარმა ქალმა საიდუმლოდ აღიარა ჩემთან, ეროგენული ზონა იდლიის ქვეშ რომ აქვსო.

გამიკვირდა.

ახლა ამ ქალბატონმა იმ თავისი „გადახრის" გამო განსაკუთრებული უფლებები რომ მოითხოვოს, ხომ იქნება ეს გასაოცარ ამბავი, რადგან ეს არის ადამიანის ცხოვრების პირადი, ინტიმური ნაწილი, რომლის გასაჯაროება არც ვინმეს აინტერესებდა ოდესმე და არც რაიმე სარგებლის მომტანი ყოფილა.

იმის გარდა, რომ ადამიანს ყოველთვის აქვს რაღაც თავისი საკუთარი შინაგანი სამზარეულო, სადაც გრძნობებს და შეგრძნებებს საკუთარ ქვაბში „ხარშავს", არის ხორციელი ციხესიმაგრე, სხეული, რომელიც თუ „გატყდა", თუ ბოლომდე გაშიშვლდა და განიავდა, თუ გა(ნ)იძარცვა, აღარც სხეულია მაშინ და აღარც სული, ანუ აღარ არის ადამიანი.

ნაყოფის X და Y ქრომოსომები, სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავენ სქესის ჩამოყალიბებასაც. შესაბამისად, ადამიანი იბადება ქალად ან კაცად. საშუალო სქესი გენეტიკურ ანომალიად ითვლება და მას ჰერმაფროდიტიზმი ჰქვია.

ჰერმაფროდიტიზმით, ამ იშვიათი ანომალიური მდგომარეობის მქონე ადამიანი მთელი ცხოვრება მალავს ორსქესიანობას, როგორც არაჩვეულებრივ მდგომარეობას, თუმცა მშვენივრად იცის, რომ ამისთვის მის დევნა-შევიწროებას არავინ დაიწყებს...

გასული კვირას თავის ბუკსა და ნაღარას შემოჰკრა ე. წ. ლგბტ თემის წარმომადგენელმა გიორგი ჩხარტიშვილმა, იგივე „მაცაცომ", იგივე გიორგი ტატიშვილმა, რომელიც ადრე აცხადებდა, მამაკაცთათვის ვმუშაობ – პროსტიტუციით ვირჩენ თავსო, ამჯერად მან ტელევიზიით თავი საზოგადოებას უფლებადამცველად წარმოუდგინა. ჯერ ერთი, საკითხავია, ვინ არიგებს უფლებადამცველის და ა.შ. ტიტულს და მეორეც, ეს ადამიანი ტელევიზიით, უფლებადამცველის სახელით, საკუთარი კი არა, თურმე სხვა მამაკაცების უფლებებისთვის ბრძოლას აპირებს, რიმლებსაც მამაკაცებზე დაქორწინება გულით სურთ.

ბოლო-ბოლო, რამდენი ხართ, ქვეყნის კანონმდებლობაში თქვენი დაქორწინების ლეგალიზაციის მუხლი აუცილებლად რომ უნდა ჩაიდოს; დაგვენახეთ ერთი!..

ნუ, ეს ადამიანები ფსიქიკურად არაჯანსაღები რომ არიან, ამაზე ორი აზრი არაა. როგორც ნახევრად ორსული არ არსებობს, ისე არ არსებობს ნახევრად კაცი და ნახევრად ქალი. ან კაცი ხარ ან ქალი, ან საერთოდ გვამი ხარ, ოღონდ იქაც სქესი გაქვს, სხვათა შორის...

საიდან მოიტანეს ეს ვნებების გაშიშვლება. ავანგარდისტები და თანამედროვეები ვართ, თქვენ კი არქეტიპებიო. თქვენზე ადრე იყვნენ თქვენზე უკეთესი მოაზროვნეები ადამიანის ხორციელი მისწრაფებების ილუსტრაციას რომ ახდენდნენ. ლიტერატურის ისტორიაში გვასწავლიდნენ ჯოვანი ბოკაჩოს, ემილ ზოლას და სხვებს, გენიოსებს, რომლებისთვისაც სულაც არ იყო უცხო სექსი არც ცხოვრებაში და არც ლიტერატურაში, უდიდეს ხელოვანებს, რუბენსს, ჰაიეზის მხოლოდ ადამიანის შიშველ სხეულზე ჰქონდათ შექმნილი უნიკალური ნამუშევრები.



სხვებსაც, უამრავს...

ხომ არ გგონიათ, ხორციელი ვნება და გამოხატვის თავისუფლება თქვენი მოგონილია?!

სცოდავენ ჩვენი ტელევიზიები და ზოგადად, მედია, როცა ავადმყოფს X და Y ქრომოსომააღრეულს სერიოზულ თემებზე ელაპარაკება. ასეთ ხალხს თავისი გასჭირვებია, არ იცის, უკანალი რისთვის გამოიყენოს და რას აპამპულავებთ, თქვენც თუ გარეკილი არ გაქვთ?

ჩემს სოფელში ცხოვრობდა ერთი პატიოსანი, მშრომელი კაცი, სახელად „ჯიგარო", რომელიც დადიოდ და მღეროდა: „ს ნება ზვიოზდოჩკი დასტანუ ი ნა პამიატ პადარიუო", ლექსებს ამბობდა, თხზავდა კიდევაც. მთლად ნორმალური არ იყო, ხანდახან დადგებოდა სოფლის ცენტრში და ბეე, თხასავით კიკინებდა. თხა ვარ, თხა ვარო. ყველას უყვარდა „ჯიგარო", მაგრამ ყველამ იცოდა, კაცი რომ იყო და არა თხა და ასე რომ იძახდა, ამიტომაც არავინ თვლიდა ნორმალურად.

რანაირად არის ნორმალური კაცი, რომელიც ქალივით იცვამს და იძახის: იცით, მე კაცად გავჩნდი, მაგრამ გულში ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ქალი ვიყავი, სხვანაირი მოფერება და ალერსი მჭირდებოდა ყოველთვისო.



კიდევ ვიმეორებ, არ დავცინი, არ მეჯავრება, უბრალოდ, ავად არის ასეთი ადამიანი...

წლების განმავლობაში ასეთი ავადმყოფი ადამიანები თავიანთი უფლებების განმტკიცებისთვის იბრძოდნენ საზოგადოებაში. მათ იპოვეს მხარდამჭერები და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაკანონდა ჰომოსექსუალური ქორწინებები. მაგრამ, რას ნიშნავს ეს? ეს არის ადამიანის არსის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც, ნუ გაგეღიმებათ სკეპტიკოსებს და, საბოლოოდ აპოკალიპსით მთავრდება, რადგან არ შეიძლება ბუნების წინააღმდეგ წასვლა კეთილი დასასრულით დამთავრდეს.

ვიღაცებს ძალიან სურთ კაცობრიობის მოსპობა, რასაც, თუ ნათელი ძალები არ შეეწინააღმდეგებიან, აუცილებლად მოახერხებენ, მაგრამ იმას ვერ ხვდებიან, სხვისთვის გათხრილ უფსკრულში იმ სხვებთან ერთად თვითონაც რომ აღმოჩნდებიან...

ზემოთ ქალბატონზე ვლაპარაკობდი, რომელიც, თურმე, ორგაზმს იდლიაში განიცდიდა...

ჰომოსექსუალისტები სხვა ადგილებში განიცდიან, მაგრამ რატომ უნდათ, რომ ეს მთელმა ქვეყანამ გაიგოს, ძალიან გამკვირვებია...

ჩემო კარგებო, სოდომსა და გომორს რომ თავი დავანებოთ, X და Y ქრომოსომაარეულებს რომ შევეშვათ, იქანქურეთ რამდენიც გინდათ და როგორც, გინდათ, მაგრამ ჩვენ თავი დაგვანებეთ!..

**განმარტებისთვის:** ქანქური გურული სიტყვაა და სალიტერატურო ენაზე სიმწრით ფაფხურს და ფუჭ ბუქნაობას ნიშნავს...

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

# ღორის გრიპთან დაკავშირებული რჩევები მკითხველს



**წელს საქართველოს „ღორის ვირუსმა“ შემოუტია. მართალია პანიკა ჩაცხრა, მაგრამ გრიპის თემა ისევ აქტუალურია. ევროკავშირის ექსპერტის, ჰომეოპათიის აკადემიის პრეზიდენტის თინათინ თოფურიას რჩევები, რომელიც უკვე 12 წელია გრიპის მკურნალობისა და პროფილაქტიკის ცნობილ პროგრამას – „ნუ გეშინია გრიპის” ახორციელებს, რამაც მოსახლეობაში დიდი პოპულარობა და ნდობა მოიპოვა.**

### როგორ მოვიქცეთ თუ გრიპის ვირუსი შეგვეყარა

ძალიან მნიშვნელოვანია ავადმყოფობის სწორად მართვა. სიცხის დაგდება გამოჯანმრთელებას არ ნიშნავს, პირიქით, ამით იმუნურ სისტემას ვთიშავთ და მას დაავადებასთან ბრძოლაში ხელს ვუშლით – რამოდენიმე საათში სიცხე ისევ იწევს, 2-3 დღეში თავისით დავა ნორმამდე ან ნორმის ქვევით, მერე კი გაუთავებელი ჩივილები – სისუსტე, ხველა, ანგინა, ყურის ანთება, სახსრების ტკივილი და სხვა, იწყება. ეს გართულებები ორგანიზმში დიდხანს რჩება და ათასგვარი ქრონიკული დაავადების ფორმას იღებს, რაც “ეფექტური” მკურნალობის შედეგია. მედიკამენტი მხოლოდ მაშინ უნდა მივიღოთ თუ სიცხე 38,5-ზე ზევით ადის. გამონაკლისია, კრუნჩხვისადმი მიდრეკილები და ძალიან თეთრი ბავშვები. მათ, შეიძლება უფრო დაბალ მაჩვენებელზეც მისცეთ სიცხის დამწევი. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სანამ წამლის მიცემაზე ვიფიქრებთ, სიცხის დარეგულირებას ბუნებრივი, კარგად გამოცდილი საშუალებებით უნდა ვეცადოთ: ძმრიანი წყლით დაზელვა, გრილი ოყნა, ოფლის მომდენი სასმელები: ჩაი ჟოლოს მურაბით, ან გამხმარი ჟოლოთი; ცაცხვის ყვავილების ჩაი.

### ღორის გრიპის განსაკუთრებული მახასიათებლები

საერთოდ, გრიპით დაავადების მაღალი რისკის ჯგუფად ბავშვები და მოხუცები ითვლებიან. ეს ვირუსი კი, რატომღაც, უფრო ჯანმრთელ, ახალგაზრდა მამაკაცებს ერჩის. დაწყებაც უეცარია პროდრომალური პერიოდის გარეშე – მაღალი სიცხით, რომელიც ცუდად ექვემდებარება სიცხის დამწევებს და ძლიერი ინტოქსიკაციის სიმპტომებით ხასიათდება. აქვე, ერთი **გაფრთხილება! – არ** მიიღოთ ასპირინი ან მისი შემცველი პრეპარატები, განსაკუთრებით, ბავშვებსა და მოზარდებში.

### ანტიბიოტიკების როლი ვირუსზე

კარგად უნდა გავიგოთ, რომ ანტიბიოტიკი ვირუსზე არ მოქმედებს. მისი საჭიროება მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, თუ გრიპის შემდგომი გართულებები გვაქვს ანთებითი პროცესების_სახით. მთავარია, არ ჩაიფუთნოთ. მაქსიმალურად გაანიავეთ ოთახი, შემოუშვით რაც შეიძლება მეტი ჟანგბადი. დაიდეთ შუბლზე კომბოსტოს ფოთოლი, სვით რაც შეიძლება მეტი სითხე: კომშის კომპოტი, რომელიც ბრონქებს ასუფთავებს და მათ დამცავ ფუნქციას აძლიერებს.

### როგორ ავიცილოთ ეპიდემიების საშიშროება

ყველა პრობლემის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება იმუნიტეტის გაძლიერება და ზოგადად, ჯანმრთელობის ხარისხის ამაღლებაა. ამისთვის, ცხოვრების ჯანმრთელ წესს უნდა მივსდიოთ – მეტი ყოფნა ჰაერზე, სწორი კვება, ვარჯიში, რომლის დროსაც დატვირთვა, ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისად, ზომიერი უნდა იყოს.

### გრიპის პროგრამა „ნუ გეშინია გრიპის“

ჩემი, გრიპის პროფილაქტიკისა და მკურნალობის პროგრამა „ნუ გეშინია გრიპის “ სწორედ ამ მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას ეფუძნება. აქვე, წარმოდგენილია ტიბეტური მედიცინის ორიგინალური რეცეპტებით დამზადებული სამკურნალო საშუალებებიც. აქ, შედის პრეპარატები, რომლებიც მიმართულია როგორც იმუნიტეტის, ისე, ზოგადად, ორგანიზმის გაძლიერებაზე. ასევე, გვაქვს ბრონქებისა და ფილტვების გასაწმენდი საშუალებები, რაც, ჰაერის დაბინძურების პირობებში, დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება. ასევე, გარეგანი პროფილაქტიკის საშუალებები – მცენარეული ნაყენებისა და ეთერზეთებისგან დამზადებული სითხეები და მალამო, რომელიც სასუნთქი გზებიდან ვირუსის შეჭრის შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებს. რაც შეეხება ორსულებს, მათთვის ნებისმიერი გრიპია სასიშია. განსაკუთრებით, პირველ ნახევარში, შეიძლება ბავშვის სიმახინჯეც კი გამოიწვიოს. ამიტომ, ისინი უნდა მოერიდონ კონტაქტებს, გაციებას, იარონ დოლბანდით, რომელიც ყოველ ორ საათში უნდა გამოიცვალონ.

### გრიპის ვაქცინა და მისი ეფექტიანობა

არსებობს ინფექციურ დაავადებათა მთელი ჯგუფი, რომლებიც გადამდებია, მაგრამ თუ ერთხელ გქონდა, მეორედ აღარ შეგეყრება. ამ დაავადებებს სახადებს უწოდებენ. ასეთებია, მაგალითად, წითელა, წითურა, ყივანახველა და სხვა. ყველა მათგანს თავისი გამომწვევი მიკრობი აქვს. როდესაც ის ორგანიზმში ხვდება იმუნური სისტემა მასთან საბრძოლველად სპეციფიურ ანტისხეულებს გამოიმუშავებს, რომლებიც სამუდამოდ რჩება ორგანიზმში და მხოლოდ ამ კონკრეტული დაავადებისგან გიცავს, რადგან მასზეა კოდირებული. ყველა სახადი ორგანიზმში თავის ანტისხეულებს ტოვებს. იმუნიტეტის ამ თვისებაზეა დაფუძნებული აცრების პრინციპი. ვაქცინა დაავადების გამომწვევი მიკრობისაგან მზადდება მისი დასუსტების გზით. როდესაც ვაქცინა ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში შეჰყავთ, ის დაავადებას იწვევს, მაგრამ მსუბუქი ფორმით, რის საპასუხოდაც იმუნიტეტი ანტისხეულებს გამოიმუშავებს, რომლებიც შემდგომში, მას ამ სენისგან დაიცავენ. ასეთი მეთოდით ძალიან ბევრი ინფექციური დაავადების პრევენცია შეიძლება. მაგრამ არსებობს ერთი სერიოზული პრობლემა: ანტისხეულების ორგანიზმში დაგროვება მის სენსიბილიზაციას, ანუ ალერგიული ფონის გამძაფრებას იწვევს. რაც მეტი ანტისხეული გროვდება, მით მეტად ალერგიული ხდება ორგანიზმი. მოგეხსენებათ, თუ რამდენად სერიოზული პრობლემაა ალერგია. ევროპელ ექიმებს სულ უფრო ხშირად უხდებათ აცრებზე უარის თქმა, პაციენტების ალერგიული პრობლემების გამო. გრიპი არ განეკუთვნება სახადების რიცხვს, რადგანც არ ტოვებს მდგრად იმუნიტეტს. ის ყოველთვის შეიძლება დაგემართოს. გრიპის



ვირუსი ძალიან სწრაფად იცვლება, ამ პროცესს მუტაცია ჰქვია, რის მერეც საქმე გვაქვს პრაქტიკულად, ვირუსის ახალ სახეობასთან და მას სხვა, ახალი ვაქცინა სჭირდება.

### რით განსხვავდება ჩვეულებრივი ვაქცინა და ჰომეოპათიური

ჩვეულებრივი ვაქცინისგან განსხვავებით ჩემი ვაქცინა ვირუსს არ შეიცავს და არც ანტისხეულების დაგროვებას იწვევს. ეს არის ინფორმაციული „ვაქცინა“, რომლის დამზადებასაც სულ ერთი კვირა სჭირდება. საქმე ისაა, რომ ადამიანის გენეტიკურ კოდში ამ ვირუსების შესახებ ინფორმაცია არ დევს. ამიტომ, ჩვენი იმუნიტეტი მას მტრად არ აღიქვამს და არ ებრძვის. ჩემი ვაქცინა ესაა „სიგნალიზაცია“, რომელიც ამ ვირუსის შემოჭრის შემთხვევაში განგაშს ატეხავს და იმუნურ სისტემას შეატყობინებს, რომ მტერი შემოიპარა. იმუნიტეტი მის დამცავ ბუნებრივ ფაქტორებს ჩართავს და ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლას დროულად იწყებს. თუ ამ ვაქცინით „აცრილს“ ეს ვირუსი არ შეგხვდა, ინფორმაცია ორ თვეში უკვალოდ გაქრება. იგი ძალიან ეფექტურია და პაციენტებს მხოლოდ ჩემი ხელით ვაწვეთებ.

### ღორის გრიპთან დაკავშირებული რჩევები მკითხველს

გრიპის საწყის სტადიაში ყველაზე ხშირად პარაცეტამოლი გამოიყენება. მინდა, თქვენი მკითხველი გავაფრთხილო, რომ ფარმაცევტული ფირმების მიერ წარმოებული ეს წამალი ფარმაცევტულ ბაზარზე 30-მდე სხვადასხვა დასახელებითაა წარმოდგენილი. ამიტომ, აფთიაქში, გრიპის წამლების შეძენისას, აუცილებლად იკითხონ ხომ არ შედის მასში პარაცეტამოლი. თითქმის ყვალა მათგანი ურეცეპტოდ იყიდება. ხშირად ხდება ისე, რომ ერთდროულად რამდენიმე მედიკამენტს ყიდულობენ, რომლებშიც პარაცეტამოლი შედის, ანუ, რეალურად, პარაცეტამოლის დიდ დოზას იღებენ, რაც სერიოზული გართულებების მიზეზი ხდება.

ზოგი, გრიპის პროფილაქტიკისთვის ცხვირში ნიორსა და ხახვს იწვეთებს. ასე, ხომ ცხვირის ლორწოვანს ამოიწვავთ! ნიორი ძალიან ძლიერი საშუალებაა და ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. განსაკუთრებით ჰიპერტონიით დაავადებულები. მოსახლეობის ნაწილი, გრიპის პროფილაქტიკის მიზნით, ნიორს ძილის წინ ღეჭავს, ან ყლაპავს მთლიანად უზმოზე 1 კბილს, რაც ხშირად ღრძილების დაზიანებას იწვევს, ასევე, კუჭის და ნაღვლის ბუშტის გაღიზიანებას. გთავაზობთ რამოდენიმე რჩევას, რომელიც საშუალებას მოგცემთ ნივრის სამკურნალო თვისებები მაქსიმალურად ისე გამოიყენოთ, რომ თქვენს ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოთ:

**ნივრიანი ჩაი**. დაჭყლეტილი ნივრის 2 კბილი ჩაყარეთ 1 ჭიქა მდუღარე ჩაიში. თავი მჭიდროდ დაახურეთ, შეფუთეთ და დააყენეთ 5-10წუთი. იგი არ ტოვებს ნივრის სუნს და არ აზიანებს არც პირის, არც კუჭის ლორწოვანს. საპროფილაქტიკოდ დალიეთ დღეში 2ჯერ 1 ჭიქა ცხლად. თუ თავს უკვე შეუძლოდ გრძნობთ, დალიეთ 4-ჯერ. ეს იმუნიტეტს აძლიერებს და ძლიერი ანტივირუსული საშუალებაა.

1 ჭიქა ჩაიში (უმჯობესია დააყენოთ ჩვეულებრივი ჩაის ფერი) ჩაყარეთ 2 საშუალო ზომის კბილი დანაყილი ნიორი და 1კოვზი შაქარი. დაახურეთ, შეფუთეთ პირსახოცით. გააჩერეთ 10-15 წუთი. დალიეთ ცხლად. ეს ნაყენი ძლიერი ანტიმიკრობული და ანტივირუსული თვისებებით გამოირჩევა. მიიღეთ ცხლად 2-3 ჭიქა დღის მანძილზე. მეორე დღეს არც გემახსოვრებათ, რომ გრიპი გეწყებოდათ;

სამკურნალო ეფექტის გასაძლიერებლად (მითუმეტეს თუ უკვე ავად ხართ) ძილის წინ ფეხის გულები ნივრის წვენით დაიზილეთ, შალის (ან ბამბის) წინდა ჩაიცვით და მთელი ღამით დაიტოვეთ. წინდაში ნიორი არ შეგყვეთ, თორემ შეიძლება ფუფხი წარმოიშვას. ტიბეტელები თვლიან, რომ ნიორს, ფეხის გულებიდან, ავადმყოფობა „გამოაქვს”. ბავშვებს დაუზილეთ წყლით განზავებული წვენით პროპორციით 2წილი წყალი/1წილი ნივრის წვენი;

წვრილად დაჭერით ნივრის რამდენიმე კბილი და პატარა ლამბაქით ოთახის სხვადასხვა კუთხეებში და საწოლთან დადგით. გაჭრილი ნიორი 10 დღის განმავლობაში ინარჩუნებს ბაქტერიოციდულ ეფექტს. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება უძველესი ტრადიცია - ბავშვის საწოლთან ნივრის ჩამოკიდება „ავი სულების დასაფრთხობად“;

გრეიფრუტის, ფორთოხლის და ლიმონის კანები დააწყვეთ ოთახში, სხვადასხვა ადგილებში.

ისინი გაამდიდრებენ თქვენი ოთახის ჰაერს ეთერზეთებით. ცვალეთ 7-10 დღეში;

ძალიან ეფექტურია მიხაკის ღეჭვა. ის გაგიქრობთ პირში უსიამოვნო სუნს და დაგიცავთ ინფექციისგან;

სახლიდან გასვლისას, ლოყის უკან, დინდგელის პატარა ნაჭერი ჩაიდეთ; ასევე, ეფექტურია ლიმონის ან გრეიფრუტის კანის და ფიჭვის „კევის” ღეჭვა.

- ავადმყოფობის დროს შეეცადეთ მიიღოთ მსუბუქი, ადვილად მოსანებელებელი საკვები, მიეძალეთ ხილს, ასკილის ჩაის, მწვანილს, თევზს, კომპოტებს;

- თუ ყელი გაწუხებთ მონაცვლეობით გაიკეთეთ სოდიანი წყლისა და ძმრიანი წყლის სავლები.

-თუ ყელში დისკომფორტს გრძნობთ, დაღეჭეთ ტყლაპი, რომელიც დაბუდებული ბაქტერიებისგან გაწმენდს თქვენს ყელსა და ნუშურა ჯირკვლებს;

- ბავშვებს აჭამეთ უგემრიელესი მუსი: სოდა (დანის წვერზე) გახსენით 1 ჩაის კოვზ შინდის მურაბის წვენში;

- ვირუსული ინტოქსიკაციის თავიდან ასაცილებლად მიიღეთ რაც შეიძლება მეტი სითხე, მინერალური წყალი, ნიახურის ნახარში, ლიმონის ცედრა, ასკილის ჩაი... კიდევ ერთი კარგი ანტივირუსული საშუალებაა ღოღნაშოს მურაბა –1 სუფრის კოვზს დაასხით 100 გრამი მდუღარე.

### რამდენად მართებულია რელანსასა და ტამიფლუს ღორის გრიპის საპროფილაქტიკოდ გამოყენება

ისინი საპროფილაქტიკო საშუალებები არაა, არამედ სერიოზული, ძლიერმოქმედი საშუალებებია, რომლებიც ებრძვის ვირუსს მისი გამრავლების პერიოდში და უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ ვირუსის სამკურნალოდ. ყურადღებით უნდა გაეცნოთ წამლების ინსტრუქციას, სადაც გარკვევით წერია, რომ მისი გამოყენების დაწყება უნდა მოხდეს ვირუსის ორგანიზმში მოხვედრიდან არაუგვიანეს პირველი 48 საათისა, ისიც მხოლოდ ექიმის დანიშნულებით. ამ წამლებით თვითმკურნალობა, დაუშვებელია. მითუმეტეს, მათი საპროფილაქტიკოდ გამოყენება. აბა დაფიქრდით, რისთვის უნდა მივიღოთ ასეთი ძლიერი წამალი, რომელიც კლავს ვირუსს, როდესაც ვირუსი ორგანიზმში ჯერ არ არის?

რაც შეეხება ჩემს წამლებს, შეგიძლიათ იკითხოთ აფთიაქში; **#23 მარჯანიშვილის მეტროსთან; ფალიაშვილის 43/3 ჰომეოპათიის აკადემიაში; აფთიაქში: #34 თამარ მეფის გამზირი #19; ვაკეში კავსაძის ქუჩის მიწისქვეშა გადასასვლელის აფთიაქში. ტელ. 2 294365; 595 975598;**



ქართულმა მწერლობამ, მწიგნობრობამ, ფილოსოფიურმა აზროვნებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ქართული სიტყვის დიდი ქურუმი, ბრწყინვალე მთარგმნელი და მამულიშვილი, ბატონი **ბაჩანა ბრეგვაძე**.

შეიძლება ითქვას, XX საუკუნიდან XXI საუკუნეში გადმოსულ კულტურის მოღვაწეთაგან კიდევ ერთი ურჩეულესი პიროვნება და მოქალაქე დააკლდა ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ქალაქს, რომელსაც დაჰქონდა დიდი „მორალის ტვირთი“ და დიდ გავლენას ახდენდა თანამედროვეთა ცნობიერებაზე.

მისი თარგმანები ქართული შემეცნებისა და ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად იქცა. ის არაოდენ პლატონის, პასკალის, ფსევდო ლონგინეს, ავრელიუსის, მაკიაველის და სხვა ბერძნულ-რომაულ მოაზროვნეთა წიგნებს გვაწვდიდა, არამედ გაგვაცნო მიქელანჯელოს პოეზიაც — ეს არის მისეული, არაჩვეულებრივი თარგმანი ანალიტიკური წერილით.

თუ რა მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული ლიტერატურისა და კულტურის წინაშე ამ მოკლე წერილში ვერ ჩამოითვლება, იგი ერის ხსოვნაში ქართველი სწავლულის და ინტელექტუალის მაგალითად დარჩება და კიდევ ბევრი დაიწერება მასზე.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ვახტანგ ხარჩილავა, კობა არაბული, გურამ პეტრიაშვილი, ზაურ კალანდია, ვაჟა ხორნაული, ლალი ბრეგვაძე, გური ოტობაია, ვილენ მარდალეიშვილი, ავთანდილ ჩხაიძე, ნინო ქუთათელაძე, ალეკო გაბელაია, გუგული ტოგონიძე, ედუარდ ფალიანი**

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „საერთო გაზეთის“ თანამშრომელი, ჟურნალისტი

**ეთერ კასრელიშვილი**

რედაქციის სახელით ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი:** ოთხშაბათს; **დაკრძალვა:** ხუთშაბათს 2 საათზე

**მისამართი:** უჩანეიშვილის ქ. 22 (ბაგები)


**ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი**



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან

**0 901 500 540**

თიბისი ბანკი

ა/ნ GE88TB1117236080100001





**სახალხო მკურნალი** (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

— **ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირთა მიღებას კონკურსის გარეშე?**

— დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

**მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა**

თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები;

ა1) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;

ბ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები;

გ) თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;

დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც

კონკურსის წესით უნდა შეივსოს;

ე) სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში.

* * *

— **რა შემთხვევაში აქვს ახლად მიღებულ სისხლის სამართლის კანონს უკუძალა?**

თქვენთვის საინტერესო საკითხს უპასუხებს სისხლის სამართლის კოდექსის მე- 3 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— **მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა**

1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

* * *

— **გთხოვთ, გაგვაცნოთ სასჯელის სახეები სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.**

— წარმოგიდგენთ გასაცნობად შესაბამისი მუხლების შინაარსს:

— **მუხლი 40. სასჯელის სახეები**

1. სასჯელის სახეებია:

ა) ჯარიმა;

ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

დ) გამასწორებელი სამუშაო;

ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;

ვ) თავისუფლების შეზღუდვა;

ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;

თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ი) ქონების ჩამორთმევა.

2. იურიდიული პირის სასჯელის სახეები განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

**მუხლი 41. ძირითადი და დამატებითი სასჯელები**

1. გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

$2^1$. ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

**მუხლი $107^3$. სასჯელის სახეები**

1. იურიდიული პირის სასჯელის სახეებია:

ა) ლიკვიდაცია;

ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) ჯარიმა;

დ) ქონების ჩამორთმევა.

2. ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

3. ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

4. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

# უცნაური საქორწილო ტრადიციები

## ჩრდილოეთ კამჩატკა

კამჩატკის მიყრუებულ სოფლებში, დღემდე მასპინძლის ცოლი, სტუმრის სურვილის შემთხვევაში, თავს ბედნიერად ჩათვლის, თუ სტუმარს ყველა სურვილს აუსრულებს. თუ, მაგალითად, აქტის შემდეგ ქალი დაფეხმძიმდა, ამას დიდი ბედნიერებად და კარგის მომასწავებელად თვლიან.

## პოლინეზია

აქ სექსუალური კავშირების რიცხვს არ ანიჭებენ დიდი უპირატესობას, მაგრამ გოგონა ვალდებულია, მინიმუმ ორი შვილი იყოლიოს.

## ოკეანია

ადგილობრივი წესების თანახმად, გოგონა აუცილებლად ქალიშვილი უნდა გათხოვდეს, მაგრამ, სანამ ის მეუღლეს ჩაბარდება, უნდა გაიაროს რიტუალი, რომელის დროსაც ქვისგან გამოქნილი დანით კარგავს ქალწულობას, რიტუალს საქმროს მეგობრები ატარებენ. ამის შემდეგ მას სამი დღის მანძილზე ურთიერთობა აქვს საქმროს მეგობრებთან, შემდეგ დანარჩენ მცხოვრებლებთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან ბედნიერი ახალდაქორწინებულები ოჯახურ ცხოვრებას.

## სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის ზოგ ტომში ქორწინების წინ ძლიერი სქესის წარმომადგენელმა უნდა გაიარონ ერთგვარი შემოწმება და უნდა დაკავდენენ ურთიერთობით საცოლის დედასთან. ქორწილი მხოლოდ მას შემდეგ შედგება, რაც სიდედრი დარწმუნდება, რომ მამაკაცს ნამდილად შეუძლია ცოლ-ქმრული ურთიერთობის შესრულება.

## ცენტრალური აფრიკა

ცენტრალური აფრიკის ზოგიერთი ტომის ბელადს, შეუძლია ყველა ლამაზი გოგო ცოლად იყოლიოს, მაშინაც კი თუ ლამაზი გოგოების რიცხვი 100 გაუტოლდება და თუ რომელიმე ცოლი გაბედავს და დაიწუწუნებს, რომ მისი ბელადი ვერ ასრულებს მასთან ცოლ-ქმრულ მოვალეობას, მას ტანჯვით სიკვდილი ემუქრება.

## ბრაზილია

ადგილობრივი ტომები თვლიან, რომ ქალებს მხოლოდ დიდი ზომის გენიტალური ორგანოები მოსწონთ, ამიტომაც ზუსტად ამ ორგანოზე აიძულებენ შხამიან გველს კბენას, რაც ორგანოს შეშუპებას და გაზრდას იწვევს.

## შვედეთი

შვედი გოგონები ვერ გათხოვდებოდნენ, სანამ არ დაფეხმძიმდებოდნენ, ამით ისინი ამტკიცებდნენ, რომ შეუძლიათ შვილები იყოლიონ.

## ფინეთი

ფინელი გოგონები საკმაოდ უცნაურად აგროვებდნენ ქორწინების წინ მზითევს: ისინი კარდაკარ დადიოდნენ და სთხოვდნენ ოჯახებს, მიეცათ მისთვის რაიმე ნივთი. თუ რომელიმე სახლიდან ვერაფერს წამოიღებდნენ, საპარძლოებს შეეძლოთ მათზე შურისძიება, მაგალითად, ფანჯრის ჩამტვრევით.



## ალბანეთი

ალბანეთში ახალდაქორწინებულ ქალს, სამი დღე უნდა შეენარჩუნებინა ქალწულობა, რათა ბოროტი სულები დარწმუნებულიყვნენ, რომ ის მართლაც სათნო ქალიშვილია.



## ავსტრალიელი აბორიგენები

ავსტრალიელი აბორიგენები ნაკლებად ცივილურად ირთავდნენ ცოლს. ისინი ნადირობდნენ საცოლეზე, პირდაპირი გაგებით. უთვალთვალებდნენ მას, რამდენიმე დღის მანძილზე, შემდეგ კი მძიმე საგნის თავში ჩარტყმით თიშავდნენ და გონებადაკარგული გოგონა ამაყად მიჰყავდათ თავიანთ ქოხში.



## ინგლისი

ინგლისში საპატარძლოს, თავისი გამძლეობის დასამტკიცებლად ეკლესიის ზანდუკის მძიმე სახურავი უნდა აეწია.

## კენია

მთელი თაფლობის თვის განმავლობაში კენიელი ქმარ, ვალდებულია ცოლის ტანისამოსით იაროს, რათა მიხვდეს და იგრძნოს, რას ნიშნავს იყო ქალი.

## ნიგერია

გათხოვებამდე ნიგერიელი გოგონები არც მეტი, არც ნაკლები, ვალდებულნი იყვნენ გასუქებულიყვნენ. გათხოვებამდე ისინი მთელი წლის მანძილზე ისხდნენ პსეციალურ სახლში, სადაც თითქმის არ მოძრაობდნენ და ნათესავებს მოტანილ კალორიული საკვებს მიირთმევდნენ

## რუანდა

რუანდელ მამაკაცებს ქორწინების შემდეგ, რამდენიმე კვირის მანძილზე, ცოლები ცემენ და კაწრავენ ღამით, დილით კი სტოვებენ და მიდიან მშობლებთან, რათა დაისვენონ. ითვლება, რომ ამ რიტუალის წყალობით, ქალები სრულიად თავისუფლებიან შინაგანი აგრესიისგან და ისინი დარჩენილ ცხოვრებას ქმრის სიყვარულსა და ერთგულებაში გაატარებენ.

## ინდოეთი

ინდოეთში უცნაური საქორწილო ტრადიცია არსებობს. იქ შეგიძლია ხეზე დაქორწინდე. რატომ? პასუხი მარტივია, სანამ უფროსი ძმა არ დაქორწინებდება, უმცროსს არ შეუძლია ცოლის მოყვანა. ამიტომ უფროსი ძმა სიმბოლურად ქორწინდება ხეზე. ამ ცერემონიის შემდეგ, ხეს ჭრიან, რაც ცოლის სიკვდილთან ასოცირდება.

## ტიბეტი

თუ ტიბეტელ გოგონას გათხოვება სურს, მას მანამდე აუცილებლად უნდა ჰყავდეს გამოცვლილი ათამდე სექსუალური პარტნიორი.

ტიბეტში ქალს შეუძლია ორი ქმარი იყოლიოს, ინდონეზიაში ცოლს უფლება აქვს გააგდოს ქმარი ქორწინებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ მასთან ცხოვრება აღარ მოსწონს.

მოამზადა
**თამუნა კუშელავამ**

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com